საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*ხელნაწერის უფლებით*

**ნინო მამრიკიშვილი**

# აღზრდა, როგორც დანაშაულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმი

დისერტაცია

განათლების დოქტორის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** **იმერ ბასილაძე**
აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი

ქუთაისი

2017

# შინაარსი

შესავალი

I თავი - დანაშაულის გამომწვევი მიზეზები

§ 1 – დანაშაულის გამომწვევი მიზეზების მეცნიერული ასპექტები

§ 2 – დანაშაულის გამომწვევი მიზეზები - რეალური ვითარების ანალიზი

II თავი - საოჯახო აღზრდის როლი დანაშაულის პრევენციის საქმეში

§1 - ოჯახი, როგორც ძირითადი აღმზრდელობითი ინსტიტუტი

§2 - ოჯახში მოზარდთა უმეთვალყურეობით გამოწვეული პრობლემები

§3 - მოზარდის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზების მნიშვნელობა დანაშაულის პრევენციის საქმეში

III თავი - ძნელადაღსაზრდელები, როგორც ძირითადი რისკ - ჯგუფი

§1 – „ძნელადაღსაზრდელის“ ტერმინის ეტიმოლოგია, მისი არსისა და ცნების განსაზღვრის საკითხისათვის

§2 – „ძნელადაღსაზრდელობის“ მიზეზები

§3 – „ძნელადაღსაზრდელები“ სკოლაში და თანამედროვეობა

დასკვნა

გამოყენებული ლიტერატურა

# შესავალი

**თემის აქტუალობა.** საქართველოში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესებმა სრულიად ახალი ვითარება და შესაძლებლობები შექმნა პიროვნების ფორმირებისა და ადამიანის თავისუფლების სულისკვეთებით განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით, დანაშაულის პრევენცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში.

აღზრდის, როგორც დანაშაულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის საკითხებთან დაკავშირებით საყურადღებო მასალები დაიბეჭდა ქართულ პედაგოგიურ პრესაში მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. მათში ვრცლად არის წარმოდგენილი აღზრდის როლი და მნიშვნელობა მოზარდის პიროვნებად ფორმირების პროცესში. ამ თვალსაზრისით საინტერესო წერილები და გამოკვლევები აქვთ: შ. ამონაშვილს, ლ. არველაძეს, ც. ბაქრაძეს, ი. ბიბილეიშვილს, თ. ბოკუჩავას, ქ. გეგელიას, ვ. გაგუას, ა. გობრონიძეს, ვ. გორგაძეს, დ. დარჩიას, ნ. ენდელაძეს, ი. კელენჯერიძეს, ო. კოღუაშვილს, ა. მაკარენკოს, შ. ნაცვლიშვილს, მ. ოძიშვილს, ნ. როგავას, ლ. ქედიშვილს, გ. ცინცაძეს და სხვას. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნულ ავტორთა ნაშრომებში აღზრდის, როგორც დანაშაულის პრევენციის პრობლემის გზები დანახული და გაშუქებულია საბჭოური იდეოლოგიის თვალთახედვით. მიგვაჩნია, რომ მათი მოსაზრებები და შეხედულებები დღევანდელი გადასახედიდან სხვა თვალით არის დასანახი და იგი სპეციალური შესწავლის საგანს წარმოადგენს. აქვე აღვნიშნავთ, რომ თავად ტერმინი „პრევენცია“ (ლათინური „praeventio“ - ვაფრთხილებ), გულისხმობს რაიმეს თავიდან ასაცილებლად წინასწარი ზომების მიღებას.

საქართველოს სწრაფვამ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობისაკენ, თითქმის ყველა სფეროში განაპირობა ახალი ხედვების ჩამოყალიბება. დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლამაც ახალი ფორმა მიიღო და დანაშაულის საერთო მაჩვენებლის ზრდის ფონზე მისი თავიდან აცილების საკითხი სულ უფრო აქტიურად დადგა დღის წესრიგში.

ამ თვალსაზრისით, ოცდამეერთე საუკუნის ათიან წლებში, ჩვენს საკვლევ თემატიკასთან მიმართებაში გამოქვეყნდა ისეთი გამოკვლევები, როგორიცაა: ა. ბერულავას „აღმზრდელობითი მუშაობის პრობლემა სკოლაში“; ა. გიორგაძის

,,არასრულწლოვანთა სასჯელის მიზანი''; ნ. ენდელაძის, ნ. ჯაყელის „არასრულწლოვანთა დანაშაული, როგორც საზოგადოების ისტორიულად ჩამოყალიბებული, განვითარებადი და არსებული მოვლენა“; ი. კელენჯერიძის „არასრულწლოვანთა დანაშაულობის მიზეზები და პირობები“; მ. ლეკვეიშვილის, მ. შალიკაშვილის ,,არასრულწლოვანთა სასჯელისა და აღმზრდელობითი ხასიათის იძულებითი ღონისძიებების შეფარდების პრობლემები“; ც. მეგრელაძის ,,მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ბავშვებისადმი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დახმარება“; გ. ღლონტის ,,კრიმინოლოგია და სამართლებრივი სისტემა საქართველოში''; ნ. შეროზიას და კ. ცხვარაძის „ძალადობა და უსაფრთხოება ქართულ სკოლებში“; მ. ბაძაღუა ,,იურიდიული პედაგოგიკა“ და სხვა.

დღეისთვის პრევენციისაკენ მიმართულ ღონისძიებებში მრავალი უწყებაა ჩართული: იუსტიციის, შინაგან საქმეთა, განათლებისა და მეცნიერების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროები.

2012 წელს, საქართველოს იუსტიციის მმართველობის სფეროში შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი „დანაშაულის პრევენციის ცენტრი“, რომლის მისია დანაშაულის პრევენციის მიზნით ღონისძიებების გატარება, რისკ ჯგუფებთან მუშაობა და დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობაა. ცენტრის ფარგლებში დაიგეგმა მთელი რიგი პრევენციული ღონისძიებები.

2012 წლის 22 მარტს საქართველოს პრეზიდენტის №235 ბრძანებულებით დამტკიცდა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, რომლის „მიზანია ერთიანი ეროვნული პრევენციული პოლიტიკის ჩამოყალიბება, ეფექტიანი პრევენციული ღონისძიებების გატარების გზით არასრულწლოვანთა დანაშაულის შემცირება ქვეყანაში, აგრეთვე სამართალდამრღვევ არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია საზოგადოებაში“. მნიშვნელოვანია ის, რომ „სტრატეგიაში არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ღონისძიებები დაყოფილია მიზნობრივი ჯგუფისა და პრობლემის განვითარების სტადიის მიხედვით: ა) პირველადი/ადრეული პრევენცია მიმართულია ყველა არასრულწლოვანზე მთელი ქვეყნის მასშტაბით; ბ) მეორე დონის პრევენცია ორიენტირებულია დანაშაულის ჩადენის ზღვარზე მყოფ არასრულწლოვნებზე –

რისკჯგუფებისა და დანაშაულის გამომწვევი ფაქტორების შემცირებაზე; გ) მესამე დონის პრევენცია გამიზნულია განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილებაზე, სამართალდამრღვევ არასრულწლოვანთა გამოსწორებაზე, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციაზე“ (4).

არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგიის მიხედვით, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წამყვანია ადრეულ, პირველი დონის პრევენციაში, ვინაიდან პრევენციული ღონისძიებების უმეტესობა სკოლის ფარგლებში უნდა განხორციელდეს“ (4). „აქცენტი კეთდება ბავშვის სწორ აღზრდასა და სოციალიზაციაზე, განათლებაზე, თავისუფალი დროის სწორად და პროდუქტიულად განაწილებაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის წახალისებაზე, ახალგაზრდებს შორის სწორი ღირებულებების სისტემის ჩამოყალიბებაზე“ (4).

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი პრევენციული ღონისძიებების გატარებისათვის.

2004 წლის 18 ოქტომბერს, განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“ (საქართველოს მთავრობის განკარგულება №84). ეს არის ზოგადი განათლებისათვის ფუნდამენტალური მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი. ამავე დოკუმენტის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები უნდა შეიმუშავოს „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების“ შესაბამისად.

„ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით“ განისაზღვარა, რომ საქართველოში ზოგადი განათლების სისტემამ უნდა „შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ჯანსაღი ცხოვრების წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში“ (51).

საგულისხმოა, რომ საქართველოს კანონში "ზოგადი განათლების შესახებ" განისაზღვრა ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნები, როგორიცაა „მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა; მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება - მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა" (მუხლი 3, პირველი პუნქტი, „ა" და „ბ" ქვეპუნქტები).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 23 ივლისის, №91/ნ ბრძანებით, ეროვნული სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის №36/ნ ბრძანებაში შევიდა ცვლილებები და მე-6 მუხლის „ბ" ქვეპუნქტით განისაზღვრა, რომ დამრიგებელმა რეგულარულად უნდა ჩაატაროს სადამრიგებლო საათი, რომლის ფარგლებში მან უნდა იმუშაოს შემდეგ მიმართულებებზე: პიროვნული და მორალური განვითარება, გარემოსდაცვითი კულტურის განვითარება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია, ცნობიერების ამაღლება, თვალსაწიერის გაფართოება. სწორედ ამ მიმართულებებზე ეფექტური მუშაობა და სადამრიგებლო საათის მაქსიმალურად გამოყენება, პრევენციის ერთ - ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია.

აღსანიშნავია „მოსწავლის ქცევის კოდექსი". იგი ადგენს მოსწავლის ქცევის წესებს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში დისციპლინის და სხვათა პატივისცემის დამკვიდრებას, თავიდან აცილოს ყველა სახის კონფლიქტი მოსწავლეებს, დირექციასა და სკოლის სხვა თანამშრომლებს, შექმნას სკოლაში კეთილგანწყობილი და უსაფრთხო გარემო, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას. აქვე განვმარტავთ, რომ ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ჟ" პუნქტის მიხედვით, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება/სკოლა – საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო

სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად და სრულად მოიცავს ზოგადი განათლების ერთ საფეხურს მაინც“.

,,უსაფრთხო სკოლის'' პროგრამის ფარგლებში შეიქმნა ,,მანდატურის სამსახური'' (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს №74/ნ ბრძანება საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ) რომელიც უზრუნველყოფს სკოლებში კონფლიქტებისა, და დანაშაულის პრევენციას. დებულების მიხედვით, სამსახურის ამოცანაა „საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა; კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში – საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელშეკრულებების საფუძველზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა; სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელშეკრულებების საფუძველზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა“ (99).

ამავე დებულებით რეგულირდება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის ფუნქციები. ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულების ფსიქოლოგიური პრობლემების, ქცევითი და ემოციური დარღვევების მქონე მოსწავლეებს, მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას ან/და მასწავლებლებს, უწევს ფსიქო-სოციალურ მომსახურებას (ფსიქოკორექცია, ფსიქოთერაპია, პრევენცია (პროფილაქტიკა), ფსიქოდიაგნოსტიკა, რესოციალიზაცია), უზრუნველყოფს ფსიქოლოგიური და საგანმანათლებლო ტრენინგების ჩატარებას, სოციალური ინტეგრაციის მხარდამჭერი პროექტების მომზადებასა და განხორციელებას, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ჩატარებას.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფომ დანაშაულის პრევენციის საკითხთან დაკავშირებით არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადადგა, კვლავინდებურად მაღალია დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი. საჭიროა კომპლექსური მიდგომა სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების მხრიდან, რადგან “დანაშაულობის თავიდან აცილება უფრო მარტივია, ვიდრე მისი შედეგების დაძლევა” (13, გვ. 114). „დანაშაულთა

თავიდან აცილებისათვის კი, უფრო ეფექტური იქნებოდა ბრძოლა დანაშაულობათა მიზეზებთან (სოციალურ - ეკონომიკური, იდეოლოგიურ - პოლიტიკური თუ სამართლებრივი მექანიზმებით), ვიდრე ბრძოლა უკვე ჩადენილ დანაშაულთან, როგორც შედეგთან“ (82, გვ. 14). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, „ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა“.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი და რეალური ვითარების შესწავლა, გვიჩვენებს პედაგოგიური საშუალებების წამყვან მნიშვნელობას დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში. „დაბადებიდან ზრდასრულობამდე მოზარდი გადის გზას, რომლიც ერთმანეთისაგან განსხვავებული ეტაპებისაგან შედგება. ზოგ ეტაპზე ბავშვის პედაგოგიური მართვა შედარებით ადვილია, ზოგჯერ კი ისეთ დაბრკოლებას აწყდები რომლის წარმატებით გადალახვა ფაქიზ პედაგოგიურ ტაქტს მოითხოვს“ (165, გვ.12). ყველა, ვისაც ბავშვის აღზრდასთან უწევს შეხება, უნდა აცნობიერებდეს, რომ „მოზარდის ფსიქიკა ძალზედ მგრძნობიარეა“ (166, გვ. 62), არასწორი აღზრდის შედეგად კი „შესაძლოა ჩამოყალიბდეს დანაშაულის ჩადენისაკენ მიდრეკილი ბავშვები“ (173, გვ. 10). „აღზრდის დეფექტი, კერძოდ, ზნეობრივი უზრდელობა, დიდი ხანია აღიარებულია კანონსაწინააღმდეგო ქცევის გენეზისში“ (13, გვ.113). „აღზრდა არის აღსაზრდელის ყოველმხრივი ფორმირების, მისი გონებრივად, ზრეობრივად, ესთეტიკურად, რელიგიურად, ფიზიკურად და მშრომელ ადამინად ჩამოყალიბების მიზანმიმართული, გეგმაზომიერი, სისტემატური, შეგნებული, რთული, მუდმივი, მარადიული პროცესი, რომელიც მიმდინარეობს მტკიცედ ორგანიზებულ გარემოში, აღსაზრდელის ხელმძღვანელობით“ (11, გვ. 15 - 16) და ამ რთული პროცესის სწორად წარმართვა დანაშაულის თავიდან აცილების ერთ - ერთი გარანტია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულის პრევენციის საქმეში აღზრდის როლისა და მნიშვნელობის საკითხი, თანამედროვე ეტაპზე, მეცნიერულ კვლევასა და პრაქტიკულ განხორციელებას მოითხოვს. უკანასკნელ პერიოდში ამ პრობლემის რიგ საკითხებზე ქართველ, უმეტესად კი უცხოელ მეცნიერთა საინტერესო შრომები გამოქვეყნდა, სადაც დამუშავებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ასპექტები. მაგრამ კვლევის საგანი არ გამხდარა და მეცნიერულ დონეზე დამუშავებას

მოითხოვს აღზრდის როლის საკითხი დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში, როგორც თეორიული, მეთოდოლოგიური, ასევე პრაქტიკული კუთხით.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა, რეალურმა ვითარებამ და პრაქტიკულმა საჭიროებამ გამოიწვია ჩვენი ინტერესი საკვლევი თემატიკისა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიების მიმართ.

**კვლევის აქტუალობა განპირობებულია:**

- დანაშაულის პრევენციის საქმეში აღზრდის როლისა და მნიშვნელობის საკითხის საჭიროებით;
- პიროვნების დამნაშავედ ფორმირების გამომწვევი მიზეზების დადგენის, აღზრდაში არსებული ხარვეზების გამოვლენის, შესწავლის, კონკრეტული აღმზრდელობითი ღონისძიებების შემუშავების მიმართებით.

**კვლევის საგანია:** აღზრდის, როგორც დანაშაულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი მექანიზმის მეთოდოლოგიის დამუშავება.

**კვლევის ობიექტია:** აღზრდის, როგორც დანაშაულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის საკითხებთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურა, მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა, ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები/სკოლები და მოცემულ პერიოდში ამ მიმართულებით განხორციელებული კვლევები.

**კვლევის მიზანია:** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სწავლებისა და აღზრდის პროცესზე დაკვირვებით აღზრდის, როგორც დანაშაულის პრევენციის მნიშვნელოვანი მექანიზმის როლის მეცნიერულ დონეზე დამუშავება, შესწავლა, ანალიზი, აღზრდაში არსებული ხარვეზების გამოვლენა, მათი აღმოფხვრისათვის კონკრეტული თეორიული და პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავება, დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში.

კვლევის საერთო მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომში ეტაპობრივადაა გადაჭრილი შემდეგი კონკრეტული **ამოცანები:**

- მოზარდის დამნაშავედ ფორმირების მიზეზების შესწავლა- დადგენა;
- არსებული ვითარების მიხედვით პიროვნების დამნაშავედ ფორმირების საქმეში აღმზრდელობითი კუთხით დაშვებული შეცდომების გამოვლენა და ანალიზი;
- მოზარდებთან აღზრდის, როგორც დანაშაულის პრევენციის გადაჭრის მექანიზმის, აღმზრდელობითი საქმიანობის ფორმების, მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოვლენა, შერჩევა, აღზრდის ეფექტურობის ამაღლება;

- აღმზრდელობით საქმიანობაში ჩართულთა (მასწავლებელი, სკოლის ადმინის-ტრაცია, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური, ფსიქოლოგიური მომ-სახურების ცენტრი, ფსიქოლოგი, მშობელი) კომპეტენციების განსაზღვრა და მა-თი მიღწევის დონის ჩვენება;
- პედაგოგიური საშუალებების წამყვანი მნიშვნელობის ჩვენება დანაშაულის თა-ვიდან აცილების საქმეში;

**კვლევის ჰიპოთეზა:** თანამედროვე ეტაპზე განათლების რეფორმირების პროცეს-ში სრულყოფილად არ არის შესწავლილი დანაშაულის პრევენციის კუთხით განხორ-ციელებული სისტემური ცვლილებები, აღზრდის, როგორც დანაშაულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმები. თუ ობიექტური შეფასება, ანალიზი გაუკეთდება აღზრდის, როგორც დანაშაულის, პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმების დადებით და უარყოფით მხარეებს, ამ კუთხით პედაგოგის, სკოლის ადმინისტრაცი-ის, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის, ფსიქოლოგის, მშობლის საქმია-ნობას, კვლევის შედეგად მიღებული დადებითი მომენტები შესაძლებელია გამოყენე-ბულ იქნას დღევანდელ პირობებში, სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებუ-ლებებში, რათა სწორად წარვმართოთ, აღმზრდელობითი მუშაობა, როგორც დანაშა-ულის პრევენციის ქმედითი საშუალება.

ჩამოყალიბებულმა ჰიპოთეზამ და კვლევის ამოცანებმა განსაზღვრა ჩვენ მიერ კვლევის **მეთოდების** გამოყენება: შერჩეულ საკვლევ პრობლემაზე არსებული სამარ-თლებრივი დოკუმენტების და წყაროების ანალიზი, პედაგოგიური და მეთოდური ლიტერატურის და გამოცდილების შესწავლა, სტატისტიკური ცხრილების ანალიზი, დოკუმენტაციის შესწავლა, ინტერვიუ, ანკეტირება (კითხვარების შემუშავება და გა-მოყენება), დაკვირვება, შედარებითი ანალიზი, მოპოვებულ მონაცემთა შეგროვება, დამუშავება, ინტერნეტრესურსების მოძიება - დახარისხება, შედეგების შეჯამება, მათზე მსჯელობა. კვლევის პროცესში გავეცანით სამეცნიერო ლიტერატურას, მასზე დაყრდნობით შევიმუშავეთ ჰიპოთეზა და დებულებები, რომელთა დამტკიცებასაც ჩვენი კვლევა ისახავდა მიზნად.

**კვლევის ეტაპები:**

- საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული პედაგოგიური, მეთოდიკური, ფსიქო-ლოგიური და სამართლებრივი ლიტერატურის მოძიება-დამუშავება, ბიბლიოგ-რაფიის შედგენა, კვლევის ჰიპოთეზის ჩამოყალიბება;

- სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზური დამუშავება, კვლევის მეთოდების შერჩევა, კვლევის ზოგადი თეორიული პრინციპების ჩამოყალიბება;
- კვლევის მეთოდების რეალიზაცია, ჰიპოთეზის დაზუსტება, შემოწმება და არგუმენტირება;
- სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე, არსებული პრაქტიკული რეალობის შესწავლა (რა სახის აღმზრდელობითი ღონისძიებები ტარდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში ზოგადად, მოზარდებთან და რთულ ბავშვებთან მიმართებაში, როგორ არიან ჩართული ამ პროცესში მშობლები და საზოგადოება, კითხვარები, ინტერვიუები);
- მოპოვებული თეორიული და პრაქტიკული მასალების საფუძველზე ადგილობრივი საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლებთან შეხვედრების მოწყობა, რეკომენდაციების შეგროვება;
- თეორიული და პრაქტიკული კვლევის შედეგად დაგროვებული მასალის პედაგოგიურ - დიდაქტიკური ანალიზი, კვლევის შედეგების (საბოლოო) დამუშავება და დისერტაციის გაფორმება.

**კვლევის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა:**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, პედაგოგიკის დეპარტამენტის ბიბლიოთეკა, ინტერნეტრესურსები, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები/სკოლები, დანაშაულის პრევენციის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების მასალები.

**კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ:**

- თანამედროვე ეტაპზე აღზრდა განხილული და დამუშავებულია, როგორც დანაშაულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმი;
- აღმზრდელობითი საქმიანობის საკითხები ნაჩვენებია დანაშაულის პრევენციის ჭრილში;
- გამოვლენილია პრობლემები, პედაგოგიური, ფსიქოლოგიური და სამართლებრივი კანონზომიერებების ანალიზის საფუძველზე, შემუშავებულია პრობლემის გადაჭრის გზები და შესაბამისი მეთოდიკური რეკომენდაციები.

**კვლევის თეორიული ღირებულება:**

ნაშრომი მიმოიხილავს აღზრდის, როგორც დანაშაულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმის შესახებ არსებულ პედაგოგიურ, ფსიქოლოგიურ, მეთოდურ და იურიდიულ ლიტერატურას, ახდენს არსებული ცოდნის ახლებურად გააზრებას, თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში.

გაანალიზებულია აღზრდის როლი სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის სფეროში, სისტემაშია მოყვანილი ის გზები და ხერხები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში დანაშაულის პრევენციის ეფექტურობის ამაღლება.

**კვლევის პრაქტიკული ღირებულება:**

- კვლევის შედეგების გამოყენება, სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკაში, ხელს შეუწყობს სკოლაში და სკოლის გარეთ დანაშაულის პრევენციას;
- აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში დაინერგება მთელი რიგი მეთოდიკური სიახლეები;
- კვლევაში წარმოდგენილი მასალის ანალიზი, კვლევის შედეგები და დასკვნები შეიძლება წარმოვიდგინოთ, ქართულ სინამდვილეში აღზრდის, როგორც დანაშაულის პრევენციის პრობლემის გადაჭრის მექანიზმის ისტორიულ - დინამიკურ ჭრილში განხილვის მცდელობა;
- მიღებული კვლევის შედეგები და რეკომენდაციები გამოყენებულ იქნება არა მხოლოდ პედაგოგიურ საქმიანობაში, არამედ სამართლისა და ფსიქოლოგიის სფეროში, აღზრდის პრევენციის კუთხით, ინოვაციური პროგრამა - პროექტების დამუშავების საქმეში;
- ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნები და რეკომენდაციები აღმზრდელობითი კუთხით ხელს შეუწყობს სამომავლოდ სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან განათლების სისტემის რეფორმის, თუ მოდერნიზაციის პროცესის ჯეროვნად განხორციელებას;

  კვლევის პროცესში მიღებული შედეგები:
- არსებული რეალობის საფუძველზე პიროვნების დამნაშავედ ფორმირების მიზეზების დადგენა;
- აღმზრდელობით საქმიანობაში არსებული ხარვეზების გამოვლენა;
- პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე პრევენციული ხასიათის აღმზრდელობითი საქმიანობის ფორმების, მეთოდებისა და ტექნოლოგიების განსაზღვრა;

- პიროვნების დამნაშავედ ფორმირების რისკების შემცირება;
- აღზრდის როლის მნიშვნელობის ჩვენება დანაშაულის პრევენციის საქმეში.

**დასაცავად გამოგვაქვს შემდეგი დებულებები:**

- სწორად ორგანიზებული აღმზრდელობითი საქმიანობა წარმოადგენს დანაშაულის პრევენციის ქმედით საშუალებას;
- არახელსაყრელი აღმზრდელობითი გარემო მოზარდის დამნაშავედ ფორმირების ხელშემწყობი ფაქტორია;
- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების მხრიდან;
- ოჯახი არის უმთავრესი აღმზრდელობითი ინსტიტუტი;
- ზოგადსაგანმანათლებლო გარემოში, რეალურ ვითარებაში მიმდინარე აღმზრდელობითი საქმიანობა (ადმინისტრაციის, პედაგოგის, ფსიქოლოგის, მანდატურის) არასაკმარისია და არ წარმოადგენს დანაშაულის თავიდან აცილების გარანტს;
- იმისათვის, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის საქმიანობა დანაშაულის პრევენციაზე ორიენტირებული იყოს, აუცილებელია: სკოლაში დადებითი სასწავლო გარემოს შექმნა, მოსწავლეთა, ოჯახისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ მონაცემთა ბანკის შექმნა, ანალიზი, შესაბამისი მეთოდების შერჩევა.

**კვლევის შედეგების პერსპექტიული გამოყენების სფეროს წარმოადგენს:**

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები/სკოლები - პედაგოგები, კლასის დამრიგებლები, სკოლის ადმინისტრაცია;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები - დოქტორანტები, მაგისტრები, ბაკალავრები;
- დანაშაულის პრევენციის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები;
- არასასკოლო გარემოში აღმზრდელობით საქმიანობაში ჩართული პირები;
- მშობლები.

**ნაშრომის აპრობაცია და პუბლიკაცია.** დისერტაციაში განხილულ საკითხებზე მოხსენებით გამოვდიოდი საუნივერსიტეტო და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე. გამოკვლევების შედეგები სისტემატურად ეცნობოდა პედაგოგიური ფა-

კულტეტის პედაგოგიკის დეპარტამენტს. დასრულებული სახით ნაშრომი განხილული და რეცენზირებული იქნა, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის პედაგოგიკისა და სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტების გაერთიანებულ სხდომაზე.

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:**

ნაშრომი მოიცავს შესავალს, სამ თავს (8 პარაგრაფი), დასკვნებს, გამოყენებული ლიტერატურის სიას.

შესავალში დასაბუთებულია სადისერტაციო თემის შერჩევის მიზანი და ამოცანები, გამოკვლეულია აქტუალობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, განსაზღვრულია პრობლემა, მითითებულია კვლევის პროცესში გამოყენებული მეთოდები, ჩამოყალიბებულია ძირითადი დებულებები.

**სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა ასეთია:**

**შესავალი**

**I თავი - დანაშაულის გამომწვევი მიზეზები**

§1 - დანაშაულის გამომწვევი მიზეზების მეცნიერული ასპექტები;

§2 - დანაშაულის გამომწვევი მიზეზები - რეალური ვითარების ანალიზი;

**II თავი - საოჯახო აღზრდის როლი დანაშაულის პრევენციის საქმეში**

§1 - ოჯახი, როგორც ძირითადი აღმზრდელობითი ინსტიტუტი;

§2 - ოჯახში მოზარდთა უმეთვალყურეობით გამოწვეული პრობლემები;

§3 - მოზარდის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზების მნიშვნელობა დანაშაულის პრევენციის საქმეში;

**III თავი - ძნელადაღსაზრდელები, როგორც ძირითადი რისკ - ჯგუფი**

§1 - „ძნელადაღსაზრდელის“ ტერმინის ეტიმოლოგია, მისი არსისა და ცნების განსაზღვრის საკითხისათვის;

§2 - „ძნელადაღსაზრდელობის“ მიზეზები;

§3 - „ძნელადაღსაზრდელები“ სკოლაში და თანამედროვეობა;

**დასკვნები**

**გამოყენებული ლიტერატურა**

## თავი პირველი

## დანაშაულის გამომწვევი მიზეზები

### §1. დანაშაულის გამომწვევი მიზეზების მეცნიერული ასპექტები

საზოგადოება, თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ყოველთვის ეძებდა დანაშაულის თავიდან აცილების ოპტიმალურ საშუალებას. კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე დანაშაულის ხასიათი და სახე იცვლებოდა, იცვლებოდა მასზე რეაგირებისა და მისი თავიდან აცილების საშუალებები.

დღეს, დანაშაულის პრევენციის საკითხებზე მსჯელობა დანაშაულის გამომწვევი მიზეზების კველევით უნდა დავიწყოთ.

პრობლემის გადაწყვეტა, მისი მიზეზების ახსნაში მდგომარეობს. დაშაულის თავიდან აცილებისთვის აუცილებელია მისი ხელშემწყობი ფაქტორების კვლევა, რადგან, თუ დავადგენთ დანაშაულის გამომწვევ მიზეზებს, მისი თავიდან აცილების საშუალებებიც გამოიძებნება, თუ დავადგენთ დინამიკას, მისი დარეგულირების გზებსაც უფრო იოლად დავსახავთ.

კვლევის თემატიკიდან გამომდინარე, საკითხის ანალიზისას, ჩვენთვის საინტერესოა არა მხოლოდ პედაგოგიკის, არამედ ფსიქოლოგიისა და კრიმინოლოგიის სფეროს წარმომადგენელთა კველევები და მოსაზრებები.

აქვე აღვნიშნავთ, რომ კრიმინოლოგია [ლათ. crimen (criminis) დანაშაული და ბერძ. logos მოძღვრება] არის მეცნიერება დანაშაულის შესახებ. იგი სხვადასხვა მეცნიერებას ემსახურება - სამართალი, ფსიქოლოგია, ფსიქიატრია, სოციოლოგია, ეთნოლოგია, ანთროპოლოგია და პედაგოგიკა. უცხოურ ლიტერატურაში ვხვდებით ასევე ინფორმაციას იმის, შესახებ, რომ უკანასკნელ წლებში, კრიმინოლოგია ეკონომიკის სფეროშიც იკავებს თავის ადგილს. გერმანიის უნივესიტეტებში, იგი სამართლის ფაკულტეტებს ექვემდებარება, ანგლოამერიკანულ და სკანდინავიურ ქვეყნებში, კი სოციალური მეცნიერების გვერდით გვხვდება.

საქართველოს სისლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილია, რომ „დანაშაული არის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია“.

დანაშაულის მიზეზების მეცნიერულ შესწავლას დასაბამი მიეცა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე, თუმცა ეს პრობლემა ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის ფილოსოფოსებსა და იურისტებში იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას. ჩვენთვის საინტერესოა პლატონის, არისტოტელესა და ციცერონის მოსაზრებები. პლატონი მიიჩნევდა, რომ დანაშაულის მიზეზები თავად პიროვნებაში უნდა ვეძებოთ. არისტოტელე მიუთითებდა, დანაშაულის სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებზე (მოუწესრიგებელი სახელმწიფო, სიღარიბე, მექრთამეობა, უზნეობა და ა. შ.). ციცერონი ფიქრობდა, რომ დანაშაულის ჩადენის ძირითადი მიზეზი, დაუსჯელობის იმედი იყო.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის კლასიკური სკოლა, რომელსაც სამი ძირითადი მიმართულება გააჩნდა: გერმანული, ფრანგული და ინგლისური. კანტის თეორიას (ინდეტერმინიზმი) ეყრდნობოდა გერმანული სკოლა, აქედან გამომდინარე, ეს მიმართულება მიიჩნევდა, რომ დანაშაული არის ადამიანის თავისუფალი ნების გამოვლენა და არ გააჩნია მიზეზები. აღნიშნულის საპირისპირო მოსაზრებას ამტკიცებდა სისხლის სამართლის ანთროპოლოგიური სკოლა, იგი დამნაშავეობის მიზეზებს დამნაშავის პიროვნებაში ეძებდა. ანთროპოლოგიური სკოლის წარმომადგენლები არიან: ჩეზარე ლომბროზო, ენრიკო ფერი და სხვა.

იტალიელი ფსიქიატრი და ციხის ექიმი, კრიმინოლოგიის მამად აღიარებული ჩეზარე ლომბროზო, ე. წ. კრიმინოლოგიის პოზიტიური სკოლის ფუძემდებლად ითვლება. იგი ამტკიცებდა, რომ ადამიანი დამნაშავედ არ ყალიბდება, არამედ გენეტიკურად ვლინდება. წიგნში “დამნაშავე ადამიანი“ იგი დანაშაულებრივი ქცევის ძირითად მიზეზებად, ბიოლოგიურ და გარემო ფაქტორებს ასახელბდა და ამტკიცებდა, რომ პიროვნება დამნაშავეა თუ არა, მიუთითებს მისი გარეგნობა. ლომბროზო ამტკიცებდა, რომ მკვლელისათვის დამახასიათებელია ვიწრო შუბლი და წვრილი თვალები, ხოლო გრძელი თითები ქურდის ნიშანია. მისი მოსაზრება, რომ დამნაშავეობა გენეტიკური მოვლენაა მეცნიერულად უარყოფილია.

ლომბროზოს მოსაზრებას თანდაყოლილი დამნაშავეების შესახებ იზიარებდა იტალიელი კრიმინოლოგი და პოლიტიკოსი, თანამედრო კრიმინოლოგიის ერთ - ერთი ფუძემდებელი, ენრიკო ფერი. თუმცა იგი დანაშაულის გამომწვევ მიზეზთა შორის მნიშვნელოვნად მიიჩევდა სოციალურ ფაქტორებს. თავის წიგნში

„დანაშაული, როგორც სოციალური მოვლენა“ მხოლოდ სოციალური ფაქტორებით არ იფარგლება და მნიშვნელოვნად მიიჩნევს ფიზიკურ ნიშნებსა და კლიმატურ ფაქტორებს. ამდენად იგი გამოჰყოფს დანაშაულის გამომწვევი მიზეზების სამ ძირითად ჯგუფს: ანთროპოლოგიური ფაქტორები, ფიზიკური ფაქტორები, სოციალური ფაქტორები.

ფერი აღიარებს დანაშაულის სოციალურ მიზეზს, აგებს ამ მიზეზების თავიდან აცილების ღონისძიებათა (ეკონომიკური, პოლიტიკური, სამეცნიერო, საკანონმდებლო, რელიგიური, აღმზრდელობითი, საოჯახო - სამართლებრივი და ადმინისტრაციული) სისტემას, თუმცა მაინც ანთროპოლოგად რჩება, და ამტკიცებს, რომ, სოციალური ფაქტორები, ანთროპოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების გარეშე ვერ გამოიწვევს დანაშაულს.

XIX საუკუნის 90 - იან წლებში სისხლის სამართლის მეცნიერებაში აღმოცენდა ახალი მიმართულება - სისხლის სამართლის სოციოლოგიური სკოლა, რომლის მამამთავრად ითვლება გერმანელი სამართალმცოდნე ფრანც ლისტი. იგი დანაშაულს შეისწავლიდა  როგორც ცხოვრებისეულ მოვლენას, როგორც სოციალურ სამყაროში მომხდარ ფაქტს. ლისტის საპირისპირო მოსაზრებას აყალიბებდნენ სოციოლოგიური სკოლის მიმდევრები. ისინი მიიჩნევდნენ, რომ დამნაშავე სოციალური გარემოს ზემოქმედებით, სხვადასხვა ფაქტორთა ერთობლიობით იქმნება.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის შედეგად, აღმოჩნდა, რომ, მეცნიერთა ნაწილის მოსაზრებები დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისა და პირობების შესახებ ორი მიმართულებით განვითარდა.

პირველი მიმართულება წარმოდგენილი იქნა შემდეგი თვალსაზრისით: სოციალურ გარემოში არ არის და არ შეიძლება იყოს დანაშაულის გამომწვევი მიზეზები. მეორე მიმართულება კი ავითარებს იმ აზრს, რომ ნებისმიერ გარემოში, დანაშაულის მიზეზები არსებობს. თუმცა მიზეზობრივი მექანიზმის განმარტება იმდენად მრავალფეროვანია, რომ შეუძლებელია ყველა საავტორო თვალსაზრისის განხილვა. ამიტომ  ჩვენ შემოვიფარგლებით მათი განზოგადოებული ანალიზით.

მაგალითად, ი. ს. ნოის აზრით, დანაშაულის ჩადენის მიზეზები უნდა ვეძებოთ ადამიანთა პიროვნულ ფსიქოფიზიკურ თვისებებში, სწორედ პიროვნული ფსიქოფიზიკური  თვისებებისა და გარემოს ურთიერთმიმართებას მიჰყავს ადამიანი დანაშაულის ჩადენამდე. დანაშაულთა დეტერმინაციის მიზეზის მექანიზმი, ი. ს.

ნოის აზრით, გამოიყურება შემდეგნაირად: „პიროვნების თანდაყოლილი ან შეძენილი კრიმინოგენური თვისებები მიკროგარემოს არახელსაყრელ პირობებთან „შეხებისას“ ქმნიან იმ კანონზომიერებას, რომელიც დეტერმინირებას უწევს დანაშაულს“ (153, გვ. 7 - 8).

პიროვნების კრიმინოგენური თვისებებით დანაშაულის მიზეზთა ახსნის მცდელობისას ი. ს. ნოი არ არის მარტო. ა. რ. რატინოვის აზრით, „დამნაშავეთა უშუალო მიზეზები და დანაშაულის მქონე ხასიათის წყარო ყოველთვის დანაშაულის ჩამდენის პიროვნებაშია“ (157, გვ. 9). ავტორთა სხვა ჯგუფი კი მიიჩნევს, რომ საზოგადოებაში დანაშაულის მიზეზებს აქვთ არა სოციალური, არამედ სოციალურ - ფსიქოლოგიური ხასიათი. ამ თვალსაზრისის წარმომადგენელთა ჯგუფს მიეკუთვნება ნ. ფ. კუზნეცოვა და ნ. ა. სტრუჩკოვი. ნ. ფ. კუზნეცოვა წერს: “დანაშაულის (და დანაშაულთა) უშუალო მიზეზი სუბიექტური ფაქტორია: ინდივიდუმთა, საზოგადოებათა ფსიქოლოგიის დეფექტები...“ (151, გვ. 13)

„მიზეზები – სოციალურ - ფსიქოლოგიური დეტერმინანტებია, რომლებიც უშუალოდ ქმნიან დანაშაულს, როგორც თავის კანონზომიერ ბუნებრივ შედეგს“ (147, გვ. 160). ნ. ა. სტუჩკოვი თვლის, რომ უშუალო მიზეზები უნდა ვეძებოთ ცნობიერების სფეროში, რადგან „ადამიანის ქმედებების გამომწვევმა ყველა მამოძრავებელმა ძალამ მის გონებაში აუცილებლად უნდა გაიაროს და გადაიქცეს მისი ნების მოწოდებად“ (159, გვ. 29).

დანაშაულის გამომწვევი მიზეზებისადმი თანამოაზრეთა ამგვარი მიდგომა, ჩვენი აზრით, განპირობებულია იმით, რომ ინდივიდთა და ადამიანთა ჯგუფის (საზოგადოების) კრიმინოგენური ფსიქოლოგიის ფორმირების წყაროებს ისინი სოციალურ ფაქტორებში ხედავენ და ინდივიდუალური და სოციალური ფსიქოლოგიის დეფორმაციის მიზეზად ასახელებენ. ასეთ ფაქტორებს მიაკუთვნებენ ცნობიერების განვითარების ჩამორჩენას, ცხოვრების წესის ზემოქმედებას, საზოგადოების განვითარების ნაკლოვანებებს და სხვა. ეს ფაქტორები აღიარებულია, როგორც დანაშაულობების ხელშემწყობი მიზეზები. საბოლოო ჯამში, დანაშაულთა მიზეზობრივი მექანიზმი გამოიყურება, როგორც სუბიექტურ (ფსიქოლოგიურ) მიზეზთა და ობიექტური სოციალური პირობების ურთიერთქმედება. ამგვარი მიდგომის თანამოაზრეებს საერთო აქვთ ის მოსაზრება, რომ დანაშაულთა მიზეზად გამოდიან არა ცალკეული მოვლენები, არამედ, ყოველი საზოგადო – ეკონომიკური

ფორმაციებისთვისა და სახელმწიფოთა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის მქონე ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა კომპლექსები.

ბოლო დროს კრიმინოლოგიურ მეცნიერებაში ვითარდება მიდგომა, რომლის თანახმად საზოგადოებაში დანაშაულთა მიზეზები სოციალურია და თავად საზოგადოების ბუნებაში მის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში მდგომარეობს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ თვალსაზრისის წყაროები კრიმინოლოგიის განვითარების უფრო ადრეული პერიოდიდან მომდინარეობენ. მაგალითად, ა. ა. პიონტკოვსკი, ჯერ კიდევ 1967 წელს წერდა: „...საზოგადოებაში დანაშაულთა სოციალური მიზეზები სოციალიზმის არაანტაგონისტური წინააღმდეგობებია“ (156, გვ. 33.).

ა. მ იაკოვლევი ფორმულირებას უკეთებს შემდეგ განზოგადებულ დასკვნას: „...მთელი მეცნიერება, კრიმინოლოგია, მისი თეორია უნდა მიდიოდეს იქით, რომ თავად სოციალურ გამოცდილებაში სოციალური ყოფის რეალურ პირობებში მოიძებნოს დანაშაულთა მიზეზები და მოხდეს მათზე რეაგირება ამ პირობების გარდაქმნით...“ (160, გვ. 185). ამგვარი თვალსაზრისის თანამოაზრეთა მიერ დანაშაულთა უშუალო მიზეზი სხვადასხვაგვარად განისაზღვრება: ვ. ვ. ორეხოვი მიიჩნევს, რომ უშუალო მიზეზი შრომის სოციალურ – ეკონომიკური არაერთგვაროვნებით გამოწვეული ხალხთა ფაქტიური უთანასწორობაა; ი. ი. გილინსკი თვლის, რომ დანაშაულის მიზეზი ხალხთა სოციალურად ფორმირებულ მოთხოვნათა შორის და მათი დაკმაყოფილების სოციალურად განპირობებულ შესაძლებლობათა წინააღმდეგობაში მდგომარეობს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წამყვანი კრიმინოლოგები (ვ. ნ. კუდრიავცევი, ი. ი. კარპეცი, ა. ბ. სახაროვი, ა. ი. დოლგოვა, ვ. მ. კოგანი, ა. მ. იაკოვლევი და სხ.) დაჟინებით არ ამტკიცებენ თავიანთ ტრადიციულ მიდგომებს. ასე მაგალითად, ვ. ნ. კუდრიავცევი წერს: “დროა გავიგოთ, რომ დანაშაულთა ჩადენის ზრდა თუ დაცემა პირველ რიგში და ძირითადად დამოკიდებულია მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური პირობების შეცვლაზე, საზოგადოებრივ სოციალურ ცნობიერებაზე“ (149, გვ. 10).

დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესახებ საინტერესოა ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, მარინა ბალიაშვილის მოსაზრებები. თავდასხმა, განზრახ მკვლელობა, ცოლ - შვილის ცემა, სექსუალური ძალადობა - დანაშაულებრივი ქცევის

ამ სახეებს იგი აგრესიის მაგალითებად განიხილავს, აგრესიის გამომწვევ მიზეზებად კი ასახელებს :

1. „შინაგანი ფაქტორები (აქ გამოყოფილია განრისხება, სექსუალური აგზნება, იუმორზე ემოციური რეაგირება. სტატისტიკური მონაცემებით ცნობილია, რომ განრისხებით არის მოტივირებული მკვლელობათა სამი მეოთხედი);
2. სიტუაცია - როგორც ფიზიკური, ისე სოციალური გარემოს ფაქტორები;
3. ალკოჰოლი, ნივთიერება, რომელიც ცვლის „მეს“ გაცნობიერებას და ზრდის აგრესიას;
4. გარემოში აგრესიული ქცევის ნიმუშების არსებობა;
5. აგრესიისა და ძალადობის სისტემატიური ყურება;
6. აგრესიის გამოწვევა შეეუძლია გარესიტუაციაში აგრესიასთან ასოცირებულ ისეთ საგანთა არსებობას, როგორიცაა ცეცხლსასროლი და ცივი იარაღი (9, გვ. 5).

უსახსრობა, ახლობლების დაკარგვა, მშობლებისაგან განშორება, მაწანწალობა, საყოფაცხოვრებო პირობების უვარგისობა და ა. შ. ეს იმ მიზეზთა ჩამონათვალია, რომლებსაც ციალა მეგრელაძე სტრესის გამომწვევ მიზეზებად ასახელებს. „სტრესულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ბავშვს თუ თანამგრძნობი და დამხმარე პედაგოგებს ან თანატოლებს შორის არ აღმოაჩნდა, იგი სხვაგან დაიწყებს მის ძებნას, იქ, სადაც ერთი შეხედვით მას ადვილად გაუგებენ, მოუსმენენ, სინამდვილეში კი ეს დამღუპველი შეიძლება აღმოჩნდეს.

ამრიგად იქმნება სიტუაცია, რომ სასკოლო გარემომ პედაგოგის მონაწილეობით ხელი ჰკრას, მოლოდინი არ გაუმართლოს ბავშვს, ან პირიქით, დახმარების სხვადასხვა საშუალება შესთავაზოს, გაამხნევოს, საკუთარი თავის შეცნობა ასწავლოს, დაბრკოლება გაუიოლოს და მისი გადალახვის გზა აპოვნინოს“ (76, გვ.10).

ზოგადად დანაშაულობებს შორის, არასრულწლოვანთა დანაშაულობებს გამოჰყოფს იზა კელენჯერიძე სტატიაში „არასრულწლოვანთა დანაშაულობის მიზეზები და პირობები მოზარდის პიროვნება როგორც სუბკულტურული ფასეულობების მატარებელი და მისი დამნაშავედ ფორმირების ეტაპები“ და გვაძლევს დანაშაულის გამომწვევი მიზეზების სანტერესო ჩამონათვალს:

1. „ოჯახის როლი;
2. სასკოლო აღზრდის ნაკლოვანებები;
3. ასაკობრივი თავისებურებები;

4. მძიმე სოციალური პირობები და გარემო;

5. ალკოჰოლი და ნარკოტიკი;

6. ძალადობის ამსახველი ფილმები;

7. მიგრაცია. სპეციფიკური კრიმინოგენული მნიშვნელობა შეიძლება ქონდეს ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელ გადაადგილებებს სწავლის, სამუშაოს და საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის გამო. ეს იწვევს ახალგაზრდის ოჯახიდან მოწყვეტას, ხოლო ახალ გარემოცვაში მან შეიძლება უკრიტიკოდ აითვისოს უარყოფითი ზნე-ჩვეულებები და ჯგუფური წესები.

დღეს მიგრაცია უკვე ერთხმად არის აღიარებული დანაშაულობის გამომწვევ ერთ - ერთ მიზეზად. დანაშაულობის მხრივ, პირველ ადგილზე სწორედ ის ქვეყნები დგას, რომლებიც მიგრაციის მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა (უპირველეს ყოვლისა, მაღალგანვითარებული ქვეყნები) (56).

ზემოთ მოყვანილი მიზეზობრიობის ჯაჭვში იზა კელენჯერიძე გამოჰყოფს ოჯახის როლს „ოჯახი, როგორც საზოგადოების ერთ - ერთი ძირითადი უჯრედი, ახალგაზრდა თაობის აღზრდით საზოგადოებრივ მოვალეობას ასრულებს და თუ ახალგაზრდა დანაშაულებრივ გზას დაადგა, ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახმა ვერ შეძლო დაკისრებული ვალდებულებების შესრულება“ (56).

დანაშაულებრივი ქცევის შესახებ სოციალურ დეტერმინანტთა საინტერესო ჩამონათვალს გვთავაზობს ირაკლი გოძიაშვილი:

1. „კეთილმოუწყობელი ოჯახი;

2. ხარვეზები სასწავლო დაწესებულებებში;

3. სიძნელეები შრომით მოწყობაში;

4. ხარვეზები სამართალდამცავ ორგანოთა მატერიალური, საკანონმდებლო და საკადრო უზრუნველყოფის პროფილაქტიკაში“ (38, გვ. 38).

საინტერესოა გურამ ნაჭყებიას მოსარზება, რომელიც აღნიშნავს, „რომ დანაშაული სოციალური მოვლენაა და მას როგორც წესი სოციალურ - ეკონომიკური მიზეზები განაპირობებს“ (82, გვ. 14).

უნდა დავეთნხმოთ ი. გოძაშვილს, რომ „სოციალურ ძვრებზე განსაკუთრებით მძაფრად ახალგაზრდობა რეაგირებს, რამდენადაც იგი მოსახლეობის ყველაზე აქტიურ ნაწილს შეადგენს. სწორედ მის გარემოში აღინიშნება ახალგაზრდათა ქცევის გაზრდილი კრიმინალიზაცია და მათ მიერ სოციალურად განსაკუთრებით საშიშ

ქმედებათა ჩადენა (ყაჩაღობა, ძარცვა, ბანდიტიზმი, ძალადობრივი დანაშაულობები).“

ვიზიარებთ ვ. გორგაძის აზრს სამართლის ნორმების დარღვევის მიზეზების საინტერესო ჩამონათვალთან დაკავშირებით:

1. „ბავშვთა სწორი აღზრდისათვის არახელსაყრელი ოჯახური პირობები;
2. ბავშვთა უმეთვალყურეობა მშობელთა და სხვა აღმზრდელთა მიერ;
3. მშობელთა არანორმალური ურთიერთდამოკიდებულება;
4. მშობელთა გაყრა;
5. ცუდი აღზრდა;
6. მშობელთა ცუდი მაგალითი;
7. მშობელთა და სხვა უფროს წევრთა მიერ ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის დაუდევრად შენახვა;
8. სკოლის მიტოვება;
9. სრულწლოვან დამნაშავე რეციდივისტთა მიერ მცირეწლოვანთა წაქეზება დანაშაულის ჩასადენად;
10. სიმთვრალე და სხვ“ (37, გვ. 58).

აღიარებულია ფაქტი, რომ სიმთვრალე დანაშაულის წარმოშობის პირველი წყაროა. სასმელის გადაჭარბებული და სისტემატიური მიღება ადამიანს ფიზიკურად და გონებრივად ასუსტებს და უბიძგებს არამართლზომიერი ქმედებისაკენ. სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ სიმთვრალე განაპირობებს ხშირ შემთხვევაში ხულიგნობას, უფრო ხშრად კი სატრანსპორტო დანაშაულის ჩადენას.

„რეციდივისტი დამნაშავეები სხვადასხვა ხერხების გამოყენებით ცდილობენ ჩაითრიონ თავიანთ დანაშაულებრივ საქმიანობაში სულ ახალი და ახალი პირები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდები და ზოგ შემთხვევაში აღწევენ კიდეც თავიანთ მიზანს... იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ქუჩის უარყოფითი ზემოქმედება მოზარდებზე, საჭიროა ოჯახმა, სკოლამ, ფართო საზოგადოებამ გააძლიერონ ზედამხედველობა არასრულწლოვანთა მიმართ და დაიცვან ისინი სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მოქმედებისაგან“ (27, გვ. 62).

ძალზედ საინტერესო მოსაზრეებს ვხვდებით ნოდარ როგავას სტატიაში „არასრულწლოვანთა მართლსაწინააღმდეგო ქცევის საკითხებისათვის“. უნდა დავეთნხმოთ, რომ

1. „წინააღმდეგობანი, რომლებიც ვლინდებიან რაციონალურსა და ემოციონალურ, აქტუალურ მოთხოვნილებებსა და ნებელობით თვისებებს შორის, ქმნიან ხელსაყრელ პირობებს მოზარდის ფსიქიკის გაორებისათვის, რომლის ყველზე უარყოფითი გამოვლენა პირფერობაა, როცა მოზარდი უფროსების თვალწინ ცდილობს კარგად მოიქცეს, მათი მეთვალყურეობის მიღმა ადვილად ახორციელებს ამორალურ ქცევას. პატარა სიცრუეს მივყავართ დიდ უსამართლობამდე, უზნეო ქცევას - კანონის სერიოზულ დარღვევამდე.

2. აღმზრდელთა მიერ განსხვავებულ მოთხოვნილებათა წაყენება მოზარდში შინაგან კონფლიქტს წარმოშობს. მისი ქცევა არათნმიმდევრული ხდება, მის აქტივობაში იზრდება სიკეთსა და ბოროტებას შორის მერყევობის ამპლიტუდა, შინაგანი კონფლიქტები, რომელიც მოზარდს დანაშაულისაკენ უბიძგებენ, არის არათნმიმდევრული გარეგანი ზემოქმედებისა და წინააღმდეგობრივი სასიცოცხლო გამოცდილების შედეგი.

3. კონფლიქტი ხშირად წარმოიშობა მშობლებსა და შვილებს შორის. ერთის მხრივ ბავშვებს არ ესმით მშობლების მოთხოვნის მნიშვნელობა და მათი ზნეობრივი პოზიციებისადმი უარყოფით დამოკიდებულებას ავლენენ, მეორეს მხრივ მშობლებს სათანადო ფსიქოლოგიური და პედაგოგიური გაუნათლებლობის გამო, მოზარდის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ მისწრაფება მიუღებელ მოვლენად მიაჩნიათ და მას საგანგებოდ უპირისპირდებიან. ამგვარი კონფლიქტები მოზარდში განსაკუთრებულ დაძაბულობას იწვევენ, რაც ხშირად მთავრდება იმით რომ იგი გამოდის ოჯახური გავლენის ფარგლებიდან და ისეთ მეგობრებს დაუწყებს ძებნას, რომლებიც ზნეობრივად მისაღები ქცევის სტანდარტებიდან გადახრილნი არიან, დანაშაულებრივ ქცევას ახორციელებენ და იგი საკუთრი პიროვნების თვითგანმტკიცებისა და თვითგამოვლენის შესაძლებლობებს მიუღებელ წრეში ნახულობს.

4. როცა მოზარდი არაორგანიზებული აღმზრდელობითი ზემოქმედების გამო ადრეულ ასაკში დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოქმედების სიტუაციაში ხვდება, ეს მოთხოვნილებები უფრო ინტენსიურად ვითარდებიან და დიდად უსწრებენ წინ სხვა სოციალურ მოთხოვნილებებსა და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. ასეთ ვითარებაში ეს მოთხოვნილებები დანაშაულებრივი ქცევის ხელშემწყობ სუბიექტურ, ფსიქოლოგიურ ფაქტორებად იქცევიან.

5. ოჯახური აღზრდის პროცესში მშობლიური სიყვარული შვილებს შორის თუ გონივრულად არ ნაწილედება, ეს შეიძლება ბავშვთა უდისციპლინობისა და მართლწესრიგის დარღვევის საფუძველიც გახდეს“ (93, გვ. 62).

„მოთხოვნილებები წარმოადგენენ უზარმაზარ ძალას, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს როგორც ცალკე ინდივიდები, ისე ინდივიდთა საზოგადოეობრივი გაერთიანებანი“ (124, გვ. 93). მოთხოვნილებებს, როგორც წესი ორ ძირითად ჯგუფად ჰყოფენ, ესაა თანშობილი მოთხოვნილებები, რომელშიც თვითშენახვასთან დაკავშირებული ყველა მოთხოვნილება ერთიანდება და სხვა დანარჩენი მოთხოვნილებები - სოციალური ცხოვრების პირობებში აღმოცენებული. ჩვენთვის საინტერესოა შ. ჩხარტიშვილის მიერ მოცემული კლასიფიკაცია. იგი გვაძლევს მოთხოვნილებათა სამ ჯგუფს:

**ბიოგენური მოთხოვნილებები:** თვითშენახვის (კვების, თავდაცვის, მოტორული აქტივობის, დასვენების, ძილის, ორგანიზმიდან ნარჩენების გამოყოფის), სქესობრივი, გამრავლების, ალკოჰოლისა და ნარკოტიკული ნივთიერებების.

**ფსიქოგენური მოთხოვნილებები:** ინტელექტუალური (პერცეპტული აქტივობის, ინტელექტუალური აქტივობის, ახალი შთაბეჭდილებების, ცნობის მიღების, ცოდნის მოპოვების, თეორიული ძიების, კონსტრუირების, ესთეტიკური (ესთეტიკურ ჭვრეტაში ტკბობის, ესთეტიკური შემოქმედების, ესთეტიკურ მოვლენათა რეპროდუქციის, თვითგაესთეტიკურების), პერცეპტული ტკბობის, თავისუფლების, წესრიგის, მიღწევის, ქონების, ტურიზმისა და სანახაობის, პროფესიული შემოქმედების, კოლექციონერობის, ფანტაზიორობის, უკვდავების, სენსაციის, წარსულში დაბრუნების, თამაშისა და გართობის, მძაფრი შინაგანი დაძაბულობისა და აზარტული განცდების.

**სოციოგენური მოთხოვნილებები:** სასხვისო ურთიერთობის, სიკეთის (ქველმოქმედების, დახმარებისა და თანაგრძნობის, სამართლიანობის, მფარველობის, სხვებისადმი სიამოვნების მინიჭების, შთამომავლობის კეთილდღეობაზე ზრუნვის), სასხვის - სათავისო ურთიერთობების (თანაარსებობის, საუბრისა და აზრის გაზიარების, კოოპერაციისა და თანამშრომლობის, ოჯახური ბედნიერების, მეგობრობისა და სიყვარულის, სხვებისადმი ხელმძღვანელობის, ძლიერის მფარველობის ქვეშ ყოფნის, ნადიმისა და დროის ტარების), სათავისო ურთიერთობა: თვითგამოყოფის (თვითღირებულებებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების

ნორმებში შეზრდის, საზოგადოებრივი პრესტიჟის, თავის გამოჩენის და სხვების ყურადღების საგნად ყოფნის, პირადი ღირსების დაცვის, დამოუკიდებლობის, შეჯიბრებისა და ჯობნების, უპირატესობის მოპოვების, ძალაუფლების, მბრძანებლობისა და დამორჩილების) და სიავის (შეშურნებისა და სიხარბის, შურისძიების, სხვების დაცინვისა და დამცირების, სხვებისადმი ზიანის მიყენების).

ავტორი აღნიშნავს, რომ „ყველა ზემოთდასახელებული მოთხოვნილება ერთნაირ როლს არ ასრულებს პიროვნების საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ზოგი მათგანი თავისი ბუნებით ისეთია, რომ იგი აღმზრდელობითი ზემოქმედების გზით უნდა იქნეს ამოღებული პიროვნების ბუნებიდან, სადაც კი თავს იჩენს, ზოგი კიდევ განსაკუთრებული მზრუნველობის საგნად უნდა იქცეს, რომ სრულყოფილად განვითრდეს და გაძლიერდეს. საზოგადოებრივად გაუმართლებელი ცხოვრების პირობებში ბევრ მათგანს შეუძლია მახინჯი ფორმა მიიღოს და შემდეგ არსებობის მთელ მანძილზე, მძიმე ტვირთად დააწვეს პიროვნებას და მთელი მისი ცხოვრება გაამრუდოს“ (124, გვ. 113 - 115).

დანაშაულის ჩადენის მიზეზების შესახებ საინტერესო ნუსხაა მოცემული მაია ხასიას წიგნში ,,მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია საქართველოში, რეალობა და პერსპექტივები’’ (ნაწილი 2):

1. „მძიმე ოჯახური და სოციალური პირობები;

2. კონფლიქტები ოჯახში, რაც ალბად ლოგიკური იქნება თუ ვიტყვით, რომ ხდება არასრულწლოვანთა აგრესიის საფუძველი, რომელსაც ყველა თანამშრომელი ერთმნიშვნელოვნად უსვამს ხაზს;

3. ოჯახში ფუნქციათა არასწორი გადანაწილება, რაც არასრულწლოვნების მიერ დანაშაულის ჩადენის საფუძველი ხდება. არასრულწლოვანს, რომელსაც არა აქვს განათლება, პროფესია და ცხოვრებისეული გამოცდილება, უწევს ოჯახის რჩენა, თანაც ისეთ გარემოში, სადაც სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი არ არის დასაქმების შესაძლებლობა. ლოგიკურია, ასეთ ვითარებაში არასრულწლოვანი მიდის დანაშაულამდე, ან ირჩევს ფულის შოვნის საქართველოში აპრობირებულ გზას - მათხოვრობას, რომელსაც საბოლოოდ მაინც დანაშაულამდე მიჰყავს იგი;

4. სახელმწიფოს როლი, სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტების აქტიური ჩარევის საჭიროება მოზარდთა ფორმირების პროცესში მანამ, სანამ მათ მიერ დანაშაულის ჩადენა მოხდებოდეს;

5. საზოგადოების როლი და მისი დადებითი ზეგავლენის დეფიციტი;

6. აღზრდის პრობლემები, ანუ არასწორი აღზრდა, აღზრდის დეფიციტი;

7. ფსიქოლოგიური პრობლემები. ფსიქოლოგის ინსტიტუტის დანერგვის აუცილებლობა, როგორც ციხეში მოხვედრის შემდეგ, ასევე მანამდე, სკოლაში მათი ჩამოყალიბების პროცესში და მათში სწორი და ეფექტიანი უნარ - ჩვევებისთვის ჩამოყალიბებისთვის ხელის შეწყობა" (139, გვ. 13).

## §2. დანაშაულის გამომწვევი მიზეზები - რეალური ვითარების ანალიზი

პრობლემის ანალიზისას, აუცილებლად მიგვაჩნია მოვიხმოთ სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ როგორია უკანასკნელ წლებში კრიმინოლოგიური მდგომარეობა და დანაშაულობების დინამიკა ჩვენს ქვეყანაში. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ მონაცემბეზე დაყრდნობით, დანაშულის სახეობების მიხევით, 2001-2011 წლებში საქართველოში შემდეგი სურათი გვაქვს:

რეგისტრირებული დანაშაული:

ცხრილი №1

| დანაშაულის სახეობები | წელი | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005* | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
| რეგისტრირებული დანაშაული, სულ | 15662 | 16658 | 17397 | 24856 | 43266 | 62283 | 54746 | 44644 | 35949 | 34739 | 32263 |
| მათ შორის: | | | | | | | | | | | |
| მძიმე დანაშაული | 8601 | 9658 | 10326 | 17833 | 24320 | 29249 | 13158 | 13028 | 11093 | 9987 | 9017 |
| განზრახ მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა | 430 | 498 | 499 | 538 | 697 | 640 | 741 | 653 | 494 | 418 | 336 |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება | 244 | 279 | 253 | 371 | 368 | 271 | 157 | 200 | 134 | 126 | 94 |
| გაუპატიურება | 39 | 52 | 52 | 62 | 141 | 167 | 156 | 100 | 84 | 82 | 78 |
| ძარცვა | 399 | 397 | 556 | 1316 | 2087 | 2751 | 1615 | 1167 | 958 | 638 | 485 |
| ყაჩაღობა | 676 | 757 | 1013 | 1733 | 1925 | 2160 | 1208 | 1008 | 700 | 398 | 261 |
| ქურდობა | 4949 | 5548 | 5593 | 10634 | 16256 | 27657 | 18586 | 14814 | 11473 | 11371 | 11383 |
| ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო ბრუნვა | 1783 | 1855 | 1945 | 1941 | 2074 | 3542 | 8493 | 8699 | 6336 | 5465 | 3776 |
| ხულიგნობა | 437 | 488 | 487 | 706 | 1314 | 1208 | 858 | 724 | 524 | 435 | 455 |
| ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევა, რომელმაც გამოიწვია დაზარალებულის სიკვდილი | 300 | 267 | 308 | 385 | 445 | 499 | 511 | 551 | 453 | 420 | 301 |
| არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული | 662 | 674 | 617 | 557 | 755 | 997 | 674 | 759 | 595 | 543 | 333 |

გრაფიკული გამოსახულება №1 უფრო ნათლად გვიჩვენებს, თუ დანაშაულის რომელი სახის მაჩვენებელია გაზრდილი:

გრაფიკული გამოსახულება №1

**დანაშაულის სახეობები
2001-2011 წლებში**




გრაფიკული გამოსახულება №2 გვიჩვენებს სულ რეგისტრირებული დანაშაულობების დინამიკას 2001-2016 (I – III კვარტალი) წლებში:

გრაფიკული გამოსახულება №2

**სულ რეგისტრირებული დანაშაული**




გრაფიკული გამოსახულება №3 გვიჩვენებს არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულობების დინამიკას 2001-2016 (I – III კვარტალი) წლებში.

გრაფიკული გამოსახულება №3




როგორც სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, 2001-დან 2006 წლამდე, სულ რეგისტრირებულ (იხილეთ გრაფიკული გამოსახულება №2) და მათ შორის, არასრულწლოვანთა (იხილეთ გრაფიკული გამოსახულება №3) მიერ ჩადენილ დანაშაულთა მაჩვენებელმა ერთმანეთის პარალელურად იმატა, მომდევნო წლებში კი კვლავ კლება განიცადა, მაგრამ 2016 წლის საერთო მაჩვენებელი ჩვენს ხელთ არსებულ 2001 წლის ნიშნულთან შედარებით დაახლოებით ორჯერ მაღალია, თანაც იმ პირობებში, როცა ოფიციალური მონაცემებით ჯერ - ჯერობით მხოლოდ მიმდინარე წლის პირველი სამი კვარტალი არის მოცემული. სულ 493365 დანაშაულია რეგისტრირებული, აქედან 8855 (დაახლოებით 2%) არასრულწლოვანთა მიერაა ჩადენილი.

მეცნიერთა შეხედულებებზე დაყრდნობით, ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, რათა გაგვეგო საზოგადოების აზრი დანაშაულის გამომწვევი მიზეზების შესახებ.

**კვლევის მიზანი:** დანაშაულის გამომწვევი მიზეზების დადგენა.

**კვლევის მეთოდი:** კვლევა მოიცავდა ორ ეტაპს. პირველ ეტაპზე განხორციელდა თვისობრივი კვლევა, გამოყენებულ იქნა ჯგუფური დისკუსიის ტექნიკა, მონაწილეობდა მასწავლებლების, მოსწავლეებისა (მე-11, მე-12 კლასი) და სხვა პირებისაგან (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლები) შემდგარი სამი ფოკუს - ჯგუფი (სულ 15 რესპოდენტი). თვისობრივი კვლევის შედეგები გამოვიყენეთ კვლევის მეორე ეტაპისათვის

(რაოდენობრივი კვლევა) კითხვარის სტრუქტურის აგებისას (იხ. დანართი №1). რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობდა 70 მოსწავლე (ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მე-11, მე-12 კლასი), 70 მასწავლებელი, 17 სხვა პირი (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის თანამშრომლები).

**კვლევის არეალი:** ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები (№5, №11, №19, №24, №28, №30, №31, №32, №37 საჯარო სკოლები).

**კვლევის ჩატარების დრო:** 2015 წლის სექტემბერი.

ანალიზმა მოგვცა შემდეგი შედეგი:

ცხრილი №2

| რატომ ჩადის ადამიანი დანაშაულს? | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მიზეზი | საერთო შედეგი | მათ შორის | | | |
| | | | მასწავლებელი | მოსწავლე | სტუდენტი | სხვა პირი |
| | სასკოლო აღზრდის ნაკლოვანებები | 91 | 43 | 36 | 10 | 2 |
| | ოჯახური აღზრდის ნაკლოვანებები | 166 | 66 | 55 | 30 | 15 |
| | მძიმე სოციალური პირობები ოჯახში | 182 | 80 | 50 | 32 | 20 |
| | არასასურველი სოციალური გარემო | 101 | 46 | 34 | 8 | 13 |
| | ასაკობრივი თავისებურებები | 53 | 35 | 14 | 2 | 2 |
| | გენეტიკური მემკვიდრეობა | 64 | 31 | 27 | 4 | 2 |
| | არ ვიცი | 4 | 0 | 4 | 0 | 0 |
| | სხვა | 28 | 16 | 12 | 0 | 0 |

გრაფიკული გამოსახულება №4




კვლევის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გამოკითხულთა უმრავლესობა, დანაშაულის გამომწვევ მიზეზებად ასახელებს ფაქტორებს, რომლებიც ოჯახს უკავშირდება, კერძოდ, 26% - ოჯახში მძიმე სოციალურ პირობებს, 24% - ოჯახური აღზრდის ნაკლოვანებებს, ხოლო 15% - არასასურველ სოციალურ გარემოს დანაშაულის გამომწვევ ძირითად მიზეზად მიიჩნევს.

კვლევის შედეგებმა ჩვენთვის საინტერესო გახადა, რეალური სურათი, იმისა, თუ როგორია სიღარიბის მაჩვენებელი ჩვენს ქვეყანაში და მოსახლეობის რამდენი პროცენტი იღებს საარსებო შემწეობას. ინფორმაცია ავიღეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისაგან:

ცხრილი №3

საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა 2007-2014 წლებში

| | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობა | 279,474 | 368,431 | 436,309 | 430,603 | 411,091 | 435,961 | 437,238 | 432,487 |
| წილი საშუალო წლიურ მოსახლეობასთან (%) | 6.4 | 8.4 | 9.9 | 9.7 | 9.2 | 9.7 | 9.7 | 11.6 |

გრაფიკული გამოსახულება №5

**სიღარიბის ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობა 2007-2014 წლები**
**პროცენტული მაჩვენებელი**




გამოკითვის შედეგებისა და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები მოწმობს, რომ მოსახლეობის 9% ერთ - ერთ რისკჯგუფს წარმოადგენს.

დანაშაულის გამომწვევ ერთ - ერთ მიზეზად, რესპოდენტთა ნაწილმა მატერიალურად უზრუნველყოფილი ოჯახი დაასახელა. ვფიქრობთ მეტად საინტერესო მოსაზრებაა. მატერიალურად უზრუნველყოფილ ოჯახში, მოზარდს უმტკიცდება აზრი, რომ ყველაფერი რასაც მოისურვებს მარტივად შეუძლია მიიღოს საკუთარი შრომის გარეშე. ხოლო განსხვავებულ სოციალურ გარემოში ამ მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობამ, იგი შეიძლება მიიყვანოს დანაშაულებრივ ქმედებამდე.

საყურადღებოა სრულიად საქართველოს კათოლიკოს - პატრიარქის, ილია მეორეს 2014 წლის სააღდგომო ეპისტოლე, სადაც პატრიარქი აღნიშნავს, რომ „პიროვნების სწორად ჩამოყალიბება დამოკიდებულია ოჯახში აღზრდაზე. ეს გარემო სასწავლებელსა და ეკლესიასთან ერთად გადამწყვეტ როლს ასრულებს ახალგაზრდის ფორმირებაში... ბევრი მიეჩვია უშრომელად ან შედარებით იოლი გზით თავის გატანას და აღარ ეძებს სხვა გზებს მდგომარეობის გამოსასწორებლად; ამასთან თუ ერთხელ არ გაუმართლა მცდელობამ, უიმედობა იპყრობს, დეპრესიული ხდება და იწყებს ცხოვრების კიბეზე კიდევ უფრო დაბლა დაშვებას. ამიტომაც გამრავლდა ნარკომანია, ლოთობა, ქურდობა, მკვლელობა, აღვირახსნილობა..., ეს ყველაფერი არასწორი აღზრდის შედეგია“ (104, გვ. 12-15).

სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 მარტის №138 დადგენილებით, დამტკიცდა „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამა", რომლის მიზანიაშეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება. პროგრამას აქვს რამდენიმე ქვეპროგმა, რომელთაგან ჩვენთვის საინტერესოა:

- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამა, რომლის ამოცანაა სიღატაკეში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება და ბავშვის მიტოვების რისკის შემცირება. ამ კუთხით გასატარებლ ღონისძიებათა ჩამონათვალშია სამიზნე ჯგუფისათვის გადაუდებელი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება, კვების პროდუქტებით უზრუნველყოფა.
- დღის ცენტრების ქვეპროგრამა. ამოცანა - სამიზნე ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა და მიტოვების პრევენცია. ღონისძიებები - ბენეფიციართა კვებით უზრუბველყოფა; აკადემიური, კულტურული და სპორტულ - გამაჯანსაღებელი საჭიროებების დაკმაყოფილება; საყოფაცხოვრებო და სახელობო - პროფესიული უნარ - ჩვევების განვითარების ხელშეწყობა; დროის სწორი ორგანიზების, ეფექტიანი კომუნიკაციის, არჩევანის გაკეთების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და კონფლიქტების არაძალადობრივი გზით მოგვარების უნარ - ჩვევების სწავლება; საჭიროების შემთხვევაში – ამბულატორიული სამედიცინო და ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზება, მათ შორის შშმ პირებისათვის საჭირო მომსახურება; წლიური ინდივიდუალური აბილიტაციის და/ან რეაბილიტაციის პროგრამის შედგენა, განხორციელებას და განახლება; ბენეფიციართა ქცევითი დარღვევების შეფასებას და ქცევის მართვის სპეციალიზებული გეგმის შემუშავებას და განხორციელებას.

მშობლებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდება ბავშვის ქცევის სწორად მართვის მიზნით (რთული ქცევის მართვის პროგრამაში მონაწილეობენ დღის ცენტრის თანამშრომლები, მშობლები, ბენეფიციარის განვითარების პროცესში ჩართული სხვა პირები.

- დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა, მისი ამოცანა ჩვილ ბავშვთა მიტოვების პრევენცია და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის გაძლიერებაა. ქვეპროგრამის ღონისძიებები მოიცავს ბენეფიციართა 24 საათიანი თავშესაფრითა და უსაფრთხო გარემოთი, კვების პროდუქტებით, სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფას, პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობას, საჭიროების შემთხვევაში, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების ორგანიზებას, ფსიქოლოგის მომსახურებას და სხვა დამატებითი საჭიროებების უზრუნველყოფას.
- მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა, ამოცანა - ქვეპროგრამის ამოცანაა, მზრუნველობამოკლებული ბავშვების მიმღებ ოჯახებში განთავსების გზით, ოჯახურ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ღონისძიებები მოიცავს ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდის ხელშეწყობას, ბავშვის ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, მის ინდივიდუალურ განვითარებასა და საჭიროებებზე ორიენტირებული ზრუნვის უზრუნველყოფას, ფსიქო - სოციალურ მხარდაჭერას, დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობას, ბიოლოგიურ ოჯახთან კონტაქტის გაძლიერების ხელშეწყობას (თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს).
- მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა. ამოცანა - ქვეპროგრამის ამოცანაა მზრუნველობამოკლებული ბავშვების მცირე საოჯახო ტიპის სახლებში განთავსება და მათი ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდა. ღონისძიებები - სრულფასოვანი კვება, სამოსითა და პირადი ჰიგიენისათვის აუცილებელი ნივთებით უზრუნველყოფა, ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, შესრულება, ყოველდღიური, ყოფითი , პროფესიული და სახელობო უნარ-ჩვევების განვითარებაში დახმარება, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების ხელშეწყობა და ბავშვის

თავისუფალი დროის სწორი და მიზნობრივი ორგანიზება, კულტურულ - საგანმანათლებლო, სპორტულ - გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვა, საჭიროების შემთხვევაში – ფსიქოლოგიური მომსახურების, პირველადი ჯანდაცვის, სამედიცინო დახმარების გაწევა, ამბულატორიული და სტაციონარული სამედიცინო მომსახურების მიღების ორგანიზება, ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან ურთიერთობის ხელშეწყობა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მის ინტერესებს; საქართველოს კურორტებზე დასვენების უზრუნველყოფა, შშმ ბავშვის შემთხვევაში სხვა დამატებით საჭირო შესაბამისი მომსახურება.

- მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა. ამოცანა - ქვეპროგრამის ამოცანაა მიუსაფარ ბავშვთა ფსიქო - სოციალური რეაბილიტაცია და ინტეგრაცია. პირველ რიგში ხდება სამიზნე გჯუფის ბავშვების შესახებ შემოსულ შეტყობინებებზე რეაგირება, მობილური ჯგუფების ვიზიტების განხორციელება, ბავშვებთან კონტაქტში შესვლა, მათი საჭიროებების იდენტიფიცირება, კონსულტირება და სოციალური სამუშაოს განხორციელება, მათ შორის საჭიროების შემთხვევაში – ამბულატორიული, სტაციონარული, ფსიქოლოგიური მომსახურების ორგანიზება, პირადი ჰიგიენის დაცვის ხელშეწყობა; ბავშვის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტაციის მოძიება/მოწესრიგება და ბავშვის ბიოლოგიური ოჯახის მოძიება და სოციალური გარემოს პირველადი შეფასება (ასეთის არსებობის შემთხვევაში). გარდა ამისა, ხორციელდება სამიზნე ჯგუფის ბავშვების დღის ცენტრის, კრიზისული ინტერვენციის თავშესაფრის, ტრანზიტული ცენტრის მომსახურების უზრუნველყოფას.

სახელმწიფოს მიერ შემუშავებული აღნიშნული ქვეპროგრამები პრევენციის ერთ - ერთ საშუალებას ნამდვილად წარმოადგენს, მაგრამ დაფინანსების სიმცირის გამო (მომსახურების მისაღებად ბენეფიციარისათვის განკუთვნილია ვაუჩერის ტალონები, რომლებიც რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, გაიცემა რეგიონული საბჭოს მიერ მომსახურების მიღების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ), ვერ მოიცავს სრულად სამიზნე ჯგუფს.

ეროვნული ასოციაცია „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელი“ (SOS Children's Villages International), თბილისსა და ქუთაისში ახრციელებს SOS ბავშვთა სოფლის

პროგრამებს. ეს არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც მსოფლიოს 133 ქვეყანაში ჰყავს წევრი ორგანიზაცია ეროვნული ასოციაციების სახით. იგი საქართველოში 1989 წლიდან ეწევა საქმიანობას. ორგანიზაციის მიზანია მიტოვების რისკის წინაშე მყოფ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა უფლებების დაცვა, თემზე დაფუძნებული და ალტერნატიული მომსახურებების საშუალებით, სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარება, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციისა და სოციალიზაციის მიზნით. ორგანიზაცია მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან, სხვადასხვა საერთაშორისო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან და კერძო სექტორთან.

საინტერესოა ნ. როგავასა და ფ. გოზეჩიას მიერ წარმოდგენილი კვლევა, სადაც მოცემულია არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქცევის ფორმები და მოტივი ასაკთან მიმართებაში. ვიდრე უშალოდ კველევის შედეგებს შევეხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი „მოტივი“ [motiv], არის რაიმე მოქმედების, საქციელის გამომწვევი მიზეზი (98). დ. უზნაძის აზრით, მოტივი იმ ღირებულებების გაცნობიერებაა, რომელიც ამა თუ იმ ქცევას აქვს ჩვენთვის. „შ. ჩხარტიშვილი თავის შრომებში (1958, 1964, 1967, 1971) მოტივის ცნების თავისებურ განსაზღვრებას იძლევა. იგი ასხვავებს ადამიანის ქცევის ორ წყაროს - მოთხოვნილებასა და ნებისყოფას და მათ საფუძველზე გამოჰყოფს ქცევის ორ ძირითად ფორმას: იმპულსურსა და ნებისმიერს“ (92, გვ. 13-14). არასრულწლოვან დამნაშავეთა ქცევის მოტივის შესასწავლად ზემოთდასახელებულმა ავტორებმა ინფორმაცია შეაგროვეს უშუალოდ ქცევის სუბიექტებისაგან ანკეტური მონაცემებისა და საუბრის გზით. ასევე გამოყენებულია მათი პირადი საქმეები, აღმზრდელებისა და სკოლის დახასიათებები და სხვა. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე გაირკვა, თუ რამ განაპირობა მათი დანაშაულებრივი ქცევა, რა იყო მისი აღმძვრელი მოტივი: „მოზარდი დანაშაულებრივი ქცევის ძირითად მიზეზად ასახელებს მოთხოვნილების იმპულსებს:

- „მოვიპარე ფული იმიტომ, რომ მინდოდა კინოს ნახვა“;

- „მინდოდა მაგნიტოფონის შეძენა“;

- „მე ქურდობა ჩემი ნებით არ დამიწყია, მე დავუამხანაგდი ჩემზე დიდ ბიჭებს, ისინი ხშირად ქურდობდნენ და მეც მიმაჩვიეს. მოპარული ფულით დავდიოდით ზღვაზე, რესტორანში, ვქეიფობდით და დროს ვატარებდით გოგოებთან ერთად“;

- „მინდოდა მქონოდა თოფი, ვერსად ვიშოვე, მერე ტირში მოვიპარე. მოპარული შემრჩა, მერე დავიწყე ფულის მოპარვა ოჯახში, მეზობლებში და ნაცნობებში, სადაც კი საშუალება მომეცემოდა, მოპარულ ნივთს ვყიდდი, ფულით კი რაც მინდოდა იმას ვაკეთებდი";

- „ჩემი დედინაცვლის ბინა გავტეხე, დედინაცვალი ცუდი ქალია. მამას ჩემთან არ უშვებს, დავინახე რომ ბაზარში მიდიოდა და ვიცოდი, რომ სახლში არავინ იქნებოდა, მეც დრო ვიხელთე და გავქურდე, კარგი ვქენი, რომ გავამწარე";

- „მე მინდოდა მქონოდა ჩემი ფული, სახლში არ მაძლევდნენ, ჯერ სკოლაში მოსწავლეებს ვპარავდი, მერე მასწავლებლის ჩანთიდანაც ვიღებდი, მოპარული ფულით ვყიდულობდი რაც მინდოდა და დავდიოდი სადაც მინდოდა";

- „რომ მომეკლა უკეთესი იქნებოდა, გოგოებთან სულ დამცინოდა, ლაჩარი ხომ არ ვიყავი სამაგიერო რომ არ გადამეხადა. ძალიან კარგი, რომ კარგად დავჟეჟე, უნდა მომეკლა, მარტო დაჭრით გადარჩა";

- იმიტომ დავარტყი მამაჩემს ცული, რომ დედაჩემს აწვალებდა" (92, გვ. 52).

პასუხთა კლასიფიკაციის შედეგად მკვლევარებმა მოგვცეს დანაშაულებრივი ქცევის მიზეზების ჩამონათვალი ასაკის მიხედვით:

ცხრილი №4

| დანაშაულებრივი ქცევა გამოწვეულია | ასაკი | | | |
|---|---|---|---|---|
| | **12-13** | **14-15** | **16-17** | **12-17** |
| აქტუალური მოთხოვნილებებით | 43.1 | 40 | 40 | 40.2 |
| სხვისი გავლენით | 56.8 | 43.6 | 32 | 39.2 |
| შელახული თავმოყვარეობით | 0 | 4.7 | 14.7 | 9.4 |
| გაუფრთხილებლობით | 0 | 7.9 | 7.3 | 7 |
| ალკოჰოლის გავლენით | 0 | 4.9 | 58 | 4.4 |

როგორც პასუხებიდან ჩანს, 12-13 წლის მოზარდი მიზეზად ასახელებს ძლიერ სურვილს ჰქონდეს თავისი ფული, ან ესა თუ ის ნივთი. როგორც კვლევის ავტორები აღნიშნავენ, ამ ასაკის მოზარდები თითქოს კმაყოფილებიც კი არიან თავიანთი ქცევით, ასაკის ზრდასთან ერთად კი იცვლება დანაშაულის სახე და მათი

დამოკიდებულება საკუთარი ქმედებისადმი, 16 - 17 წლის ასაკში ისინი კრიტიკულად უდგებიან, თითქოს ნანობენ კიდეც დამნაშავეობას.

2001 წლიდან საქართველოში არსებული ა.ა.ი.პ. დანაშაულობის კვლევისა და პროგნოზირების ცენტრი, არასრულწლოვანთა დანაშაულობის მიზეზების შესწავლისა და მისი პრევენციის გზების დასახვის მიზნით საინტერესო კვლევებს ატარებს. ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ დანაშულის მიზეზები ძირითადად სოციალური ხასიათისაა (ქუჩა, ოჯახი, განათლების სისტემა,საზოგადოება).

ქეთევან კობალაძე სტატიაში „რთული ბავშვები“ - რთული ბავშვების ფორმირების საინტერესო ისტორიას გვაძლევს „ქუჩის ბავშვები ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განვითარებულმა ცნობილმა მოვლენებმა წარმოშვა. იმპერიის დემონტაჟმა სოციალურ - ეკონომიკური ინფრასტრუქტურის ჩამოშლა გამოიწვია. გაჩნდა უმუშევართა უზარმაზარი არმია. მოსახლეობის ნაწილმა კრიზისულ სიტუაციასთან გამკლავების უმარტივესი გზა გამონახა და შვილები ქუჩაში მოწყალების სათხოვნელად გაუშვა. იმ წლებში თბილისის მეტროს სადგურებსა და ქუჩებში ხშირად ნახავდით მომღერალ ბავშვებს, რომლებიც თავიანთი ოჯახებისთვის შემოსავლის ერთადერთ წყაროდ იქცნენ. მთელი დღის მძიმე შრომის შემდეგ შინ დაბრუნებულ პატარებს, რომლებსაც სითბო და მზურნველობა სჭირდებოდათ, ხვდებოდათ არაკეთილგანწყობილი და აგრესიული გარემო. მათ მიერ გამომუშავებულ თანხას მშობლები საკუთარი მოთხოვნილებებისამებრ ხარჯავდნენ. ბავშვები კი, ფულის შოვნას მიჩვეულები, იზრდებოდნენ და ხვდებოდნენ, რომ თავიანთი შრომით მოპოვებული ფულის დახარჯვა თავად შეეძლოთ, თუ შინ აღარ დაბრუნდებოდნენ. ასე გაჩნდა თბილისში უბნები, სადაც მიტოვებულ ჯიხურებში, მანქანებში, კიბის უჯრედებში ღამეს ათევდნენ სხვადასხვა ასაკის, სქესისა და ეროვნების ბავშვები. ქუჩა დიდია, ადგილი ყველას ეყოფა და ერთ ბავშვს მეორე მიემატა, მეორეს – მესამე. „იოლად“ ნაშოვნი ფულის დახარჯვა იოლია, შეგიძლია იყიდო, რასაც მოისურვებ და რამდენსაც მოისურვებ, ეს ბავშვებმა მშვენივრად იცოდნენ“ (58). შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთ - ერთ საუკეთესო მაგალითი იმისა, თუ როგორ იქცა ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობა მოზარდის დამნაშავედ ფორმირების ერთ - ერთ მთავარ ხელისშემწყობ პირობად.

„სხვადასხვა ტიპის ქუჩური კამპანიები - სწორედ ამგვარი სტიქიური ურთიერთობის პროცესში ვლინდება საზოგადოებისათვის შემაშფოთებელი მომენტები მოზარდთა ქცევაში - აგრესიულობა, სისასტიკე, მაღალი შფოთიანობა, გულჩახვეულობა და სხვა. ამასთან „ძნელი მოზარდები" პიროვნული განვითარების დონით თვისობრივად მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან თავიანთ „ნორმალურ" თანატოლებს. სტიქიურ - ჯგუფური ურთიერთობები მათ პირადი პასუხისმგებლობის მოხსნისა და საკუთარი ცხოვრების მოვლენებზე პასუხისმგებლობის სხვათათვის დაკისრების საშუალებას აძლევს. მოზარდები მხოლოდ თანატოლთა წრეში იღებენ იმ აღიარებას, რომელიც სჭირდებათ" (52).

ამდენად, წინამდებარე თავში წარმოდგენილი სამეცნიერო ლიტერატურისა და რეალური ვითარების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დანაშაულის გამომწვევი მიზეზები რამდენიმე ჯგუფში გავაერთიანოთ:

- პიროვნების შინაგანი ფაქტორები (გენეტიკური, ფსიქიკური);
- არაჯანსაღი საზოგადოება (ალკოჰოლი, ნარკოტიკები, ძალადობა, აგრესია);
- სახელმწიფოს სუსტი როლი (სახელმწიფო სტრუქტურების არასწორი მოწყობა, განათლების დაბალი დონე, სასკოლო აღზრდის ნაკლოვანებები);
- ოჯახური პირობები (სიღარიბე, უმეთვალყურეობა, მუდმივი კონფლიქტები ოჯახში, არასრული ოჯახი, ოჯახური აღზრდის ნაკლოვანებები).

# თავი მეორე

# საოჯახო აღზრდის როლი დანაშაულის პრევენციის საქმეში

## §1. ოჯახი როგორც ძირითადი აღმზრდელობითი ინსტიტუტი

საოჯახო აღზრდა, კაცობრიობის განვითარების წარმოშობიდან დღემდე, საზოგადოების ერთ - ერთ უმთავრეს პრობლემას და საზრუნავს წარმოადგენს. რთულია მისი წარმოშობის შესახებ ზუსტი თეორიის ჩამოყალიბება. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მოსაზრება ფიქსირდება, თუმცა ძნელი სათქმელია რომელი გადმოგვცემს სწორ ინფორმაციას. ვფიქრობთ ჩვენთვის საინტერესოა ივ. ჭკუასელისა და ქ. ჭკუასელის მიერ მოცემული კლასიფიკაცია. ავტორებს აღზრდის წარმოშობის შესახებ არსებული თეორიები სამ ძირითად თეორიამდე დაჰყავთ: ფრანგულ - ბიოლოგიური, რომლის მიხედვით, აღზრდის წარმოშობა ემთხვევა დედამიწაზე სიცოცხლის წარმოშობას და გულისხმობს აღზრდის პროცესის წარმოებას არა მხოლოდ ადამიანებში, არამედ ცხოველებშიც. „ეს თეორია საფუძველშივე ყალბია. ეს სიყალბე სოციალური მოვლენების ბიოლოგიზაციაში მდგომარეობს. ისინი ვერ ხედავენ არსებით სხვაობას სოციალურ და ბიოლოგიურ პროცესებს შორის“ (136, გვ. 6). ამერიკულ - ფსიქოლოგიური თორია. ამ თეორიის მიხედვით, აღზრდის წარმოშობა ემთხვევა ცოცხალი ორგანიზმის მიერ მიბაძვის წარმოშობის უნარს, მაგრამ მიბაძვა დამახასიათებელია ცხოველებისათვისაც და თეორიაში ხაზგასმული არ არის ადამინისეული შეგნებული მიბაძვა. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ესეც ყალბია. და ბოლოს ალბად უნდა დავეთანხმოთ თეორიას, რომლის მიხედვით, აღზრდის წარმოშობა უკავშირდება ადამიანის განყენებული აზროვნების წარმოშობის პროცესს.

ადამიანი წარმოშობიდან დღემდე ვითარდებოდა. ვითარდებოდა აღზრდა და იცვლებოდა მისი შინაარსი, მიზნები და ამოცანები. აღზრდა ისტორიული ხასიათისაა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ „იგი კაცობრიობის, საზოგადოების წარმოშობასთან ერთად ჩაისახა და, გარდა ამისა, მასთან ერთად ვითარდებოდა. მისი მიზნები, შინაარსი და მეთოდიკა იცვლებოდა საზოგადოებრივ - ეკონომიკური ფორმაციების ცვლასთან ერთად, მათ ძირითად თავისებურებებთან მჭიდრო

კავშირში“ (10, გვ. 9). „აღზრდა არსებითად წარმოადგენს მართვას იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომელთაც ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრება უყენებს მას“ (123, გვ. 42 - 43). არაერთი მეცნიერის (ნ.ზოდელავა, შ. მალაზონია, შ. სიხარულიძე, გრ. ფოფხაძე, ნ. ვასაძე, შ. ლ. მონტესკიე და სხვები) ნაშრომში ვხვდებით მოსაზრებას აღზრდის კლასობრივი ხასიათის შესახებ. მეცნიერები დღეს უკვე აღარ კამათობენ, რომ აღზრდის შინაარსი, მიზნები და ამოცანები განპირობებული იყო გარკვეული კლასის ინტერესებით. მისი ამოცანები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა სხვადასხვა ეპოქისა და ტიპის საზოგადოებაში.

აღზრდის კლასობრივ ხასიათზე საუბრობს დ. ლორთქიფანიძე, როცა მიუთითებს, რომ აღზრდა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია და „გაბატონებული კლასის ხელში წარმოადგენს თავისი ბატონობის ერთ - ერთ უმძლავრეს იარაღს“ (65, გვ. 7). თუმცა თავად მის მოსაზრებასაც, რომ აღზრდა ჭეშმარიტად დემოკრატიული მხოლოდ სოციალურ საზოგადოებაში, საბჭოთა კავშირის ქვეყნებშია ჩაყენებული ხალხის სამსახურში, შეიძლება ითქვას, რომ აშკარა კლასობრივი ელფერი აქვს.

ამდენად, აღზრდას ისტორიული ხასიათი აქვს. მისი მიზანი, ამოცანები და შინაარსი ყოველთვის პასუხობდა სახელმწიფოს ინტერესებს, მის პოლიტიკას, იცვლებოდა და ვითარდებოდა საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად. უნდა გავიზიაროთ პროფესორ ნათელა ვასაძის აზრი, რომ „აღზრდას, როგორც ისტორიულ კატეგორიას, ყოველი საზოგადოებრივ - ეკონომიკური ფორმაციის თანმხლებ პროცესს, ორი მთავარი მახასიათებლი გააჩნია - პირველი - იგი მარადიული კატეგორიაა, ხოლო მეორე - იცვლება თავისი შინაარსით და მიმართულებით საზოგადოებრივ ფორმაციათა ცვლილებებთან ერთად“ (49, გვ. 143).

პედაგოგიურ ლიტერატურაში აღზრდის შინაარსის სხვადასხვა განმარტებას ვხვდებით. ნ. ზოდელავა მიუთითებს, რომ „აღზდა ზოგადი გაგებით, ესაა ყოველმხრივად განვითარებული, განათლებული, მორალურად სრულყოფილი პიროვნების ჩამოყალიბების, ფორმირების რთული, სოციალური, მიზანმიმართული და ორგანიზებული პროცესი აღმზრდელის, მასწავლებლის ხელმძღვანელობით“ (50, გვ. 60) .

აღზრდის შესახებ საინტერესო განმარტება აქვს მოცემული შოთა მალაზონიას: „აღზრდაში ვგულისხმობთ მიზანმიმართულ მუშაობას წმინდა ზნეობის

(პატიოსნების, ალალ - მართლობის, პირდაპირობის, გულისხმიერების, პატრიოტული და ჰუმანური გრძნობების, დისციპლინიანობის, შრომისმოყვარეობის) დანერგვისათვის, ესთეტიკური გრძნობებისა და იდეალის ჩამოყალიბებისათვის, აღსაზრდელთა სწორი ფიზიკური განვითარებისათვის. აღზრდის პროცესის არსიც ამ ამოცანების განხორციელებაში, მაღალი ზნეობრივი შეგნებისა და უზადო ქცევის, კულტურული და ჯანსაღი პიროვნების ფორმირებაში მდგომარეობს“ (70, გვ. 230).

დავით ლორთქიფანიძის განმარტებით, „აღზრდა, პიროვნების ფორმირების პროცესია, რომელსაც მრავალი ნიშანი ახასიათებს. აღზრდა სოციალური, საზოგადოებრივი მოვლენაა, იგი ადამინისეულია და მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს მისი საგანი“ (65, გვ. 6). „აღზრდა ზოგადი სახით არის პიროვნების ჩამოყალიბების, ფორმირების რთული, მიზანმიმართული და ორგანიზებული პროცესი აღმზრდელის ხელძღვანელობით“ (65, გვ. 9).

ნათელა ვასაძის მიხედვით „აღზრდა ყოფაქცევის ჩვევაა, რომელსაც იძლევა სკოლა, ოჯახი, გარემო და გამოვლინდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აღზრდა რთული და მრავლისმომცველი პროცესია, რომლითაც ერთი თაობის გამოცდილება გადაეცემა მეორეს და ამით უზრუნველყოფილია ადამიანის და საზოგადოების განვითარება. აღზრდა ისტორიულად ჩამოყალიბების კატეგორიაა და საზოგადოების მუდმივი ფუნქციაა. ე. ი. თავად აღზრდა ითვლება მარადიულ და ისტორიულ კატეგორიად და შესაძლებლობას აძლევს მეცნიერებს ჩაწვდნენ ისეთ პროცესებს, როგორიც არის გარემოს ზეგავლენა ადამიანის განვითარებაზე“ (49, გვ. 34).

ჩვენთვის საინტერესოა ივ. ჭკუასელისა, ქ. ჭკუასელის მიერ მოცემული განმარტება აღზრდის არსის შესახებ: „აღზრდა არის ბავშვისა და მოზარდის ყოველმხრივი ფორმირების, მისი გონებრივად, ფიზიკურად, ზნეობრივად, ესთეტიკურად და მშრომელ ადამიანად ჩამოყალიბების მიზანმიმართული კანონზომიერი პროცესი, რომელიც მიმდინარეობს მტკიცედ ორგანიზებულ გარემოში აღმზრდელის ხელმძღვანელობით“ (136, გვ. 10) .

როგორც ვხედავთ აღზრდის არსის განსაზღვრის არაერთი ცდა არსებობს. ძნელი სათქმელია რომელიმე მათგანი რამდენად სრულყოფილია, თუმცა ჩვენი აზრით მეცნიერთა მიერ მოცემული ზემოთ მოყვანილი განმარტებები შეიცავენ აღზრდის არსებით ნიშნებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია პედაგოგიკის მეცნიერებაში არსებული განსაზღვრებები აღზრდის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.

ჯერ კიდევ კლასიკური პედაგოგიური მემკვიდრეობის წარმომადგენელი, ძველი საბერძნეთის ცნობილი მოაზროვნე, არისტოტელე, თვლიდა, რომ აღზრდის მიზანი არის ადამიანის ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარება. ბერძნულ აზროვნებაში აღმოცენებული ეს იდეა შემდგომ საუკუნეებში გაღრმავდა, განვითარდა და დღეს, ჰარმონიული აღზრდა მოიცავს ხუთ შემადგენელ ნაწილს: გონებრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, ფიზიკურ და შრომით აღზრდას. თუმცა სხვადასხვა მეცნიერთა ნაშრომში ამ ხუთი ძირითადი ნაწილის გვერდით ვხვდებით პატრიოტიზმის, სამართლებრივი, შეგნებული დისციპლინის, ჰუმანურობის, ეკოლოგიურ აღზრდასაც. აღზრდის უმთავრესი მიზნის - ადამიანის ჰარმონიული განვითარების მიღწევა მხოლოდ ერთი მეთოდით ბუნებრივია ვერ მოხდება. აქ აუცილებელია მეთოდთა მრავალფეროვნება და სიხშირე. პედაგოგიური ლიტერატურა გვიჩვენებს, რომ აღზრდის შემდეგი ძირითადი მეთოდები არსებობს:

- აღზრდის სიტყვიერი მეთოდები: ეთიკური საუბრები, თხრობა, მოხსენებები, ლექციები, კონფერენციები, ახსნა - განმარტებები, პაექრობა;
- ბავშვთა ცხოვრების ორგანიზაციის მეთოდები: ქცევის წესები, დღის რეჟიმი;
- მაგალითი;
- ვარჯიში;
- საზოგადოებრივი დავალებები;
- ქცევის სტიმულირების მეთოდები: წახალისება, დასჯა.

ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდები დღეს აღზრდის ძირითად მეთოდებად არის მიჩნეული, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოების განვითარებამ ახალი ფორმები შესძინა და ახალი შინაარსით შეავსო თითოეული მათგანი.

საუკუნეების მანძილზე, აღზრდის უმთავრესი ფორმა, საოჯახო აღზრდა იყო. პედაგოგიკის კლასიკოსებს მიაჩნდათ, რომ ოჯახი უმთავრეს როლს თამაშობს პიროვნების ფორმირების საქმეში. ამიტომაც იყო რომ იან ამოს კომენსკი, ოჯახს მიიჩნევდა უდიდესი აღმზრდელობითი როლის მატარებლად, მოზარდი თაობის ჰარმონიული განვითარების საქმეში ხაზგაზმით მიუთითებდნენ ჟან - ჟაკ რუსო, ჯონ ლოკი, იოჰან ჰენრიხ პესტალოცი. შვეიცარიელ პედაგოგს მიაჩნდა, რომ ბავშვი ოჯახში, მამასთან და დედასთან ურთიერთობაში პირველად ითვისებს მოვალეობის შეგრძნებას, ადრე ეჩვევა შრომას. ოჯახური სიხარული, მისი ტრადიციები,

მშობლების სიყვარული გადამწყვეტ გავლენას ახდენს მოზარდის სულიერ ფორმირებაზე.

იან ამოს კომენსკის, ჰენრიხ პესტალოცის, ჟან - ჟაკ რუსოს, დისტერვეგის, უშინსკისა და სხვა ცნობილ კლასიკოსთა პედაგოგიური კონცეფციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა იაკობ გოგებაშვილის მსოფლმხედველობა. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ბავშვის პირველი აღმზრდელი ოჯახია, რომელსაც უდიდესი აღმზრდელობით გავლენა აქვს მოზარდის სულზე და მიაჩნდა, რომ ბავშვთა აღზრდის საქმის გაუმჯობესება ოჯახის საერთო კულტურის ამაღლებით უნდა დავიწყოთ.

ილია ჭავჭავაძეს ბავშვის აღზრდის პირველ ფუძედ ოჯახი მიაჩნდა და მას მოზარდის პიროვნების ჩამოყალიბებაში მტკიცე საძირკვლად თვლიდა. აღნიშნავდა, რომ მოზადობის წლებში მისი ცხოვრება, ზრდა - განვითარება, აღზრდა და სხვა ყოველივე, უპირატესად დედ - მამაზეა დამოკიდებული. „გავლენა აქვს იმ წრეს, სადაც ბავშვი პირველი ხანიდანვე ტრიალებს“. „ბავშვის ნორჩი სული და გული მეტად მგრძნობიარეა და მალე დამჩნევი ავისა და კარგისა, და ამიტომაც წრე, სადაც ბავშვი და მოზარდი სულს იბრუნებს, თავის ბეჭედს ავისას და კარგისას აუცილებლად ზედ დაასვამს ხოლმე“ (134, გვ. 316-317).

მ. წერეთლის განმარტებით, „ოჯახი არის ქორწინებისა და სისხლის ნათესაობის ნიადაგზე შექმნილი სოციალური სისტემა - მცირე ჯგუფი, რომლის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ყოფა - ცხოვრების ერთიანობით, მორალური ურთიერთპასუხისმგებლობით და ურთიერთდახმარებით. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე ტენდენციებს, მაშინ შეიძლება უფრო საგულისხმოდ გვეჩვენოს შემდეგი განმარტება: „ოჯახი არის დაქორწინებული მეუღლეები შვილებით ან მათ გარეშე, ან მარტოხელა მშობელი შვილით“. ამგვარად, ოჯახი არის საზოგადოების უჯრედი (მცირე სოციალური ჯგუფი) დაფუძნებული ცოლ - ქმრულ კავშირსა და ნათესაურ ურთიერთობებზე, ანუ იგი მოიცავს ცოლქმარს შორის, მშობლებსა და შვილებს შორის, დებსა და ძმებს შორის და სხვა ნათესავებს შორის ურთიერთობებს, ურთიერთობებს იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ერთად ცხოვრობენ და უძღვებიან საერთო მეურნეობას. ოჯახი ასრულებს უდიდეს როლს, როგორც ცალკეული პიროვნების, ასევე მთელი საზოგადოების ცხოვრებაში“ (131, გვ. 52).

ა. ნარგიზიშვილის აზრით, „ოჯახი არის მცირე მოცულობის სოციალურ - ფსიქოლოგიური ჯგუფი, რომლის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებს საქორწინო, ან ნათესაური კავშირი, ერთიანი ყოფიერება და ურთიერთმორალური პასუხისმგებლობა; იგი სოციალური აუცილებლობაა, რომელიც განპირობებულია საზოგადოების მოთხოვნილებით უზრუნველყოფილ იქნეს მოსახლეობის ფიზიკური და სულიერი კვლავწარმოება. ამ განსაზღვრებიდან ჩანს, რომ ოჯახისათვის დამახასიათებელია ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული ურთიერთდამოკიდებულებანი: საქორწინო (ცოლსა და ქმარს შორის) და ნათესაური (მშობლებსა და შვილებს შორის, ნათესავებს შორის)“ (81, გვ. 48).

„ოჯახი, როგორც განსაკუთრებული სოციალური გარემო, თავისი ორგანიზაციით და სოციალურ - ფსიქოლოგიური კლიმატით შესაძლებლობას იძლევა, გამოავლინოს ინდივიდში მოცემული ყველა გენეტიკური ჩანასახი და განავითაროს იგი პიროვნების დონემდე. მართალია, ბუნებრივი ნიშნები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ პიროვნების განვითარებაში, მაგრამ თავისთავად არ განსაზღვრავენ ზნეობრივ თვისებებს. არც ერთი ნორმალური ბავშვი არ იბადება მზა ზნეობრივი ნორმებით. ეს თვისებები აღზრდის პროცესში ყალიბდება“ (5, გვ. 28).

უნდა დავეთანხმოთ პროფესორ ვ. გაგუას „ოჯახის ერთ - ერთი უმთავრესი დანიშნულება ბავშვის აღზრდაა და ეს არის მშობლების პირადი საქმე. აღზრდას დიდი სოციალური დანიშნულება აქვს. ჩვენი ბავშვების აღზრდით დიდმნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმეს ვაკეთებთ“ (28, გვ. 4). ოჯახი აღზრდის ძირითადი ინსტიტუტია. ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების განმანვლობაში ინარჩუნებს იმას, რასაც ბავშობის წლებში ოჯახში შეიძენს. ადამიანი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ნაწილს ოჯახში ატარებს, ამიტომ სწორედ ოჯახი ახდენს გავლენას მისი პიროვნების ფორმირებაზე და საფუძველს უყრის ადამიანის პიროვნების ინდივიდუალურობას.

„ოჯახი ადამიანთა საზოგადოების პირველი ძირითადი უჯრედია, რომელშიც გამოხატულობას პოულობს საზოგადოების ეკონომიკური წყობა, სოციალური ურთიერთობა, იდეოლოგია. როგორიცაა საზოგადოება, ისეთივეა ოჯახი“ (37, გვ. 56).

„ოჯახურ აღზრდის პროცესში ბავშვს უნდა გამოუმუშავდეს ხასიათის დადებითი თვისებები, რომლებიც შემდგომ ძირითადად განსაზღვრავენ ზნეობრივ აღზრდას და მის სწორად წარმართვას. სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ „ძნელად

აღსაზრდელი“ და მცირეწლოვან ბავშვთა დიდი უმრავლესობა ისეთ ოჯახებზე მოდის, სადაც ბავშვის აღზრდის საქმეს დაბალ დონეზე წარმართავენ“ (37, გვ. 59).

ოჯახი შეიძლება იყოს აღზრდის როგორც დადებითი, ისე უაროფითი ფაქტორი. ვ. გაგუა თავის ნაშრომში „ოჯახი და სკოლა“ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გავრცელებულ განვითარების ორი ფაქტორის თეორიაზე საუბრობს: „ბავშვის განვითარება მთლიანად განპირობებულია მემკვიდრეობითა და გარემოთი. ამავე დროს მემკვიდრული, თანდაყოლილი თვისებები აღიარებულია ბავშვის განვითარების მთავარ ფაქტორად. გარემო და აღზრდა მიჩნეულია ხელის შემწყობ ან ხელის შემშლელ ფაქტორებად“ (28, გვ. 5), თუმცა ჯერ კიდევ მაკარენკო ილაშქრებდა მსგავსი თეორიის წინააღმდეგ და საკუთარი პრაქტიკული მუშაობისა და გამოცდილების საფუძველზე პიროვნების ფორმირების პროცესში ამოსავალ დებულებად აღზრდას განიხილავდა. მას მიაჩნდა, რომ მემკვიდრეობით გადმოცემული თვისებები პიროვნების განვითარების ჩანასახორივ ფორმებში მოცემული წინამძღვრებია. „ნორმალური პედაგოგიკა, აქტიური და მიზანსწრაფი პედაგოგიკა, ბავშვთა კოლექტივს ძალიან სწრაფად გარდაქმნის სრულიად ნორმალურ კოლექტივად. არავითარი თანდაყოლილი დამნაშავენი, არავითარი თანდაყოლილი მძიმე ხასიათის ადამიანები არ არსებობენ; პირადად ჩემმა გამოცდილებამ სავსებით დამარწმუნა ამაში“ (68, გვ.93). თავისი პირადი გამოცდილება კი ავტორმა „პედაგოგიურ პოემაში“ გადმოგვცა. 1920 - იან წლებში მაკარენკო ქალაქ პოლტავასთან ახლოს მდებარე კოლონიას ხელმძღვანელობდა, რომლის აღსაზრდელები უპატრო, დანაშაულის ჩადენაში შემჩნეული და დამნაშავე მოზარდები იყვნენ. მაკარენკოს უმთავრესი მიზანი მათი რეაბილიტაცია, სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბება იყო, მიზნის მისაღწევად კი ძირითად მეთოდად მოზარდების შრომით საქმიანობაში ჩართვა მიაჩნდა, რადგან ფიქრობდა, რომ სოციალური აღზრდის უმთავრესი პრინციპი სწორედ შრომა იყო. მაკარენკომ შეძლო მოზარდების შრომით საქმიანობაში ჩართვა და მათი ერთ კოლექტივად ჩამოყალიბება ისეთი პედაგოგიური საშუალებების გამოყენებით, როგორიცაა დარწმუნება, წესრიგი, მოზარდის პიროვნების პატივისცემა, თანადგომა და “პედაგოგიური პოემაში“ გვიჩვენა შრომის პოცესში მათი სასიკეთოდ შეცვლის მაგალითები. მან შეძლო ბავშვებისადმი პატივისცემით, საპასუხო პატივისცემის მიღება, იგი სრულიად ივიწყებდა მათ დამნაშვეობრივ წარსულს, აინტერესებდა მათი

მომავალი, ეძებდა დადებით თვისებებს და ცდილობდა მათში მომავლისადმი რწმენა ჩაენერგა.

ჩვენ უნდა დავეთანხმოთ მოსაზრებას რომ, არც ერთმა სხვა სოციალურმა ინსტიტუტმა არ შეიძლება იმხელა გავლენა მოახდინოს აღზრდაზე, როგორც ოჯახმა. მაგალითად, აგრესიულ ოჯახში ხშირად იზრდება აგრესიული ბავშვი, ოჯახის ამბიციურობა ხშირად ხდება მოზარდის კომპლექსების მიზეზი და ა. შ. უნდა გავიზიაროთ მარინა ბალიაშვილის მოსაზრება, რომ „ერთი კულტურისა და კლასის შიგნით ადამიანის ქცევას ოჯახის გავლენა განაპირობებს. მშობლები შეიძლება იყვნენ მოსიყვარულე და თბილი, ცივი ან და პირქუში, მომთხოვნი და მკაცრი, ან ბავშვისთვის გარკვეული თავისუფლების და ავტონომიის მიმნიჭებელი. მშობლის ქცევის ორივე სტილი გავლენას ახდენს ბავშვის პიროვნების განვითარებაზე. მშობლის გავლენა შვილზე ხორციელდება სამი ხერხით:

1. მშობლები საკუთარი ქცევით ქმნიან სიტუაციებს, რომლებიც ბავშვის გარკვეულ ქცევას აყალიბებს (მაგ., მშობლის მიერ ბავშვის ფრუსტრირებას საპასუხოდ მოსდევს აგრესია);
2. მშობლები ბავშვისათვის ის მისაბაძი ნიმუშები ანუ მოდელებია, ვისთანაც მოახდენს იდენტიფიკაციას ანუ გააიგივებს თავს და მის ქცევასაც გადაიღებს.
3. მშობლები გარკვეულ ქცევათა გამო ბავშვის წახალისებას მიმართავენ.“ (9, გვ. 16).

“იქ, სადაც დიდი ყურადღება ექცევა საცხოვრებელი გარემოს პედაგოგიურად ორგანიზებას, ბავშვის ცუდ გზაზე დადგომის საშიშროება არ არსებობს, მაგრამ ზოგ ოჯახში ბავშვის ცხოვრების პირობები ეწინააღმდეგება სწორი აღზრდისათვის საჭირო მოთხოვნებს. ხშრად ოჯახის უფროსები თავიანთი ქცევით რომ არ დგანან მოწოდების სიმაღლეზე, ბავშვთა ცუდი აღზრდის მიზეზი ხდებიან. ზოგჯერ ოჯახის გარემომცველი ატმოსფერო უბიძგებს ბავშვს დანაშაულის ჩადენისაკენ“ (44, გვ. 53 - 54).

მოზარდი ოჯახში იღებს პირველ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და სწავლობს თუ როგორ უნდა მოიქცეს სხვა სიტუაციაში. მნიშვნელოვანია, რომ რასაც ვასწავლით ბავშვებს განმტკიცებული იქნეს კონკრეტული მაგალითებით, მივაღწიოთ სულიერ კავშირს მშობლებსა და შვილებს შორის და არავითარ შემთხვევაში არ მივცეთ

აღზრდის პროცესი თვითდინებას, რადგან ბავშვის აღზრდა ერთ - ერთი ყველაზე საპასუხისმგებლო საქმეა ოჯახისთვის. აღზრდაზეა დამოკიდებული, როგორ პიროვნებად ჩამოყალიბდება ბავშვი, რა თავისებები, რა ინტერესები ექნება მას, ცხოვრების როგორ გზას აირჩევს იგი. მშობელზეა დამოკიდებული ბავშვის ფიზიკური, კოგნიტური და პიროვნული განვითარება. მნიშვნელოვანია, როგორ გარემოში გაიზრდება იგი, როგორ დამოკიდებულებას გამოიჩენს მშობელი მის მიმართ, ანუ აღზრდის როგორ სტილს გამოიყენებს იგი.

მ. ყოლბაია გამოჰყოფს ოჯახის ორ სახეს: დემოკრატიულსა და ავტორიტარულს და აღნიშნავს, რომ „მშობლებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებულობა აუცილებლობით არ გულისხმობს, რომ ოჯახი უსათუოდ იქნება მხოლოდ დემოკრატიული ან მხოლოდ ავტორიტარული. მოწესრიგებული ოჯახები ორივე ტიპს ეკუთვნიან. ოჯახის დემოკრატიულობა არ ვლინდება შვილებისადმი სიყვარულსა და მზრუნველობაში, მის ძირითად თავისებურებას განსაზღვრავს მშობლებსა და შვილებს შორის დამოკიდებულების ხასიათი“ (121, გვ. 104-105). ავტორი დემოკრატიული ნიშნების საინტერესო ჩამონათვალს გვთავაზობს:

- „ურთიერთგაგება მშობლებსა და შვილებს შორის;
- ბავშვის გრძნობებისადმი პატივისცემა;
- ბავშვის ბუნებრივი მოთხოვნილებებისადმი ანგარიშის გაწევა;
- შვილის ამხანაგებისადმი პატივისცემა;
- შვილის სურვილების დაკმაყოფილებისათვის მზადყოფნა;
- ბავშვის საქციელის გონივრულად განსჯა;
- ბავშვის პროფესიული ინტერესების გამოკვეთისათვის ხელშეწყობა;
- ბავშვის ასაკობრივი განვითარების თავისებურებების გათვალისწინება” (121, გვ. 105-107).

დღეისათვის საოჯახო აღზრდის სხვადასხვა სტილი არსებობს:

**ლიბერალური** - მშობლები არიან "რბილები" და ზედმეტად დამთმობები, ბავშვს ყველა სურვილს უსრულებენ და ამას სითბოსა და მზრუნველობის გამოხატულებად მიიჩნევენ. ოჯახში არ არსებობს ნორმები და წესები, რომლებსაც ემორჩილებიან ოჯახის წევრები. ბავშვები არიან "მეამბოხეები" არ ითვალისწინებენ სხვის აზრს და უჭირთ გარემოსთან ადაპტაცია.

**ინდიფერენტული** - მშობლები ზრუნავენ შვილების მხოლოდ ელემენტარული მოთხოვნილებების (კვება და ჩაცმა) დაკმაყოფილებაზე, იჩენენ სრულ ჩაურევლობას მათ ცხოვრებაში, არც დისციპლინისა და წესების შესრულებას ითხოვენ შვილებისგან და არც მათი ინდივიდუალობით ინტერესდებიან. ამ დროს მშობლები თითქმის არ აკონტროლებენ შვილებს და სითბოსაც ნაკლებად გამოხატავენ. ფიზიკური დასჯის შემთხვევაში ბავშვები სწავლობენ, რომ აგრესიული ქცევა ადეკვატური გზაა კონფლიქტების გადასაჭრელად და თავადაც აგრესიას მიმართავენ თანატოლებთან წარმოქმნილი კონფლიქტების გადასაჭრელად.

**ავტორიტეტული** - მშობლები ექცევიან შვილებს როგორც თანასწორს, ახორციელებენ თანმიმდევრულ, ობიექტურ და სამართლიან კონტროლს ქცევაზე: ენდობიან და გვერდში უდგანან მათ სოციალური გამოცდილებისა და ცოდნის შეძენის პროცესში. ოჯახში არსებობს წესები, რომლებსაც ემორჩილება ოჯახის ყველა წევრი. ავტორიტეტული მშობლები იყენებენ თბილ, ბავშვზე კონცენტრირებულ მიდგომას. ეს საშუალებას აძლევს მას, განივითაროს ასაკის შესაბამისი პასუხისმგებლობები, ეხმარება ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ინდივიდად. ავტორიტეტული მშობლები სათანადო მოთხოვნებს უყენებენ შვილებს, თუმცა თავადაც გულისხმიერად ეპყრობიან მათ, ისინი ყოველთვის უტოვებენ ბავშვებს ურთიერთობის ინიცირების შესაძლებლობას და ხელს უწყობენ თვითრეგულაციის უნარის, თანატოლებთან და უფროსებთან კარგი ურთიერთობის განვითარებას. აღზრდის ავტორიტეტული სტილი ყველაზე მეტად აყალიბებს ეფექტური მშობელი - შვილის კავშირს.

ავტორიტეტულისგან სრულიად განსხვავებული აღზრდის სტილია **ავტორიტარული.** მშობლები დირექტიული მიდგომებით ურთიერთობენ ბავშვებთან "ამის გაკეთება არ შეიძლება", შვილებისგან დისციპლინირებულობას ითხოვენ და ნაკლებად ინტერესდებიან მათი დამოუკიდებლობით. დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, ყოველგვარი ახსნის გარეშე, უწესებენ სასჯელს. ამ დროს ოჯახში ყველა გადაწყვეტილებას მშობელი იღებს, ბავშვი კი იზრდება მორიდებულ, მორცხვ პიროვნებად. ამ სტილით აღზრდილ ბავშვს კონფლიქტების გადაჭრის ერთადერთ გზად დათმობა მიაჩნია, როგორც წესი, ასეთი, ზედმეტად მორცხვი და დამთმობი ადამიანები ნაკლებად აღწევენ წარმატებას ცხოვრებაში. ბავშვი ითრგუნება, ექმნება არაადეკვატური შეხედულება საკუთარ თავზე, დაბალია მისი თვითშეფასება.

აღზრდის ამ სტილს შ. ჩხარტიშვილი ძალმომრეობაზე დაფუძნებულს უწოდებს და მიაჩნია, რომ „აღმზრდელი მოზარდს უყურებს როგორც მასალას, რომლისგანაც აღზრდის მიზანში გათვალისწინებული პიროვნება უნდა შექმნას. იგი მხედველობის გარეშე ტოვებს იმ გარემოებას, რომ მოზარდი ახლაც პიროვნებაა. შეგნებულად ცდილობს იგი წაიყვანოს იმ გზით, რომელიც მას პედაგოგიური თვალსაზრისით უფრო სწორად მიაჩნია" (124, გვ 148).

ნ. ჯანაშია გვაძლევს აღზრდის თითოეული ამ სტილის სავარაუდო შედეგის საინტერესო და საგულისხმო ჩამონათვალს (140, გვ. 51):

| მშობლის აღზრდის სტილი | როცა მშობლები იყენებენ აღზრდის ამ სტილს, ბავშვი ხშირად... |
|---|---|
| ავტორიტეტული:<br><br>• ქმნიან მოსიყვარულე, უსაფრთხო გარემოს სახლში<br>• მაღალი მოლოდინი და სტანდარტები გააჩნიათ ბავშვების ქცევის მიმართ<br>• უხსნიან ბავშვებს, თუ რატომ არის ზოგიერთი საქციელი მისაღები და ზოგიც მიუღებელი<br>• უზრუნველყოფენ ოჯახის წესების თანმიმდევრულად გატარებას<br>• ბავშვებს საოჯახო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში რთავენ<br>• დროთა განმავლობაში უფრო ნაკლებად ზღუდავენ ბავშვებს, რომლებიც თანდათანობით უფრო დამოუკიდებელნი და გონიერნი ხდებიან | • ბედნიერია<br>• თავის თავში დარწმუნებულია<br>• ცნობისმოყვარეა<br>• დამოუკიდებელია<br>• საკუთარი თავის კონტროლის კარგი უნარი გააჩნია<br>• პატივს სცემს სხვა ადამიანების მოთხოვნილებებს<br>• მოტივირებული და წარმატებულია სკოლაში |
| ავტორიტარული:<br><br>• ნაკლებ სითბოს იჩენენ ბავშვების მიმართ, ვიდრე ავტორიტეტული მშობლები<br>• მაღალი მოლოდინი და სტანდარტები გააჩნიათ ბავშვების ქცევის მიმართ<br>• ქცევის წესების დაწესების დროს არ ითვალისწინებენ ბავშვების მოთხოვნილებებს<br>• სჯერათ, რომ ბავშვები მათ წესებს უსიტყვოდ უნდა დაემორჩილონ<br>• არ რთავენ ბავშვებს ოჯახურ დისკუსიებში | • უბედურია<br>• მღელვარეა/მშფოთვარეა<br>• თავის თავში არ არის დარწმუნებული<br>• იშვიათად იჩენს ინიციატივას<br>• დამოკიდებულია სხვა ადამიანებზე<br>• სუსტი სოციალური უნარ–ჩვევები გააჩნია<br>• ადამიანებთან ურთიერთობის დროს მიმართავს ძალადობას<br>• გამომწვევია |

| | |
|---|---|
| თავის ნებაზე მიშვებული:<br><br>• ქმნიან მოსიყვარულე, უსაფრთხო გარემოს სახლში<br>• იშვიათად სჯიან ცუდ საქციელს<br>• უფლებას აძლევენ ბავშვებს ბევრი გადაწყვეტილება თვითონვე მიიღონ (მაგალითად, იმის შესახებ, თუ რა ჭამონ, როდის დაიძინონ) | • ეგოისტია<br>• არ არის მოტივირებული<br>• დამოკიდებულია სხვა ადამიანებზე<br>• ითხოვს სხვების ყურადღებას<br>• გაუგონარი და ურჩია<br>• იმპულსურია |
| ნაკლებად მზრუნველი:<br><br>• ძალიან ცოტა ემოციურ მხარდაჭერას უწევენ ბავშვებს<br>• ძალიან დაბალი მოლოდინი და სტანდარტი გააჩნიათ ბავშვის ქცევის მიმართ<br>• ნაკლებ ინტერესს ავლენენ ბავშვების ცხოვრების მიმართ<br>• ძირითადად საკუთარი პრობლემებით არიან დაკავებული | • მომთხოვნია<br>• არ გააჩნია საკუთარი თავის კონტროლის უნარი<br>• ვერ უმკლავდება იმედგაცრუებას<br>• არ გააჩნია გრძელვადიანი მიზნები |

შალვა ჩხარტიშვილი საუბრობს ასევე აღზრდის დემოკრატიულ სტილზე: „აღმზრდელის მიერ პირველ პლანზე წამოწეულია არა ის უპირატესობანი, რომელინიც მას, როგორც აღმზრდელს აქვს, არამედ აღსაზრდელის ძირითადი მოთხოვნილებები და ინტერესები და სასწავლო - სააღმზრდელო მუშაობა მასზეა დაფუძნებული. აღმზრდელი ყველა სასწავლო სააღმზრდელო ღონიძიებას მოზარდის ძირითად (საზოგადოებრივი თვალსაზრისით მისაღებ) მოთხოვნილებებს უთანხმებს და ამის გამო მისთვის ყოველგვარი გარეგანი ძალდატანების გარეშეც მისაღებსა და სასიამოვნოს ხდის. იგი დიდი სიფაქიზით ეპყრობა მოზარდის ისეთ პიროვნულ მოთხოვნილებებს, როგორიც სოციალური პრესტიჟის მოთხოვნილებაა და ამით აღსაზრდელს ყოველგვარი იძულების გარეშე აქცევს თავისი ძლიერი გავლენის ქვეშ“ (124, გვ 148 - 149).

საოჯახო აღზრდის საინტერესო კალსიფიკაციას გვაძლევს აკაკი ნარგიზიშვილი წიგნში „საოჯახო პედაგოგიკა“. ავტორი გამოჰყოფს აღზრდის რადენიმე ტიპს:

„**1. კეთილსაიმედო ოჯახი:** ამ ტიპს მიეკუთვენება ოჯახების დიდი უმრავლესობა, იქ იზრდებიან შრომისმოყვარე, გონიერი, თავაზიანი პიროვნებები, ნამდვილი მამულიშვილები.

საერთოდ ოჯახისათვის დამახასიათებელია მაღალი სულიერება, მოქალაქეობრიობა, საზოგადოებისა და ოჯახის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა, ოჯახური ვალდებულებების განცდა. აქ მშობელთა ურთიერთობა აგებულია თანასწორობის, ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, შვილების აღზრდის მიზნებისა და ამოცანების, მათი განვითარების პერსპექტივების ღრმა გააზრებით. ამ ტიპის ოჯახისათვის დამახასიათებელია მაღალი სულიერი ურთიერთობა მშობლებსა და შვილებს შორის. ასეთ ოჯახებში იცავენ დამკვიდრებულ ტრადიციებს, რაშიაც აქტიურად ერთვებიან შვილებიც.

**2. ფორმალურ - კეთილსაიმედო ოჯახი:** ამ ოჯახისათვის დამახასიათებელია პასუხისმგებლური დამოკიდებულება საზოგადოებრივი ვალდებულებისადმი, შრომისმოყვარეობა, მაგრამ დაბალია პატივისცემა და ვალდებულებების განცდა ოჯახის უფროს წევრებს შორის. ასეთივე დამოკიდეულებაა მშობლებსა და შვილებს შორის, კერძოდ, მშობლები ერთმანეთისაგან განსხვავებულ დამოკიდებულებას იჩენენ შვილების მიმართ, თანაც მათზე მზრუნველობას მხოლოდ შემთხვევითი, სტიქიური ხასიათი აქვს, არ არის გათვალისწინებული მათი მოთხოვნები და მოთხოვნილებები. ასეთ პირობებში აღზრდას სტიქიური ხასიათი აქვს. ბავშვებში ყალიბდება უარყოფითი თვისებები: უპატივცემულობა მშობლების მიმართ, მათი მოთხოვნების შეუძლებლობა და ა. შ.

**3. არაკეთილსაიმედო ოჯახი:** ასეთი ოჯახისათვის დამახასიათებელია მის წევრებს შორის საერთო ინტერესების ნაკლებობა, ურთიერთუყურადღებობა, ოჯახური ტრადიციებისადმი ზერელე დამოკიდებულება, ოჯახური შრომის, ვალდებულებების უგულვებელყოფა, უწესრიგობა. ამ ოჯახში არ არსებობს ურთიერთპატივისცემის განცდა და ბავშვები იზრდებიან უარყოფითი ფსიქიკური თვისებებით: ისინი უხეშები, კონფლიქტურები, დაუმორჩილებლები და მოჩხუბრები არიან, ისეთები, „ძნელად აღსაზრდელებად“ რომ იწოდებიან.

**4. არასრული ოჯახი:** ეს ისეთი ტიპის ოჯახია, რომელშიც არ იმყოფება დედა ან მამა. ასეთი ოჯახი შეიძლება იყოს სრულფასოვანი, თუ ოჯახში შემორჩენილია მაღალი სულიერება, ურთიერთპატივისცემა, ურთიერთპასუხისმგებლოლბა, შრომისმოყვარეობა, შვილებისადმი კეთილგანწყობა, მათი მომავლისათვის ზუნვა“ (81, გვ. 30-31).

პროფესორი აკაკი ნარგიზიშვილი ოჯახის შემდეგ ტიპებს გამოჰყოფს:

„**პატრიარქალური** (ტრადიციული) ტიპის ოჯახი ყველაზე უფრო ძველი, არქაული ტიპია. ეს არის მრავალსულიანი, მრავლასაკოვანი ოჯახი, სადაც ისინი ერთად, ერთ ჭერქვეშ ცხოვრობენ. ისინი ერთმანეთთან ღრმა, ნათესაური, საერთო წარმომავლობის ნიშნით არიან დაკავშირებული. ოჯახი მრავალშვილიანია. შვილები დამოკიდებული არიან მშობლებზე და მათდამი დიდი სიყვარულით არიან განწყობილი, პატივს სცემენ უფროსებს და მკაცრად იცავენ ეროვნულ ადათ - წესებს. ასეთი ოჯახები, სადაც რამდენიმე თაობის ადამიანი ერთად ეწევა სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას ოჯახის შეძენილ წევრებთან (რძლები, სიძეები), მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინც შემორჩა საქართველოს პატარა ქალაქებში, დაბებში, სოფლებში.

**სრული ტიპის ოჯახი** (ნუკლეარული ოჯახი) დამახასიათებელია თანამედროვე ინდუსტრიული ქვეყნების ქალაქებისათვის და უმრავლესობას წამოადგენენ. ასეთი ოჯახები სამ თაობას (დედ - მამა, შვილები და შვილიშვილები) აერთიანებენ. ისეთ ოჯახებში, სადაც ერთად ცხოვრობენ დაოჯახებული შვილები, გარკვეული დისკომფორტი იგრძნობა, შესუსტებულია ემოციური თანაგრძნობა ახალშექმნილ ოჯახსა და უფროსებს შორის, რომლებსაც სურვილი აქვთ ჰქონდეთ დამოუკიდებელი ცხოვრების პირობები. ხშირად ვერ ეგუება ერთმანეთს ძველი და ახალი ოჯახების წეს - ჩვეულებები, გაძნელებულია საოჯახო ცხოვრების გამოცდილების ურთიერთგადაცემა, მათ შორის დამოკიდებულება მოზარდთა მიმართ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ოჯახის მკვიდრი და შემოსული წევრები სხვადასხვა ეროვნების ან ეთნიკური წარმომავლობისა არიან. ახალგახრდა ოჯახი ცდილობს ცალკე გამოეყოს, შექმნას დამოუკიდბელი ცხოვრების პირობები.

**არასრული ტიპის ოჯახებს** მიეკუთვენაბ მეუღლეების ოჯახი, რომელთა შვილებმა შექმნეს ცალკე, დამოუკიდებელი ოჯახები, აკლიათ მათგან სითბო, ემოციური - სიახლოვე.

არასურლი ოჯახია ისეთი ოჯახიც, რომელშიც სხვადასხვა მიზეზების გამო (გაყრა, გარდაცვალება) მხოლოდ ერთი წევრი (უმეტესად ქალი) თავის შვილთან ერთად ცხოვრობს და სხვებისაგან დამოუკიდებლად ზრუნავს მის აღზრდა - განვითარებაზე; ისეთი ოჯახიც, რომელიც შედგება დაუქორწინებელი ქალისა და შვილისაგან“ (81, გვ 31).

ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესზე, რასაკვირველია, გენეტიკური ფაქტორიც ახდენს ზეგავლენას, მაგრამ როგორ მოხდება მასში ბუნებისაგან ჩადებული უნარების განვითარება, სწორედ მშობლის მიერ არჩეულ აღზრდის სტილზეა დამოკიდებული. საოჯახო აღზდის ამოცანებისა და პრინციპების საყურადღებო ჩამონათვალს გვთავაზობს ნ. ვასაძე:

„ - ოჯახმა უნდა შეძლოს ბავშვის აღზრდისა და განვითარებისათვის მაქსიმალური პირობების შექმნა,

- იტვირთოს ბავშვის სოციალურ - ეკონომიკური და ფსიქოლოგიური დაცვის ფუნქცია,
- გადასცეს შვილებს ოჯახის შექმნისა და შენარჩუნების გამოცდილება, აუხსნას მათ შვილებისა და მშობელთა ურთიერთობის ტრადიციების მნიშვნელობა,
- გააცნოს შვილებს თავისი ხალხის ეთნოკულტურული გამოცდილება,
- ასწავლოს შვილებს ოჯახის მართვის ანბანი, გამოუმუშავოს უნარ - ჩვევები რომელიც მიაჩვევს მათ თვითმომსახურებასა და ახლობლების დახმარებას,
- უზრუნველყოს ბავშვის ზნეობრივი განვითარება,
- აღზარდოს შვილები საკუთარი ღირსების, ადამიანის პიროვნული ფასეულობების დაცვისა და გაფრთხილების გრძნობით“ (49, გვ. 237).

აღნიშნული ამოცანების შესასრულებლად ნ. ვასაძე მიზანშეწონილად მიიჩნევს საოჯახო აღზრდის შემდეგი პრინციპების გამოყენებას:

„ - მოზარდი ადამიანისადმი ჰუმანური დამოკიდებულება და კეთილგანწყობა,

- ოჯახის ცხოვრებაში შვილების, როგორც თანაბარუფლებიანი წევრების ჩაბმა,
- შვილების მიმართ გულღია დამოკიდებულება და ნდობის გამოხატვა,
- ოჯახის წევრთა შორის ოპტიმისტური განწყობილების შექმნა და სიკეთის და რწმენის ჩასახვა,
- შვილებისადმი ზომიერი მომთხოვნელობა, ისეთი მოთხოვნის გამორიცხვა, რომელსაც ის ვერ შეასრულებს,
- შვილებისათვის შეძლებისა და საჭიროების მიხედვით დახმარების აღმოჩენა, მათ კითხვებზე პასუხის დროულად გაცემა, მათი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება” (49, გვ. 38).

აქვე უნდა დავეთანხმოთ ასევე ო. კოღუაშვილს, რომ „ოჯახი საზოგადოებისაგან მოწყვეტილად არ უნდა განვიხილოთ. იგი მასთან ორგანულ კავშირშია. ამიტომ, როდესაც ვამბობთ, ოჯახში ბავშვს აღზრდა აკლიაო, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ამას საზოგადოებაში გამოავლენს“ (61, გვ. 61).

როგორც ვხედავთ, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი ცხადყოფს, რომ აღზრდა ისტორიული ხასიათისაა. მის წარმოშობას უკავშირებენ ადამიანის განყენებული აზროვნების წარმოშობის პროცესს. კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე იცვლებოდა მისი შინაარსი, მიზნები, ამოცანები და პასუხობდა გარკვეული კლასის ინტერესებს. დღეს აღზრდის არსი, არისტოტელესეული, ჰარმონიული განვითარების იდეის გაღრმავებას (შემდგომ განვითარებას) წარმოადგენს და არცერთ სხვა სოციალურ ინსტიტუტს არ შეუძლია იმხელა გავლენა მოახდინოს მასზე, როგორც ოჯახს. ეს გავლენა შეიძლება იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი, რაც სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, დამოკიდებულია თავად ოჯახის ტიპზე და აღზრდის იმ სტილზე, რომელსაც იგი ირჩევს.

დღეს, საოჯახო აღზრდის საკითხი თანამედროვეობის ერთ - ერთი უმთავრესი პრობლემაა. პრობლემის გადასაჭრელად კი ჩვენი აზრით, აუცილებელია გამოვავლინოთ აღმზრდელობითი ღონისძიებების სწორად წარმართვის ხელისშემშლელი ფაქტორები.

## §2. ოჯახში მოზარდთა უმეთვალყურეობით გამოწვეული პრობლემები

საოჯახო აღზრდის ერთ - ერთ უმთავრეს პრობლემას, მოზარდთა უმეთვალყურეობა წარმოადგენს. მოზარდთა უმეთვალყურეობა ან არასაკმარისი პედაგოგიური ზედამხედველობა, თანამედროვე ცხოვრების, მისი მრავალფეროვანი სოციალური გარემოს სამწუხარო თანმხლები პროცესია და მიზეზიც მრავალფეროვანი აქვს.

ჩვენ დავინტერესდით, თუ როგორია რეალური ვითარება, რას ფიქრობს საზოგადოება: პედაგოგები, მოზარდები და თავად მშობლები მოზარდთა უმეთვალყურეობის მიზეზებთან დაკავშირებით და ჩავატარეთ კვლევა.

**კვლევის მიზანი:** მშობლების მხრიდან მოზარდთა უმეთვალყურეობის მიზეზების დადგენა.

**კვლევის მეთოდი:** კვლევა მოიცავდა ორ ეტაპს. პირველ ეტაპზე განხორციელდა თვისობრივი კვლვა, გამოყენებულ იქნა ჯგუფური დისკუსიის ტექნიკა, მონაწილეობდა მასწავლებლების, მოსწავლეებისა (მე-11, მე-12 კლასი) და მშობლებისაგან შემდგარი სამი ფოკუს - ჯგუფი (სულ 15 რესპოდენტი). თვისობრივი კვლევის შედეგები გამოვიყენეთ კველვის მეორე ეტაპისათვის (რაოდენობრივი კვლევა) კითხვარის სტრუქტურის აგებისას (იხ. დანართი №2). რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობდა 60 მოსწავლე (ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მე-11, მე-12 კლასი), 60 მშობელი, 60 პედაგოგი (ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები), 17 სხვა პირი (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის თანამშრომლები).

**კვლევის არეალი:** ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები (№6, №11, №24, №26, №28, №30, №31, №32, №37 საჯარო სკოლები).

**კვლევის ჩატარების დრო:** 2015 წლის ოქტომბერი.

ანალიზმა მოგვცა შემდეგი სურათი:

ცხრილი №5

| | მოზარდთა უმეთვალყურეობის მიზეზები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მიზეზი | საერთო შედეგი | მათ შორის | | | |
| | | | მასწავლებელი | მოსწავლე | მშობელი | სხვა პირი |
| 1 | სამსახურებრივად დაკავებული მშობლები | **121** | 42 | 40 | 30 | 9 |
| 2 | მშობელთა უმუშევრობით გამოწვეული პრობლემები | **141** | 44 | 32 | 55 | 10 |
| 3 | მშობელთა პირადი პრობლემები და კონფლიქტები | **165** | 53 | 3 | 60 | 13 |
| 4 | არასრული ოჯახი | **111** | 38 | 40 | 20 | 13 |
| | სხვა | **20** | 7 | 0 | 12 | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | | | | | |
| 6 | არ ვიცი | **7** | 0 | 7 | 0 | 0 |

საერთო შედეგი:

გრაფიკული გამოსახულება №6

**მოზარდთა უმეთვალყურეობის მიზეზები**




როგორც გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენა, მოზარდთა უმეთვალყურეობის მიზეზი შეიძლება სხვადასხვა იყოს: ერთ შემთხვევაში სამსახურებრივი საქმიანობით დაკავებული მშობლები ვეღარ ახერხებენ შვილების მეთვალყურეობას, ან პირიქით უმუშევრობით გმოწვეული პრობლემები იმდენად დიდია, რომ მათ არა თუ აღმზრდელობითი ღონისძიებების სწორად ორგანიზებაზე, არამედ ბავშვების გამოკვებაზე ფიქრიც კი უჭირთ. ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობლების პირადი კონფლიქტებისა და უთანხმოების ფონზე შვილების აღზრდა მეორეხარისხოვანი ხდება, ხოლო არც თუ ისე იშვიათად, მშობლების მეთვალყურეობის მიღმა არასრული ოჯახის შვილები რჩებიან.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2005-2015 წლებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მხოლოდ 14% - ია დასაქმებული, ხოლო 86% - დაუსაქმებელი. აღნიშნული მაჩვენებლი საშუალებას იძლევა ვიფიქროთ, რომ მოზარდთა უმეთვალყურეობის მიზეზი უმეტესწილად მძიმე სოციალური პირობები შეიძლება იყოს.

ცხრილი №6

დასაქმება და უმუშევრობა:

| | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 | 2012 | 2013 | 2014 | 2015 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი | 2023.9 | 2021.8 | 1965.3 | 1917.8 | 1991.8 | 1944.9 | 1959.3 | 2029.1 | 2003.9 | 1991.1 | 2021.5 |
| დასაქმებული, ათასი კაცი | 1744.6 | 1747.3 | 1704.3 | 1601.9 | 1656.1 | 1628.1 | 1664.2 | 1724.0 | 1712.1 | 1745.2 | 1779.9 |
| უმუშევარი, ათასი კაცი | 279.3 | 274.5 | 261.0 | 315.8 | 335.6 | 316.9 | 295.1 | 305.1 | 291.8 | 246.0 | 241.6 |

გრაფიკული გამოსახულება №7



გრაფიკული გამოსახულება №8




სამსახურებრივად დაკავებული მშობლები - ეს თანამედროვეობის სამწუხარო სენია. ცხოვრების აჩქარებული ტემპი, რთული სამუშაო დღე და დრო, რომელიც არასდროს არის საკმარისი. ხშირია შემთხვევები, როდესაც მშობლები თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში არიან წარმატებული, და გულწრფელად სურთ თავიანთი შვილებიც კარგ ადამიანებად აღზარდონ, თუმცა დილიდან საღამომდე თავდაუზოგავად მუშაობის გამო უმეტესად ვეღარ აქცევენ ყურადღებას შვილებს და ნაცვლად იმისა რომ თავად ჩაერთონ მათ საქმიანობაში, ბავშვების ხმაურიანი თამაში ან თხოვნა გაღიზიანებას იწვევს, ცდილობენ თავიდან აიცილონ „ზედმეტი საქმე“ და მისი სხვა ოთახში სათამაშოდ განმწესება უწევთ. თითქოს პრობლემა მოგვარდა, სინამდვილეში კი აქედან ჩნდება პრობლემები მოზარდის ფსიქიკაში.

სამსახურით დაკავებული მშობლები შვილებს უკეთეს პირობებში ცხოვრებას სთავაზობენ, ზრუნავენ მის ჯანმრთელობაზე, ცდილობენ მისცენ უკეთესი განათლება, ყიდულობენ ლამაზ და საინტერესო სათამაშოებს, უქმნიან თავიანთ გარემოს და მერე სრულიად მარტო ტოვებენ ამ გარემოში. ბავშვი თამაშობს, ხატავს, ძერწავს, უსმენს, უყურებს მულტფილმს, მაგრამ თითქმის ვერ გრძნობს, რომ სახლში მის გვერდით საკუთარ საქმეებში გართული მშობლები არიან, რომლებსაც უყვართ ისინი და ზრუნავენ მათზე. მაშინ როდესაც ზრდასრული ადამიანები საჭიროებენ გამოხატონ საკუთარი ემოციები, მოზარდებში ეს გრძნობა გაცილებითბ უფრო მძაფრია. ბავშვმა დახატა ნახატი და სურს მამას აჩვენოს, დასტრიალებს თავს, მხიარული და აღფრთოვანებული თავისი ნამუშევრით, მამა კი მას რამდენიმე

სიტყვით შეაქებს ისე, რომ ნახატს არც კი უყურებს. „შეხედე, შენ ხომ არც კი შეგიხედავს“, ძლივს გამოთავისუფლებულ რამდენიმე წამს უთმობს მამა მას „ლამაზია“. ან „მამა მოდი რა ერთად დავხატოთ რამე“, „ახლა ძალიან დაკავებული ვარ, ხვალ ვითამაშოთ“. ასე გრძელდება ყოველთვის. ბავშვი ვეღარ ღებულობს იმ მხარდაჭერას, რომელსაც მშობლებისგან ელოდა. ამის შემდეგ მას უჩნდება განცდა, რომ მარტოა, დედა/მამა დაკავებულია და მაინც არ ეცლება მისთვის, თამაშობს მარტო და აღარ ცდილობს დაუახლოვდეს მათ.

ეს სიტუაცია სხვადასხვა ოჯახში სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. მამის ადგილზე შეიძლება დედა აღმოჩნდეს, ბიჭის ადგილზე - გოგონა, ნახატის ნაცვლად საქმე შეიძლება თამაშს ან მეცადინეობას ეხებოდეს. შედეგი კი ერთი და იგივეა - მშობლების ასეთი საქციელი თრგუნავს მათი შვილების სურვილებს და ემოციებს, რამაც შეიძლება სერიოზულად დააზიანოს ბავშვის არა მარტო საერთო განვითარება, არამედ მისი ჯანმრთელობა, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა მსგავს სიტუაციაში ხშირად უწევს ყოფნა. „დაკავებული მშობლები“ კი ეს არის გამოცდილება, რომელსაც ბავშვი იძენს ოჯახში და გადასცემს შთამომავლობას.

დედა არ იჩენს ყურადღებას თავისი გოგონას მიმართ, არ იცის რით არის ის დაინტერესებული, ვინ არან მისი მეგობრები, რას აკეთებს თავისუფალ დროს და ასე შემდეგ, ასეთ დამოკიდებულებას კი იმით ამართლებს, რომ არის დატვირთული სამსახურებრივი მოვალეობით ან პირადი პრობლემებით. მაგრამ როცა მისი შვილი უკვე წამოიზრდება, იგი დარწმუნდება რომ ისინი სხვადასხვა გემოვნებისა და მოთხოვნილების არიანი, რომ შვილს არ ესმის მისი, რომ ისინი სრულიად უცხო ადამიანები არიან ერთმანეთისთვის. დედა იწყებს მასთან დაახლოებას, ის კი ცდილობს აიცილოს კონტროლი და აკეთებს ცნობილ განცხადებებს „ჩემს ცხოვრებაში ნუ ერევი,“ „მარტო მინდა ვიცხოვრო“, ეს ჩემი გადასაწყვეტია და ასე შემდეგ. იგი მთელ თავის თავისუფალ დროს ატარებს განსხვავებულ წრეში, რომელიც გავლენას ახდენს მასში ამა თუ იმ თვისების გამომუშავებაში. „უზედამხედველობა არის ის ძირითადი მიზეზი, რომელიც ბავშვებს აქცევს სხვადასხვა მავნე ზეგავლენაში, ავითარებს მათში ცუდ ჩვევებს, დაუმორჩილებლობას, თვითნებობასა და უდისციპლინობას. იგი არღვევს ბავშვების ზნეობრივი განვითარების ნორმალურ მსვლელობას და ხშირად მცირეწლოვანთა მიერ მართლწესრიგის დარღვევის მიზეზად გვევლინება (30, გვ. 54).

მოზარდთა უმეთვალყურეობის ერთ - ერთ მიზეზად რესპოდენტთა ნაწილმა, „არასრული ოჯახი“ დაასახელა, რაც შეიძლება ერთ - ერთი მშობლის გარდაცვალებას, განქორწინებას ან ემიგრაციას ნიშნავდეს. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ მშობლის გარდაცვალების ფაქტი უარყოფითად მოქმედებს არა მხოლოდ მოზარდის, არამედ ოჯახის სხვა წევრების ფსიქიკაზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აღმზრდელობითი ღონისძიებების შესუსტება.

„ცნობილია, თუ როგორ მწვავედ განიცდიან ბავშვები მახლობელი ადამიანების სიკვდილს. მაგრამ ასეთ შემთხვევებში, ჰბაძავენ რა მშობლების დამოკიდებულებას ოჯახზე თავს დატეხილი უბედურებისადმი, ბავშვები სიკვდილს უყურებენ როგორც მწუხარებას, რომელშიც არავინ არის დამნაშავე. მახლობელი ადამიანის სიკვდილი, როგორი მწავე განსაცდელიც არ უნდა იყოს ის, მაინც ბუნებრივი მოვლენაა და თანდათნობით ჰქრება ბავშვის მეხსიერებაში. ბავშვებს ესმით, თუ როგორ იხსენიებენ მიცველბულს და ჩვეულებრივ მასზე კარგს ამბობენ. სრულიად სხვა ხდება, როცა დედა ან მამა თვითონვე სტოვებს ოჯახს. ბავშვი პირველად დგება ფაქტის წინაშე, რომ ერთი მთლიანი, რომელიც მას ურყეველი ეგონა, უცბად დაირღვა.“ (64, გვ. 52-53).

ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ვ. გორგაძეს, რომ „მშობლების გაყრა დიდ, და შეიძლება ითქვას გამოუსწორებელ ტრავმას აყენებს შვილებს. ბავშვის ცნობიერება ვერ ეგუება იმას, რომ ის მამამ ან დედამ მიატოვა. ხშირად ასეთი ბავშვი გულჩათხრობილი, გაბოროტებული და უზნეო ხდება და ადვილად ადგება დანაშაულებრივ გზას (37, გვ. 63).

განქორწინება არის რთული და ხშირ შემთხვევაში ხანგრძლივი პროცესი. იგი რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

1. განქორწინების წინა პერიოდი;
2. განქორწინების პერიოდი;
3. განქორწინების შემდგომი პერიოდი;
4. და არც თუ ისე იშვიათად, განმეორებით ქორწინება, რომელიც თავის მხრივ წინა და შემდგომ პერიოდებს მოიცავს.

განქორწინების წინა პერიოდი ხშირ შემთხვევაში ხანგრძლივია. დასაწყისი შეიძლება პარტნიორთა პირველი იმედგაცრებით დაიწყოს. ყოველდღიურად მზარდ უკმაყოფილებას, კონფლიქტებს, დაპირისპირებას, ისინი გაუცხოებამდე მიჰყავს.

„ასეთ პირობებში ბავშვი არა მარტო მშობლების უსიამოვნების მოწმე, არამედ ამ უსიამოვნების უდანაშაულო მსხვერპლიც ხდება. განერვიულებული მშობლები უხეშობას იჩენენ შვილებისადმი, ზოგჯერ სრულიად დაუმსახურებლად სცემენ კიდეც მას. საერთოდ, ცნობილია, რომ განერვიულებული და გაბოროტებული ადამიანი ყველაფრისა და ყველას მიმართ უხეშობს, უსულო საგანსაც არ ინდობს, ამტვრევს, ამსხვრევს ჭურჭელს და სხვა საოჯახო ნივთებს. ასეთ დროს მშობელბი არა თუ ფიქრობენ აცილონ, მოარიდონ ბავშვი ოჯახში შექმნილ უსიამოვნებას, არამედ პირიქით, ცდილობენ ამ უსიამოვნებაში ისინიც ჩაითრიონ. აქედან იწყება მის სულიერ სამყაროში კონლიქტები და ნერვიულობა. ბუნებრივია ეს პროცესი რთულად აისახება მოზარდის ფსიქიკაზე, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია მის ასაკზე, პიროვნულ მახასიათებელსა და განვითარების დონეზე. თუმცა ნებისმიერ ასაკში განიცდიან თავიანთი „სამყაროს გახლეჩას“, ეძებენ მიზეზებს ყველგან, საკუთარ თავშიც კი და არიან ჩაკეტილები. ამის შედეგად, ცხადია ბავშვიც ძნელად „დასამორჩილებელი“ და ძნელად აღსაზრდელი ხდება. მაგრამ სამწუხაროდ საქმე ამით როდი მთავრდება. ბავშვის ნამდვილი ტრაგედია მაშინ იწყება, როდესაც მშობლების განქორწინება ფაქტი გახდება.

განქორწინების წინა პერიოდის ლოგიკური შედეგი განქორწინებაა. ეს მომენტი ბავშვისათვის განსაკუთრებით მძიმეა მაშინ, თუ მას ერთნაირად უყვარს ორივე მშობელი და ბუნებრივია, რომელიმე მათგანისაგან აუცილებლი განშორება მასში დიდ სულიერ ტკივილებს იწვევს. მისთვის დამახასიათბელ ხალისიან განწყობილებას ცვლის მწუხარება. ხდება შესატყვისი ცვლილებები მოზარდის ხასიათში, რომელსაც შემდეგ იგი თავის თითქოსდა უცნაურ ქცევაში ამჟღავნებს. ზოგჯერ ასეც ხდება; განქორწინებას მალე მოსდევს ახალი ქორწინება, ახალ ოჯახურ მდგომარეობას ცვლილებები მოაქვს მოზარდის ცხოვრებაში, შეცვლილი საცხცოვრებელი გარემო, სკოლა, მეგობრები, ხშირ შემთხვევაში კი ამ ყველაფერს ოჯახის ახალი წევრიც ემატება მამინაცვლის ან დედინაცვლის სახით. მას უძნელდება შექმნილ მდგომარეობასთან შეგუება და იწყება მისი მწარე განცდების ახალი პერიოდი. ბავშვში ვითარდება კარჩაკეტილობის, ადამიანებისადმი უნდობლობის გრძნობა, ზოგჯერ თავს იჩენს შურისძიების ტენდენცია, რის შედეგადაც იგი შეიძლება ცხოვების ცუდ გზაზე აღმოჩნდეს“ (84, გვ. 17).

განქორწინების შემდგომი პერიოდი არანაკლებ რთულია მოზარდისთვის. მასში ბევრი სხვადსახვა განცდა იჩენს თავს: გაურკვევლობა, ბრაზი, საკუთარი თავის ან მშობლების დადანაშაულება, სინანული, მონატრება, ტკვილი და სხვა.

თუ განქორწინება მკაცრ აუცილებლობად იქცა, ესე იგი იგი აუცილებელია ბავშვისთვისაც. მუდმივი კონფლიქტების დროს აღმზრდელობითი ღონისძიებების სწორად ორგანიზება შეუძლებელია და რაც არ უნდა ეცადნონ მშობლები შეინარჩუნონ ოჯახი ბავშვის გამო, ორმაგად საზიანო ხდება მისთვის.

ამდენად განქორწინების პროცესს წინ უძღვის მძიმე და ხანგრძლივი კონფლიქტები და ხშირ შემთხვევაში მოჰყვება მძიმე სოციალურ - ეკონომიკური პირობები, რომლიც მარტოდ დარჩენილ მშობელს აწვება მხრებზე. ამგვარი პრობლემებით გადატვირთულ „არასრულ ოჯახში" ყოფითი პრობლემები უმთავრესი ხდება, მოზარდის აღზრდის პროცესი მეორეხარისხოვანი, ხშირ შემთხვევაში კი საერთოდ ყურადღების მიღმა რჩება. შედეგად კი, მოზარდი უფრო მეტ დროს ატარებს ქუჩაში, სადაც იგი სხვადასხვა ზნე - ჩვეულებების მქონე ადამიანებს იცნობს და იწყება მისი დამნაშავედ ფორმირების ეტაპი.

საინტერესოა სტატისტიკური მონაცემები საქართველოში რეგისტრირებულ განქორწინებულ ოჯახთა შესახებ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით შემდები სურათი გვაქვს:

გრაფიკული გამოსახურლბა №9

**ქორწინება - განქორწინება**



გრაფიკული გამოსახულება №10




როგორც მონაცემები გვიჩვენებს, განქორწინებულ ოჯახთა რიცხვი, საკმაოდ დიდია, რაც ვფიქრობთ, რომ მოზარდთა მეთვალყურეობისა და აღმზრდელობითი ღონისძიებების სწორად ორგანიზების ერთ - ერთი უმთავრესი ხელისშემშლელი პირობაა, ეს კი თავის მხრივ პიროვნების დამნაშავედ ფორმირების რისკს ზრდის.

ჩვენთვის საინტერესოა დ. დარჩიას კვლევა, არასრულწლოვან ბავშვთა მიერ დანაშაულის ჩადენისა და სწორი გზიდან აცდენის მიზეზების შესახებ. შესწავლილი იქნა სხვადასხვა დანაშაულისათვის აღრიცხვაზე მყოფი 170 არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი, მათი მშობლების ურთიერთდამოკიდებულება, საცხოვრებელი გარემო და ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია: „170 ბავშვიდან 46 - ს დედა ან მამა არა ჰყავს, 50 - ის მშობლები განქორწინებულია, 31 მოუწესრიგებელი ოჯახიშვილია, ხოლო 43 - ს ჰყავს დედაც და მამაც. მათ ოჯახში თითქოს ბავშვის ცუდად აღზრდის არავითარი საფუძველი არ უნდა არსებობდეს, მიუხედავად ამისა, მაინც მოხვდნენე მილიციაში აღრიცხვაზე“ (44, გვ. 54).

„...ოჯახში, სადაც წევრებს შორის ურთიერთობა არ სუფევს, ბავშვის მყუდროება დარღვეულია და იგი გარეთ ეძებს თავშესაფარს. იმ შემთხვევაში, როცა მოზარდს ვერ უგებენ, არ თანაუგრძნობენ, იგი ოჯახიდან განაპირებლად თვლის თავს და ქუჩაში, თანატოლებთან ეძებს საერთოს. მოზარდს ურჩევნია იმათთან დაამყაროს კონტაქტი, ვინც აღიარებს მას, ვინც არ ჩაჰკირკიტებს და არ შიფრავს მის პიროვნებას. აქ იგი იოლად აღწევს თვითდამკვიდრებას, რასაც ასე მიელტვის“ (142, გვ. 27).

ამდენად, კველევის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამსახურებრივად დაკავებული მშობლების მოუცლელობა, მძიმე სოციალური მდგომარეობა,

კონფლიქტები და არასრული ოჯახი - ეს ის ძირითადი მიზეზებია, რომლის გამოც მოზარდთა უმეტესობა მშობლების ზედამხედველობის გარეშე რჩება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მძიმე სოციალური პირობები ხშირად მშობლების პირად კონფლქტებს, პირადი კონფლიქტები, არც თუ ისე იშვიათდ ოჯახის დაშლას, ოჯახის დაშლა კი თავის მხრივ, ისევ სოციალურ მდგომარეობას აუარესებს, ნათელია, რომ უმეთვალყურეობის ეს მიზეზებიც თავად ერთმანეთის გამომწვევ მიზეზებად იქცევიან:




უმეთვალყურეოდ დარჩენილი მოზარდის ცხოვრებას ახასათებს არაორგანიზებულობა და ხშირ შემთხვევაში შედეგად დამნაშავეობა მოსდევს. არაორგანიზებული ცხოვრებისთვის დამახასიათებელი მავნე მოვლენების თავიდან აცილება შესაძლებელია, თუ მოზარდს დავუწესებთ მტკიცე წესრიგს, ისეთ რეჟიმს, რომელიც უზრუნველყოფს მის ნორმალურ ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას.

### §3. მოზარდის თავისუფალი დროის სწორად ორგანიზების საკითხის მნიშვნელობა დანაშაულის პრევენციის საქმეში

პედაგოგიურ ლიტერატურაში, აღზრდის დროს დაშვებულ შეცდომებზე საუბრისას, წინა პლანზეა წამოწეული მოზარდის თავისუფალი დროის არაორგანიზებულობის საკითხი. მოზარდის თავისუფალი დრო, მისი დღის რეჟიმის ის ნაწილია, როცა მას შეუძლია დაკავდეს მისთვის სასურველი საქმით, თუმცა „დასვენება გონებრივი შრომის შემდეგ სრულიად არ მდგომარეობს იმაში, რომ არაფერი აკეთო, არამედ იმაში მდგომარეობს რომ გამოიცვალო საქმე; ფიზიკური

შრომა გონებრივი შრომის შემდეგ არა თუ სასიამოვნოა, არამედ სასარგებლო დასვენებაც არის... მუშაობისათვის ყველაზე მეტად საჭიროა, რომ აღსაზრდელისათვის შეუძლებელი გახდეს ის ლაქიური დროსტარება, როდესაც ადამიანი ისე რჩება, რომ ხელში საქმე არა აქვს და თავში აზრი; იმიტომ, რომ სწორედ ამ წუთებში ფუჭდება თავი, გული და ზნეობა... ასეთი დროსტარება კი ერთობ ჩვეულებრივი მოვლენაა ბევრ სასწავლო დაწესებულებაში და ბევრ ოჯახშიაც კი, სადაც ბავშვებმა და ახალგაზრდა ადამიანებმა, როდესაც სწავლას მორჩნენ პირდაპირ არ იციან რით შეიქციონ თავი და ეჩვევიან დროის მოკვლას“ (112, გვ. 130).

სამწუხაროდ უშინსკის ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავს ძალა, ყველა ახალგაზრდამ როდი იცის რით შეავსოს თავისი თავისუფალი დრო, წარმართოს იგი თავისი თავისა და საზოგადოების სასარგებლოდ, რის გამოც იგი ძებნას უწყებს საეჭვო გართობებს.

რა თქმა უნდა მოზარდები ვერ შეძლებენ მოზრდილთა დახმარების გარეშე სწორად გაანაწილონ თავიანთი დრო. მშობლები ამაში უნდა დაეხმარონ მას, მაგრამ არ უნდა შეზღუდონ მისი ინიციატივა.

მოზარდის დღის რეჟიმის აუცილებელ და სავალდებულო ნაწილს შეადგენს თავისუფალი დრო.

მოსწავლეთა თავისუფალი დროის პრობლემის გადაწყვეტასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრობლემის გადაწყვეტა. როგორც ცალკეულ მკვლევართა მონაცემები გვიჩვენებს, (გაბიანი, ქს. გეგელია) არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა 80 % -ზე მეტი თავისუფალ დროზე მოდის. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ არასრულწლოვან დამნაშავეთა მნიშვნელოვანი ნაწილი არსად არ მუშაობს და დროს უსაქმურობაში კლავს.

დანაშაულს ძირითადად ის მოზარდები ჩადიან, რომლებიც უმეთვალყურეოდ რჩებიან და თავისუფალ დროს ყოველგვარი კონტროლის გარეშე ატარებან. ასეთ დროს ისინი ეთიშებიან აღმზრდელობით გარემოს, უკავშირდებიან ე.წ. „ქუჩის მასწავლებლებს“, დახეტიალობენ ქუჩაში და ხშირად ისეთ საბედისწერო ნაბიჯს დგამენ, რომელსაც ისინი დამნაშვეობამდე მიჰყავს.

თავისუფალი დროის სწორად ორგანიზების საკითხზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადამიანის ფიზიკური, სულიერი და ინტელექტუალური განვითარება. ზრდასრული ადამიანი ვერ შეძლებს მიზანმიმართულად გამოიყენოს

თავისუფალი დრო, თუ მას ეს ჩვევა ბავშვობიდანვე არ გამოუმუშავდა. „ყოველ არსებას, რომელიც იბადება, ის თანდაყოლილი თვისება აქვს, რომ სანამ ნორჩია ძალიან მოქნილია და იღებს სასურველ ფორმას, ხოლო როდესაც მომაგრდება, ეს შეუძლებელი ხდება... ნორჩი ხე ითმენს დარგვას, გადარგვას, გასხვლას, სხვადასხვა მიმართულებით მოღუნვას, მაგრამ როცა გაიზრდება ეს შეუძლებელი ხდება. ასევე ვისაც სურს ხისაგან გააკეთოს შვილდი, უნდა აიღოს მწვანე და ნორჩი ხე, ძველი და კვანძებიანი არ მოიღუნება... ადამიანში მხოლოდ ის არის ურყევი და მტკიცე, რასაც იგი შეითვისებს პირველ ასაკში... ადამიანის პირველი შთაბეჭდილებანი იმდენად მტკიცეა, რომ მათი გარდაქმნა სასწაული იქნებოდა; ამიტომ ყველაზე უფრო გონივრულია მათი ჩანერგვა ნორჩ ასაკშივე, როგორც ეს ეთანხმება სიბრძნის ჭეშმარიტ მოთხოვნილებას... იმისგან გადაჩვევა რაც ადრეულ ასაკში შევითვისეთ, შემდეგში ან შეუძლებელი იქნება ან ძალიან ძნელი“ (60, გვ. 68-71).

თავისუფალ დროს მოზარდები სხვადასხვანაირად ირთობენ თავს: აშენებენ, ძერწავენ, ხატავენ, კითხულობენ, უყურებენ ფილმს, სეირნობენ ან ცდილობენ დაკავდნენ მათთვის საინტერესო და საყვარელი სხვა საქმით. მაგრამ ბავშვების მიერ არჩეული ეს საინტერესო საქმი კი შეიძლება ყოველთვის სასარგებლო არ აღმოჩნდეს.

რას აკეთებენ ისინი? რით არიან დაკავებული თავისუფალ დროს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ყველაზე უკეთ მშობლებს უნდა შეეძლოთ, სინამდვილეში კი მშობლებმა ყოველთვის არ იციან რას საქმიანობენ მათი შვილები სკოლიდან დაბრუნების შემდეგ, ან თუნდაც სკოლაში. სამწუხაროდ ზოგიერთი მათგანი ფიქრობს, რომ თუ იგი აცმევს და კვებავს ბავშვს, ამით მთლიანად ამოიწურება მისი მშობლიური მოვალეობა და ბავშვის აღზრდის პასუხისმგებლობას მთლიანად სკოლას აკისრებს.

ჩვენ დავინტერესდით, თუ რამდენად არიან მშობლები ჩართულნი თავიანთი შვილების თავისუფალი დროის ორგანიზებაში და ჩავატარეთ კვლევა:

**კვლევის მიზანი:** მოზარდის თავისუფალი დროის ორგანიზებაში მშობელთა ჩართულობის ხარისხის დადგენა, სავარაუდო ხელისშემშლელი ფაქტორების გამოვლენა, რეკომენდაციების მიღება.

**კვლევის მეთოდი:** კვლევა მოიცავდა ორ ეტაპს. პირველ ეტაპზე განხორციელდა თვისობრივი კვლევა, გამოყენებულ იქნა ჯგუფური დისკუსიის ტექნიკა, მონაწილეობდა მასწავლებლების, მოსწავლეების (მე-11, მე-12 კლასი) და

მშობლებისაგან შემდგარი სამი ფოკუს - ჯგუფი (სულ 15 რესპოდენტი). თვისობრივი კვლევის შედეგები გამოვიყენეთ კველვის მეორე ეტაპისათვის (რაოდენობრივი კვლევა) კითხვარების სტრუქტურის აგებისას (იხ. დანართები №3, №4, №5). რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობდა 80 მოსწავლე (ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მე-11, მე-12 კლასი), 80 მშობელი, 80 პედაგოგი (ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები).

**კვლევის არეალი:** ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები (№6, №5, №11, №19, №24, №26, №30, №32, №37 საჯარო სკოლები).

**კვლევის ჩატარების დრო:** 2015 წლის ნოემბერი.

კითხვარების საფუძველზე ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, არიან თუ არა მშობლები ჩართული თავიანთი შვილების თავისუფალი დროის ორგანიზებაში, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში დაგვედგინა შესაბამისი ხელისშემშლელი ფაქტორები, ხოლო დადებითი პასუხის შემთხვევაში გაგვეგო, რით არიან დაკავებული მოზარდები სკოლისაგან თავისუფალ დროს.

კვლევის შედეგების ანალიზმა მოგვცა შემდეგი სურათი:

გრაფიკული გამოსახულება №11




აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა 3% ნაწილობრივ ხოლო 32% სრულად არის ჩართული მისი შვილის თავისუფალი დროის ორგანიზებაში და იცის რას საქმიანობს იგი ამ დროს. კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ მოზარდთა უმეტესობა თავისუფალ

დროს კომპიუტერთან ატარებს (თამაშობს თამაშებს, ან უყურებს ფილმს). საინტერესოა გამოკითხვის სრული სურათი:

გრაფიკული გამოსახულება №12

**მოზარდთა საქმიანობა თავისუფალ დროს**




გრაფიკული გამოსახულება გვიჩვენებს, რომ მოზარდები იშვიათად არიან დაკავებული მათთვის სასარგებლო საქმიანობით და საინტერესოა რატომ ატარებენ ისინი თავისუფალ დროს ძირითადად კომპიუტერთან. მოზარდთა ინტერნეტდამოკიდებულება საყოველთაო პრობლემად იქცა. ტექნოლოგია ადამიანის თვითგამოხატვისა და შემეცნების ერთ - ერთი საშუალებაა, მაგრამ პრობლემას მაშინ ვხვდებით, როცა მოზარდი ექცევა ტექნოლოგიების გავლენის ქვეშ და მასზე დამოკიდებული ხდება. დღეს, თანამედროვე ფსიქოლოგიური კვლევების წინაშე, აქტიურად დგას საკითხი, თუ რა სახის ტრანსფორმაციას განიცდის მოზადის პიროვნული თვისებები ციფრული მედიების გავლენით. თუ ოჯახში, ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებისას, მშობლის ავტორიტეტია გადამწყვეტი, ციფრულ ერაში სრულიად იცვლება ღირებულებათა სისტემა, იცვლება მოზარდის პირადი სივრცის ცნება, ისინი მუდმივად ჩართულები არიან ვირტუალურ სამყაროში, ვეღარ ახერხებენ ემოციების გაზიარებას, ემოციებს პირობითი ნიშნები ცვლიან. პირობითი ნიშნებივე უწყობს ხელს უხეშობის, აგრესიის გამოხატვის გაადვილებასაც. ურთიერთობები ზერელე, უშინაარსო და ღარიბი ხდება. გარდა ამისა, ეკრანიდან მიღებულმა გაუფილტრავმა ინფორმაციამ, შესაძლოა დააზიანოს მოზარდის ფსიქიკა.

ჩვენი შეკითხვის შედეგად, თუ რას აკეთებენ მოზარდები კომპიუტერთან, აღმოჩნდა, რომ მათი უმეტესობა (32%) სოციალური ქსელით ან თამაშებით (49%) არის დაკავებული და იშვიათად (19%) იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს სასწავლო დანიშნულებით. სამწუხარო რეალობაა ზედამხედველობის ქვეშ მყოფი ბავშვების უმრავლესობა რომ მათთვის არასასარგებლო საქმიანობით არან დაკავებულნი, განსაკუთრებით იმ ფონზე, როდესაც მშობელთა 65% წერს, რომ ვერ ახერხებს ზედამხედველობა გაუწიოს მოზარდის თავისუფალი დროის ორგანიზებას და ძირითად მიზეზად რთულ, დატვირთულ სამუშაო დღეს და საოჯახო საქმეებს ასახელებს, ნაწილი ვერ ან არ ამჩნევს თავის საჭიროებას შვილების თავისუფალი დროის ორგანიზების საქმეში.

გრაფიკული გამოსახულება №13

**რატომ არ არიან ჩართული მშობლები შვილების თავისუფალი დროის ორგანიზებაში**




ერთ - ერთი ყველაზე საინტერესო ჩვენთვის აღმოჩნდა კვლევის მონაწილეთა ის მოსაზრებები, რომლებიც „სხვა“ (იხ. გრაფიკული გამოსახულება №13) პუნქტის ირგვლივ გავაერთიანეთ და დავიყვანეთ საერთო აზრამდე - მშობლები ფიქრობენ, რომ მათი ჩარევა შვილების თავისუფალი დროის ორგანიზებაში ზღუდავს ბავშვებს და ხელს უშლის დამოუკიდებელ განვითარებაში. თუმცა ჩვენის აზრით ეს ზოგიერთი მშობლის მცდარი წარმოდგენაა ბავშვების მიმართ თავიანთ ვალდებულებათა შესახებ, „მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ წესიერი აღზრდა სრულიადაც არ მოითხოვს, რომ მშობლები თვალს არ აშორებდნენ ბავშვებს. ასეთ აღზრდას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. ეს ავითარებს ხასიათის პასიურობას. ასეთი ბავშვები მეტისმეტად ეჩვევიან მოზრდილთა საზოგადოებას და მათი

სულიერი ზრდა მეტისმეტად სწრაფად მიმდინარეობს, მშობლებს თავი მოსწონთ ამით, მაგრამ შემდგომ რწმუნდებიან, რომ ცდებოდნენ. თქვენ კარგად უნდა იცოდეთ რას აკეთებს, სად არის, ვისთან არის თქვენი ბავშვი, მაგრამ საჭირო თავისუფლებაც უნდა მისცეთ მას, რომ იგი განიცდიდეს არა მარტო თქვენს პირად გავლენას, არამედ ცხოვრების მრავალფეროვან გავლენასაც.“ (68. გვ. 354). სწორედ ამიტომ, „თუ მშობლების კარგი ხელმძღვანელობით ბავშვი თავისუფალ დროს ატარებს შინაარსიანად და საინტერესოდ, თავისთვის სასარგებლოდ, ეს კარგად მოქმედებს როგორც მის ჯანმრთელობაზე, ისე ყოფაქცევაზე, სწავლასა და საერთო განვითარებაზე, მაგრამ თუ ბავშვი მოკლებულია მშობელთა ყურადღებას და დასვენების დროს უშინაარსოდ და უწესრიგოდ ატარებს, ეს მძიმედ მოქმედებს როგორც მის ჯანმრთელობაზე, ისე მის სწავლაზე და ხასიათის ჩამოყალიბებაზე. მოზარდი ბუნებით აქტიურია, მას არ შეუძლია ხანგრძლივი უმოძრაობა. უფროსების ვალია ბავშვის აქტივობა პედაგოგიური ამოცანების შესატყვისად წარმართონ. თუ ასე არ მოხდა, ბავშვი თვითონ აირჩევს აქტივობის ისეთ გზას, რომელმაც შეიძლება იგი დანაშაულამდე მიიყვანოს“ (44, გვ. 53-54).

რეალური ვითარება გვიჩვენებს, რომ მოზარდთა თავისუფალი დრო არ არის გონივრულად ორგანიზებული და ამ საკითხზე მუშაობა არც ოჯახში და არც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არ მიმდინარეობს. არსებობს ზოგიერთი მასწავლებლის ან სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან ამ საკითხზე ყურადღების გამოვლენის შემთხვევები. თუმცა ძნელი სათქმელია რამდენად შეიძლება ამას მიზანმიმართული აღმზრდელობითი მუშაობა დაერქვას.

მოზარდთა მეთვალყურეობისა და თავისუფალი დროის სწორად ორგანიზების საკითხთან დაკავშირებით სკოლის პედაგოგთა, მოსწავლეთა და მშობელთა დამოკიდებულება არაერთგვაროვანი აღმოჩნდა. ჩვენ მიერ 2015 წლის ნოემბერში ჩარებული კვლევისას შევეცადეთ დაგვედგინა მოზარდის თავისუფალი დროის ორგანიზების საქმეში ჩართულობის საჭიროება.

შედეგების ანალიზმა შემდეგი სურათი მოგვცა:

ცხრილი №7

| | მოზარდის თავისუფალი დროის ორგანიზებაში ჩართულობის საჭიროება |
|---|---|

| | მიზეზი | საერთო შედეგი | მათ შორის | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | მასწავლებელი | მოსწავლე | მშობელი |
| | სკოლა - უნდა ატარებდეს ისეთ აღმზრდელობით ღონისძიებებს, რომ მოზარდმა თვითონ შეძლოს თავისი დროის მართვა | **33** | 3 | 7 | 23 |
| | ოჯახი - უნდა ატარებდეს ისეთ აღმზრდელობით ღონისძიებებს, რომ მოზარდმა თვითონ შეძლოს თავისი დროის მართვა | **66** | 42 | 13 | 11 |
| | სკოლა და ოჯახი ერთობლივად და შეთანხმებულად უნდა მუშაობდნენ, რომ მოზარდმა თვითონ შეძლოს დროის სწორად განაწილება | **120** | 29 | 51 | 40 |
| | სხვა | **9** | 6 | 0 | 3 |
| | არ ვიცი | **12** | 0 | 9 | 3 |

საერთო შედეგი:

გრაფიკული გამოსახულება №14

**მოზარდის თავისუფალი დროის ორგანიზებაში ჩართულობის საჭიროება**



როგორც კვლევის შედეგების ანალიზი ცხადყოფს, გამოკითხულთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ სკოლა და ოჯახი ერთობლივად და შეთანხმებულად უნდა მუშაობდნენ, რომ მოზარდმა თვითონ შეძლოს დროის სწორად განაწილება. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მშობელთა საკმაოდ დიდი ნაწილი ამ საპასუხისმგებლო საქმეს მხოლოდ სკოლას აკისრებს, რაც შეეხება პედაგოგებს, მათი უმეტესობა მიიჩნევს რომ ეს ოჯახის ვალდებულებაა. ვფიქრობთ, რომ ეს მონაცემები, თავის მხრივ, იმითაა განპირობებული, რომ მშობლებიც და პედაგოგებიც ცდილობენ გარკვეულწილად პასუხისმგებლობა აიცილონ. საინტერესოა ის, რომ ამ კუთხით ყველაზე მართებულად მოსწავლეთა მოსაზრება მიგვაჩნია, მათი თითქმის 64% აფიქსირებს მოსაზრებას, რომ მათი თავისუფალი დროის გონივრულად ორგანიზების საკითხზე, სკოლა და ოჯახი ერთნაირად პასუხისმგებელია. მაგრამ რომელია წამყვანი? პედაგოგთა უმეტესობა აფიქსირებს აზრს, რომ ოჯახს მეტი საშუალება, ზემოქმედების მეტი ინსტრუმენტი აქვს აღზრდისათვის. ამიტომაც არის, რომ დღეს პრაქტიკაში გავრცელებულია სკოლაში მშობლის დაბარება (რაც ვფიქრობთ, რომ ურთიერთობის იძულებითი ფორმაა და იმთავითვე წარმოადგენს წარუმატებელი შედეგის გარანტს), საყვედური, რომ მისი შვილი ცუდად იქცევა, ცუდად სწავლობს და დავალება, რომ იზრუნოს მის გამოსწორებაზე. იშვიათად თუ სთავაზობს დღეს პედაგოგი მშობლებს მოზარდთა პრობლემების გადაჭრის ერთობლივი გზების, ერთობლივი ღონისძიებების შემუშვებას.

რა ერთბლივი ღონისძიებები უნდა გაატაროს სკოლამ და ოჯახმა, რათა მოზარდის დრო გონივრულად შეივსოს? საკითხთან დაკავშირებით ჩვენ მიერ ჩატარებულ გამოკითხვაზე მივიღეთ შემდეგი პასუხები: ატარებდნენ აღმზრდელობითი ხასიათის საუბრებს; მოაწყონ ერთობლივი ვიზიტები სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებებში და გამართონ განხილვა; აჩვენონ აღმზრდელობითი ხასიათის ფილმები; მოაწყონ პროექტები ღირებულებების ამაღლებისათვის, გაიზარდოს დამრიგებლის ფუნქცია; პედაგოგებმა აწარმოონ დაკვირვება და მიაწოდონ მშობლებს დამატებითი ინფორმაცია მოზარდის საჭიროებების შესახებ, სკოლებში ფუნქციონირებდეს სხვადსახვა წრეები, რათა ბავშვები მაქსიმალურად დატვირთულნი იყვნენ და ა.შ. ამგავარი წერილობითი პასუხებითა და ინტერვიუებით მოპოვებული ინფორმაციით, სრული სურათის შექმნა შეუძლებელია, თუმცა ერთი რამ ცხადია, რომ აქ მოზარდთა მეთვალყურეობა და მშობლისა და

სკოლის ჩართულობა უფრო სტიქიურ ეტაპზე და ინსტიქტების დონეზეა, ამიტომ მოკლებულია პედაგოგიურ ორგანიზებულობას. ამის მიზეზი კი ხშირ შემთხვევაში არასაკმარისი პედაგოგიური განათლებაა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი კვლევის შედეგების მიხედვით მშობელთა ჩაურთველობის ძირითად მიზეზად მათი რთული სამუშაო გრაფიკი სახელდება, ვფიქრობთ, რომ ყველა პრობლემის საწყისი არასაკმარისი პედაგოგიური ცოდნაა. ხშირია შემთხვევა, როცა მშობლები ზოგადად განათლებულები, თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან, მაგრამ შვილის აღზრდის საქმეს თავს ვერ ართმევენ. მშობელთა ნაწილს ჰგონია, რომ აღზრდის მათ მიერ შემუშავებული მეთოდები განუმეორებელია და სხვა დამატებით ცოდნას აღარ საჭიროებენ. თუმცა ვფქრობთ, რომ სპეციალური პედაგოგიური განათლების გარეშე მხოლოდ საკუთარი შეხედულებები არ არის საკმარისი მოზარდის აღზრდისათვის. გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ მშობელთა დიდი ნაწილი საერთოდ ვერ ხვდება რაში სჭირდება მას პედაგოგიური განათლება: „ამისთვის ხომ სკოლაა“, დიდი ნაწილისთვის კი უცნობია პედაგოგიური ლიტერატურის არსებობის შესახებ, მხოლოდ მცირე ნაწილი დამრიგებლის რჩევით ეცნობა სხვადასხვა ბეჭდურ და ციფრულ ვერსიებს და ცდილობს იხელმძღვანელოს (სულ გამოკითხული 220 მშობელი).

გრაფიკული გამოსახულება №15

**კითხულობენ თუ არა მშობლები პედაგოგიურ ლიტერატურას**




საინტერესოა, რომ 2012 წელს საქართველოში მარკეტინგული კვლევებისა და კონსალტინგის კომპანია EXPERTO - მ BOOK PLATFORM - თან პარტნიორობით ჩაატარა კვლევა წიგნის მკითხველთა შესახებ. კვლევამ აჩვენა, რომ ბოლო ერთი წლის

განმავლობაში, გამოკითხულთა 60% - მა 10 - მდე წიგნი წაიკითხა, ხოლო 18% - ს საერთოდ არ წაუკითხავს წიგნი. რესპოდენტთა მხოლოდ 21% უკითხავს შვილებს წიგნებს, მათგან უმეტესობა კი ქალებია. 51% არ უკითხავს წიგნებს ბავშვებს და მათ მიერ შეძენილ წიგნებში საბავშვო წიგნებს 0% უჭირავს.

მიუხედავად ზემოთ ნაჩვენები შედეგებისა, ჩვენ ვფქრობთ, რომ ყველა ოჯახს სურს შვილი სწორად აღზარდოს და არც ერთი შზობელი არ ცდილობს მას განგებ ჩაუნერგოს ანტისაზოგადოებრივი შეხედულებები. მთავარი აქ ის არის, რომ მშობლები სათანადო პედაგოგიური განათლების არ ქონის გამო არ იცნობენ აღზრდის არც მიზნებს და არც მიზნის მიღწევის საშუალებებს ან არასკმარისად ინდომებენ ამას. არც თუ ისე იშვიათად ვხვდებით მშობლების მხრიდან მოზარდთა ასაკობრივი თავისებურებების გაუთვალისწინებლობის შემთხვევებს, როცა მისგან ვითხოვთ იმაზე მეტს, ან ნაკლებს ვიდრე მისთვის ასაკობრივადაა შესაძლებელი. ვაძლევთ მას ზედმეტ დამოუკიდებლობას ან ვიჩენთ მის მიმართ ზედმეტ მეურვეობას, არ ვითვალისწინებთ მაგალითის როლს და მნიშვნელობას აღზრდის პროცესის წარმართვისას და ხშირად არასწორად ვიყენებთ მოზარდის ქცევის სტიმულირების მეთოდებს - წახალისებასა და დასჯას. თუმცა უნდა დავეთანხმოთ, რომ „როგორი განათლების დონეც არ უნდა ჰქონდეს, თითოეული მშობელი ვალდებულია მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმედ მიიჩნიოს თავისი პედაგოგიური კულტურის ამაღლება. უნდა ვიცოდეთ ბავშვის ასაკისა და განვითარების თავისებურებანი, კარგად უნდა ვიცოდეთ მისი აღზრდისათვის საჭირო მოთხოვნები, რომლებსაც აყენებენ საზოგადოება და სკოლა, და დავეუფლოთ ძირითად ხერხებს, რომლებიც ხელს უწყობენ ამ მოთხოვნების შესრულებას“ (64, გვ. 78.) მშობლები თვითონ უნდა იყვენენ დაინტერესებული რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღონ შვილის სწორად აღზრდის შესახებ. „შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა... რასაკვირველია ამას ხარჯი უნდა, და, აი, სწორედ ამის სახარჯოსათვის ჩვენ არ ვირჯებით, არა ვმოქმედებთ, არა ვმონაგრობთ, ერთს წვეთ ოფლსაც არ ვიმეტებთ. პური როცა გვაკლია, თავში ქვას ვიხლით და ვშოობთ, ღვინო როცა გვაკლია - ვირჯებით, ტანთ გვაკლია, ფეხთ გვაკლია, იქით ვეცემით აქეთ ვეცემით, რომ როგორმე ვიშოვოთ, - და როცა შვილის გასაზრდელი სახარჯო არა გვაქვს, ბუზსაც არ ავიფრენთ, ხელსაც არ

გავანძრევთ... გაზრდა შვილისა - კი ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი ამას უნდა შევწიროთ, ამას უნდა შევალიოთ.“ (134, გვ. 364-365).

პედაგოგიური ლიტერატურის ანალიზის მიხედვით, აღზრდა ისტორიული ხასიათის საზოგადოებრივი მოვლენაა. მისი წარმოშობა დაკავშირებულია ადამიანის განყენებული აზროვნების წარმოშობასთან. იგი ადამიანის განვითარების კვალდაკვალ იცვლებოდა, ვითარდებოდა, მისი მიზანი არის პიროვნების ყოველმხრივ ჰარმონიული განვითარება. ამ მიზნის მიღწევა ოჯახის ტიპზე, მშობლებზე და აღზრდის მათ მიერ არჩეულ სტილზეა დამოკიდებული. თუმცა დღეს საოჯახო აღზრდის საქმეში, არაერთ პრობლემას და ხარვეზს ვაწყდებით, რასაც არც თუ ისე იშვიათად ისეთ სავალალო შედეგებამდე მივყავართ, როგორიცაა მოზარდის პიროვნების არასწორი ფორმირება.

სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზი და რეალური ვითარების შესწავლა გვიჩვენებს, რომ აღმზრდელობითი კუთხით დაშვებულ შეცდომებს შორის ყველზე ხშირი მოზარდთა უმეთვალყურეობა, განსაკუთრებით თავისუფალი დროის უმეთვალყურებაა. სამსახურებრივად დაკავებული მშობლების მოუცლელობა, მძიმე სოციალური მდგომარეობა, კონფლიქტები და არასრული ოჯახი - ეს ის ძირითადი მიზეზებია, რომლის გამოც მოზარდთა უმეტესობა მშობლების ზედამხედველობის გარეშე რჩება. მოზარდთა უმეთვალყურეობას ახასათებს ბავშვის ცხოვრების არაორგანიზებულობა და ხშირ შემთხვევაში შედეგად დამნაშავეობა მოსდევს. სწორედ ამიტომ, არც - ერთ მშობელს არ შეიძლება ჰქონდეს ისეთი მიზეზი, რომელიც გაამართლებს შვილის აღზრდისას მის მიერ გამოჩენილ უყურადღებობას. დღეს დასაქმებულთა უმრავლესობას 8 საათიანი სამუშაო დღე აქვს და თუ გავითვლისწინებთ, იმას, რომ მოზარდი სკოლაში დაახლოებით 5 საათს (სკოლამდელ დაწესებულებაში კიდევ უფრო მეტ დროს) ატარებს, აღმოჩნდება, რომ სამსახურეობირვად დაკავებული მშობელი ოჯახში დიასახლის მშობელზე მხოლოდ 3 საათით ნაკლებ დროს უნდა ატარებდეს შვილთან ერთად. თუმცა ამ სტატისტიკის მოყვანის გარეშე, მიგავჩნია, რომ ეს არ შეილება იყოს მოზარდის უმეთვალყურეობის მიზეზი, უფრო სწორად ეს მიზეზი ვერ გვამართლებს მშობლებს შვილების უმეთვალყურეობაში. გარდა ამისა, ვფიქრობთ, რომ მთავარია არა დრო, არამედ დროის ორგანიზების ხარისხი. ამდენად, ჩვენი აზრით, სამსახურებრივად

დაკავებული (და არა მხოლოდ) მშობლების მიერ აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარებისას, გასათვალისწინებელია შემდეგი:

- მთავარია არა დრო, არამედ დროის ორგანიზების ხარისხი;
- როგორი გადაღლილიც არ უნდა ვიყოთ მშობლები, ვალდებული ვართ გამოვნახოთ დრო, იმისათვის, რომ დავინტერესდეთ შვილების აკადემიური მოსწრებით, იმით, თუ როგორ ჩაიარა დღემ სკოლაში, ვუყუროთ მასთან ერთად ფილმს, გავუზიაროთ ჩვენი წუხილი და ვაგრძნობინოთ, რომ მას სრულფასოვან პიროვნებად ვთვლით;
- როდესაც შინ არ ვართ, ვერ ვახერხებთ ვიყოთ მის გვერდით, უნდა ვეცადოთ, რომ ყოველთვის გვქონდეს ინფორმაცია, სად არის, როგორ არის და მოვიბოდიშოთ, რომ ვერ შევძელით საჭირო დროს მასთან ყოფნა.
- მოზარდი ყოველთვის უნდა გრძნობდეს ჩვენს ყურადღებას, მაშინაც კი, როცა მასთან არ ვართ.

იფიქრონ შვილების ზედამხედველობაზე, არანაკლებ რთულია იმ მშობლებისთვის, რომლებიც სოციალურად მძიმე მდგომარეობაში არიან. ვფიქრობთ აქ სახელმწიფოს მხიდან არის ქმედითი ნაბიჯები გადასაგმელი, შესაბამისი სოციალური პროგრამებისა და სხვა ღონისძიებების გატარების გზით. ერთი რამ კი აუცილებლად გასათვალისწინებელია, როგორი რთული მდგომარეობაც არ უნდა იყოს ოჯახში, მშობლის სითბო და სიყვარული მოზარდის მიმართ, უდიდესი ძალის მატარებელია.

რაც შეეხება მშობელთა პირად კონფლიქტებსა და არასრული ოჯახის პრობლემას, მიგვაჩნია, რომ;

- მიუხედავად მშობლების ურთიერთობაში არსებული დაძაბულობისა, ისინი ვალდებულნი არიან შეეცადნონ შეინარჩუნონ მშვიდი ატმოსფერო ოჯახში. „აუცილებელია ვურჩიოთ იმ მშობლებს, რომლებიც რაიმე მიზეზით ერთმანეთს შორდებიან, რომ თავიანთი ჩხუბის დროს, უთანხმოების დროს, მეტი იფიქრონ ბავშვებზე. უნდა ეცადნონ, თავიანთი უთანხმოება უფრო თავაზიანად გადაჭრან. შეიძლება დაუმალო ბავშვებს შენი სიძულვილი და მტრობა ყოფილი მეუღლისადმი" (66, გვ. 351);

- თუ მშობლებს შორის უთანხმოება იმდენად დიდია, რომ შეუძლებელია მშვიდი გარემოს შენარჩუნება, შესაძლებელია ბავშვი გარკვეული ხნით ესტუმროს ბებია - ბაბუას, დეიდას, მამიდას;
- თუ განქორწინება გარდაუვალ აუცილებლობად იქცევა, ვფიქრობთ მოზარდს აუცილებლად უნდა ავუხსნათ პრობლემის შესახებ მისთვის გასაგებ ენაზე, რადგან ხშირად მათ არა აქვთ სრული წარმოდგენა ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაზე და არც თუ ისე იშვიათად, მომხდარში საკუთარ თავს ადანაშაულებენ;
- რაოდენ ნაწყენი და გაბრაზებულიც არ უნდა იყვნენ მშობლები ერთმანეთზე, უნდა შეეცადნონ, რომ ბავშვს დედაზე/მამაზე დადებითი განწყობა შეუქმნან, ყურადღება გაამახვილონ ერთმანეთის ღირსებებზე. მშობლების ასეთი საქციელი, არა მარტო ერთმანეთის ავტორიტეტს ამაღლებს მოზარდის თვალში, არამედ ზრდის საკუთარი პიროვნების ღირსებას.

აღზრდა რთული პროცესია, ამ რთული პროცესის სწორად წარმართვა შესაბამისი ცოდნის გარეშე კიდევ უფრო რთულდება, ხშირ შეთხვევაში კი შეუძლებელი ხდება. ზრდასრულ ადამინებს ხშრად საკუთარი თავის შეცნობა, საკუთარ ფსიქიკაში ჩაწვდომაც კი უჭირთ, რომ აღარაფერი ვთქვათ მოზარდის ფსიქოლოგიაზე, მით უფრო სათანადო ცოდნის გარეშე. შვილების არასწორი აღზრდისათვის, იმისათვის, რომ ისინი არ არიან წარმატებულები, კარგი ყოფა - ქცევის, მყარი ფსიქიკის, როგორც წესი მშობლებს ადანაშაულებენ. მშობელებს ადანაშაულებენ მასწავლებლები, სკოლის ადმინისტაცია, მეგობრები, მეზობლები, უბრალო ნაცნობები, თავად მშობლებიც კი და მთელი საზოგადოება. თუმცა არავინ ფიქრობს იმაზე, რომ მათ უმეტესობას, არ გააჩნიათ ის განათლება, რომელსაც თავიანთი როლი აკისრებთ - პედაგოგიური განათლება.

მშობელთა პედაგოგიზაციის საკითხებთან დაკავშირებით, ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინ საუბრობდა დიმიტრი უზნაძე, მაგრამ საკითხი გადაჭრილი არ არის, პრობლემა დღესაც საკმაოდ მწვავედ დგას. ჩვენი საუკუნის დასაწყისში, მშობლები აღზრდის იმავე მეთოდებს იყენებენ, რომელსაც იყენებდნენ მათი წინაპრები წინა საუკუნის დასაწყისში - ეს ალბად უკეთეს შემთხვევაში, უმეტესად კი ისინი არც კი იცნობენ აღზრდის მეთოდებს, მიაჩნიათ, რომ შემუშავებული აქვთ (ან საერთოდ არ აქვთ) უნიკალური მეთოდები და წარმოდგენა არ აქვთ პედაგოგიურად აწონილ - დაწონილი ღონისძიებებისა და მათი ერთობლიობის მნიშვნელობის

შესახებ აღმზრდელობითი ღონისძიებების ურთულესი პროცესის წარმართვის საკითხში. საყურადღებოა ისიც, რომ მშობელთა უმეტესობას, არ აქვს გაცნობიერებული აღზრდის მიზნის მნიშვნელობის საკითხი, არ იციან როგორი პიროვნების აღზრდა სურთ, არ გააჩნიათ არც კონკრეტული მიზანი და არც მისაღწევი გეგმა. ფიქრობენ, რომ ყველაფერი თავისთავად მოგვარდება. მსგავსი არამიზანმამრთულობა კი ხშირად შემთხვევით შედეგს იძლევა. წინა პარაგრაფში, ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მშობელთა პედაგოგიური განათლების შესახებ, კიდევ ერთხელ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მიერ გამოკითხულ მშობელთა მხოლოდ 15% ეცნობა პედაგოგიურ ლიტერატურას, ნახევარზე მეტმა, კი საერთოდ არ იცის მსგაგვსი ლიტერატურის შესახებ, რადგან მათ ეს სკოლის მოვალეობად მიაჩნდათ. ვფიქრობთ მსგავსი მიდგომა უფრო მეტად მათი არაინფრმირებულობის შედეგია. დღეს ჩვენს ქვეყანაში, თითქმის არ არსებობს მშობელთა პედაგოგიზაციის ორგანიზაციები, საკონსულტაციო დაწესებულებები (თუ არ ჩავთვლით სამედიცინო დაწესებულებებს, რომლებიც მოზარდის მხოლოდ ჯანმრთელობის შესახებ კონსულტაციებით შემოიფარგლება) ან სხვა საშუალბები, თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რომ მშობლებს და პოტენციურ მშობლებს მიაწოდოს ინფორმაცია პედაგოგიური განათლების მიღების აუცილებლობის შესახებ, რომ აღარფერი ვთქვათ პედაგოგიური ცოდნის მიცემაზე.

მიგვაჩნია, რომ სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა შეუწყოს ხელი მსგავსი ორგანიზაციების, მშობელთა სკოლების, ინსტიტუტების, საკონსულტაციო დაწესებულების ჩამოყალიბებასა და ფუნქცონირებას. ეს იქნება მნიშვნელოვნად წინ გადადგმული ნაბიჯი საზოგადოების თუნდაც იმ ნაწილისათვის, რომელიც ხვდება, რომ პედაგოგიური ცოდნა მას დაეხმარება შვილის უკეთ აღზრდის საქმეში. მშობელთა ორგანიზაციებში მუშაობა ჩვენი აზრით შესაძლოა წარიმართოს ინდივიდუალური, ჯგუფური ან ფრონტალური ფორმით. მონაწილეები მომარაგდნენ შესაბამისი (თუნდაც ელემენტარული) მასალით, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით, დაუმზადდეთ შესაბამისი სამახსოვროები მთელი ოჯახისათვი და ა. შ.

მშობლებთან მუშაობის სწორად წარმართვისათვის ვფიქრობთ საჭირო იქნება გარკვეული ტესტის ჩატარება, რათა გამოვლინდეს, რა ტიპის პრობლემებთან გვიწევს მუშაობა. შედგეს შესაბამისი თემატიკის ჩამონათვალი (მაგალითად, აღზრდის

მნიშვნელობის შესახებ, მისი მეთოდებისა და ტიპების, აღზრდისას დაშვებული შეცდომების, მოზარდთა ასაკობრივი და ინდივიდუალრი თავისებურებებისა სხვა იმ თემების შესახებ, რომელიც კონკრეტულად ჯგუფის საჭიროებიდან გამომდინარე იქნება). შემდეგ ეტაპზე საჭირო იქნება სიტუაციური დავალებების მიცემა, და დაკვირვება თუ როგორ გაართმევენ მშობლები თავს, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ ისინი კონკრეტულ სიტუაციაში. ვფიქრობთ მშობლებთან მსგავსი მუშაობა - საშუალებას მისცემს მათ გაეცნონ სხვის პრობლემებს, გააკეთონ შედარება, გააანალიზონ მათი გადაწყვეტილებები, საკუთარი შეცდომები და დასახონ სწორი აღმზრდელობითი გზები.

მოზარდთა პიროვნების სწორი ფორმირებისათვის აუცილებელია აღმზრდელობითი პროცესი წარიმართოს პედაგოგიურად აწონილ - დაწონილი ღონისძიებების ერთობლიობით უწყვეტ რეჟიმში:

- აუცილებელია სკოლისა და ოჯახის ერობლივი მუშაობა. მშობელთა პედაგოგიური განათლების ამაღლება, სკოლის აღმზრდელობითი ფუნქციის გაძლიერება. ყოველივე ეს, ხელს შეუწყობს აღმზრდელობითი ღონისძიებების სწორად წარმართვას, ეს კი თავის მხრივ მოზარდის დამნაშვედ ფორმირების რისკებს შეამცირებს.
- სკოლისა და ოჯახის ერთობლივი მუშაობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ სკოლის (დამრიგებლის) მიერ მშობლისათვის მოზარდის ყოფა - ქცევისა თუ აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით (როგორც ეს ეროვნული სასწავლო გეგმით არის განსაზღვრული), არამედ სკოლა უნდა წარმოადგენდეს ძირითად სააღმზრდელო ორგანიზაციას.
- სკოლამ უნდა შეძლოს მშობელთა პედაგოგიზაციის ხელშეწყობა სხვადასხვა ღონიძიებების გატარებით (მაგალითად შექმნას მშობელთა კლუბები, დამრიგებელმა მოაწყოს სისტემატიური საუბრები და არა მხოლოდ შესთავაზოს პრობლემის გამოსწორების გზები, არამედ დაეხმაროს სწორად წარმართვაში).
- აღმზრდელობითი ღონისძიებების ეფექტური წარმართვისათვის სკოლას უნდა ჰყავდეს სპეციალისტი აღმზრდელობითი მუშაობის კუთხით, რომელიც უხელმძღვანელებს აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობას და ორგანიზაციას გაუწევს აღმზრდელობით პროცესში თანამედროვე მოთხოვნებისა და ინოვაციური მეთოდების დანერგვას შემდეგი საქმინობის განხორციელებით:

- სკოლის პედაგოგების, ფსიქოლოგისა და თანამშრომლების წინადადებებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, სკოლის დირექტორთან შეთანხმებით, დაგეგმავს აღმზრდელობით პროცესს კლასების, მოსწავლეთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების მიხედვით და შეადგენს აღმზრდელობითი საქმიანობის კალენდარს (მოახდენს მის კორექტირებას სასწავლო წლის მანძილზე).
- დაეხმარება კლასის დამრიგებლებს აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვაში. ამ მიზნით:
- აწარმოებს მონაცემთა ბაზას თითოეული მოსწავლის აღმზდელობითი პროცესის მიმდინარეობის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში დამრიგებელთან ერთად ფსიქოლოგის რეკომენდაციებით მიიღებს შესაბამის ზომებს და შეადგენს შესაბამის გეგმას პრობლემის აღმოფხვრისათვის.
- შეიმუშავებს სკოლის ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ეფექტურ სისტემას (მაგალითად ხელს შეუწყობს მშობელთა კლუბების შექმნასა და მუშაობას).
- ორგანიზებას გაუწევს კლასების მიხედვით მშობლებთან რეგულარულ შეხვედრებს მოსწავლეთა შესახებ აღმზრდელბითი პროცესის მიმდინარეობისა და შესაძლო პრობლემების არსებობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით.
- მოსწავლეებში სწორი ღირებულებების ჩამოყალიბების მიზნით, უზრუნველყოფს მათ ჩართვას კლასგარეშე წრეებსა და კლუბებში. იზრუნებს მოსწავლეთა საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმაზე.
- უხელმძღვანელებს სასკოლო მიზნობრივი ექსკურსიების სათანადო უსაფრთხო დონეზე წარმართვას.
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით პედაგოგებთან ერთად ზედამხედველობას გაუწევს მოსწავლთა სპორტულ აქტოვობებს.
- სკოლის ფსიქოლოგთან თანამშრომლობის გზით იზრუნებს მოსწავლეთა ქცევის წესების დარეგულირებაზე.

- მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, კოორდინაციას გაუწევს კლასის დამრიგებლების მეთოდურ მუშაობას და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ტრენინგების ჩატარებას

ვფიქრობთ, მიზანმიმართული პედაგოგიური საქმიანობა მოზარდის მეთვალყურეობასა და თავისუფალი დროის ორგანიზების საქმეში, დანაშაულის თავიდან აცილების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი საშუალებაა.

აღზრდა მართვადი პროცესია და წარმატებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, თუ იგი წარმართულია პედაგოგიური ამოცანების შესატყვისად. მიგვაჩნია, რომ პედაგოგიური ცოდნა დაეხმარება მშობლებს სწორად წარმართონ აღმზრდელობითი პროცესი.

## თავი მესამე

## „ძნელადაღსაზრდელები“, როგორც ძირითადი რისკ - ჯგუფი

### §1. „ძნელადაღსაზრდელის“ ტერმინის ეტიმოლოგია, მისი არსისა და ცნების განსაზღვრის საკითხისათვის

დანაშაულის ჩამდენ და დანაშაულის ჩადენისაკენ მიდრეკილ მოზარდთა ძირითად რისკ ჯგუფს, ჩვენი აზრით ყველაზე მეტად ე. წ. ძნელადაღსაზრდელები მიეკუთვნებიან. ცნების „ძნელადაღსაზრდელი“ საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება არ არსებობს. პედაგოგიურ ლიტერატურაში მოცემული განმარტებები ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავდება. აქედან გამომდინარე სხვადასხვაგვარია მეცნიერთა მიერ ამ ცნების შინაარსის გაგება, ძნელადაღსაზრდელ მოზარდთა ტიპები, ქცევის თავისებურებები და მიზეზები. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ საკითხის განხილვისას ჩვენთვის საინტერესოც კი არის აზრთა განსხვავებულობის არსებობა.

მე - 20 საუკუნის პედაგოგიურ ლიტერატურაში, ეს ტერმინი აერთიანებდა ყველა იმ ტიპის მოზარდს, რომლის აღზრდა და განათლება სირთულეს წარმოადგენდა. მაგალითად, ა. ფ. გოცირიძე წიგნში „ძნელი ბავშვები“, ამ კატეგორიაში აერთიანებს სკოლის წარმატებაში ჩამორჩენილ ბავშვებს, ასევე ე. წ. „დეზორგანიზატორებს“ და მიუთითებს, რომ პირველი ჯგუფის მოზარდები ჩვეულებრივი ბავშვებისაგან განსხვავდებიან მხოლოდ სასკოლო წარმატების მხრით და ასახელებს კონკრეტულ მიზეზებს (უმთავრესად ჯანმრთელობის დეფექტები უარყოფითი ეკონომიური პირობების ნიადაგზე). რაც შეეხება დეზორგანიზატორებს, ავტორი აღნიშნავს, რომ მათი მოქმედების გამოხატულება „შემოუფარგლელია“, „ასეთი ბავშვების მოქმედება დამახინჯებულია ყველა წრეში, სადაც კი მას უხდება ცხოვრება, ოჯახში, სკოლაში, ბავშვთა ორგანიზაციებში. მისი მოქმედება მიუღებელია ყველა იმ პირისათვის, ვისთანაც ის სოციალურ კონტაქტში ხვდება: ოჯახის წევრების, ნათესავების, მასწავლებლებისა და ამხანაგებისათვის. მისი მოქმედება დამახინჯებულია ყველა იმ ფუნქციის სფეროში, რომელთანაც იგი თავისი ასაკის და მდგომარეობის მიხედვით არის დაკავშირებული. „დეზორგანიზატორების“ მთელი საცხოვრებო

გამოხატულებანი: გონებრივი განვითარება, სასკოლო ცოდნანი, საერთო ყოფა - ქცევა წარმოდგენილია არაჩვეულებრივ, „არანორმალურ“, დამახინჯებულ, მიუღებელ, ფორმებში. ისინი ყველგან და ყოველთვის არღვევენ საყოფაცხოვრებო წესებს, მყუდროებას, „ნორმებს“ (39, გვ. 5-6). ა. ფ. გოცირიძე საინტერესოდ აღნიშნავს, რომ „ ...ძნელი ბავშვები არ არიან „არანორმალური“ (ამ სიტყვის სპეციალური გაგებით), არ არიან „დეფექტური“. პირიქით, ხშირად მათი სახით ჩვენ ვხვდებით ბავშვების საუკეთესო წარმომადგენლებს. მაგრამ ისინი იმყოფებიან ისეთ მდგომარეობაში, რომელიც არ არის ჩვეულებრივი, არ ეგუება საცხოვრებო ნორმებს. ამ გაგებით მათი მოქმედება „არანორმალურია“, ამ გაგებით თვით ისინიც არ არიან „ნორმალურ მდგომარეობაში“ (39, გვ. 9).

მიხეილ ოკუჯავა თავის წიგნში „ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მუშაობის გზები და საშუალებანი“ აღნიშნავს, რომ „ბავშვთა ნაწილში ადრეული პერიოდიდანვე იწყება ქცევის ნორმებიდან გადახვევა, სხვადასხვა ფორმით, უფრო ხშირად ეპიზოდურად, მაგრამ ბევრია შემთხვევა, როცა ბავშვის უდისციპლინო მოქმედება ჩვევად იქცევა, რაც გამოიხატება მათ სისტემატურ უარყოფით მოქმედებაში. ბავშვთა ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან: ნერვიული, თავმიშვებული, ჯიუტი, ზარმაცი ბავშვები, აგრეთვე ლოგოპათები, სუნსოროპათები, სუსტი, სწავლაში ჩამორჩენილი მეორეწლიანი ბავშვები“ (87, გვ. 8).

მ. ყოლბაია, იყენებს ტერმინს „ძნელი ბავშვი“ და ამ კატეგორიაში აერთიანებს ბავშვებს, რომლებიც ძნელადაღსაზრდელები არიან და ბავშვებს, რომლებიც აღზრდას კარგად ემორჩილებიან, კარგი ყოფა - ქცევით გამოირჩევიან, მაგრამ ინტელექტუალური შესაძლებლობებით ძნელად ამთვისებლები არიან. იგი წერს: „არიან ე. წ. ძნელად აღსაზრდელები, ცუდი ყოფა - ქცევის ბავშვები, რომლებსაც ნორმალური სწავლისათვის საჭირო ინტელექტუალური მონაცემები გააჩნიათ, მაგრამ არასწორი აღზრდის შედეგად ხასიათის ბევრი უარყოფითი თვისება ჩამოუყალიბდათ და სწავლის ინტერესიც დაკარგული აქვთ. რაც დრო გადის, მათი ხასიათის ნეგატიური თვისებების ფორმირების საქმე, უფრო და უფრო წინ მიიწევს და ზოგიერთი მათგანი დიდი სისწრაფით მიექანება დამნაშავეობისაკენ, მართლწესრიგის დარღვევისაკენ“ (121, გვ. 14).

განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს მ. ყოლბაიას მიერ მოცემული ძნელად აღსაზრდელის პედაგოგიურ - ფსიქოლოგიური პორტრეტი. როგორც თავად ავტორი

აღნიშნავს, იგი ამ ცნების ქვეშ გულისხმობს ძნელად აღსაზრდელი მოსწავლეების ხასიათის ნიშნებს, ფსიქიკურ პროცესთა განვითარების და საერთო განათლების დონეთა ერთობლიობას, კერძოდ, ძნელად აღსაზრდელთა მოთხოვნილებების, შემეცნების, ნებისყოფის, გრძნობებისა და ემოციების, მეტყველების, განათლების შესახებ. როგორც ვიცით, ადამიანის ქცევის მამოძრავებელ სტიმულს მოთხოვნილებები წარმოადგენს. ძნელად აღსაზრდელს კი ფსიქოლოგიაში არსებული სამი ჯგუფის მოთხოვნილებიდან (ბიოგენური, ფსიქოგენური, სოციოგენური), მხოლოდ ორიოდე მოთხოვნილება თუ აქვს ასაკის შესატყვისად განვითარებული (პირადი ღირსების, თავისუფლებისა და დამოკიდებულების), რადგან ადამიანური მოთხოვნილებები აღზრდის პროცესში ვითარდება, ძნელად აღსაზრდლის შემთხვევაში კი იგი ბუნებრივია სუსტად ვითარედება. ასაკის შესატყვისად არ არის განვითარებული ასევე ძნელადაღსაზრდელთა შემეცნებითი პროცესები. დაკვირვების, აქტიური ყურადღების, აზროვნების, შემოქმედებითი წარმოსახვის უნარი ნორმასთნ შედარებით ჩამორჩენილია. მას არ აქვს განვითარებული ნებისყოფის უნარი. მის ქცევათა ინვენტარში ძირითადად იმპულსური ქცევა გვხვდება. ნებისყოფის არსი იმპულსურ ქცევათა შეკავებაში და მის ნაცვლად ამჟამად ნაკლებად სასიამოვნო, მაგრამ მომავლისათვის ღირებული ქცევის შესრულების უნარში მდგომარეობს. სწრედ ეს უნარი არა აქვს ძნელად აღსაზრდელს. მას დაქვეითებული აქვს შრომისუნარიანობაც. ყოველთვის გაურბის ისეთ საქმეს, რომელიც მისგან საკუთარი თავის იძულებას საჭიროებს. მას არ გააჩნია სოციალურ ემოციათა მთელი ის გამა, რაც ბეჯით და დისციპლინებულ მოსწავლეს აქვს, სამაგიეროდ იგი ხასიათდება თავშეუკავებლობით, აგრესიით, რაც გამოწვეულია სოციალური ემოციების განუვითარებლობით. უმეტესწილად სუსტადაა განვითარებული მისი მეტყველება, შეიცავს დამახინჯებულ სიტყვებს, ჟარგონებსა და უხეშ გამონათქვამებს. ლოგიკური მეტყველება იშვიათად გვხვდება. დაბალია მათი განათლების დონეც. სრულიად თავსებური წარმოდგენა აქვს ზნეობრივი ქცევის ნორმებისა და ისეთ მნიშვნელოვან სოციალურ მოვლენებზე, როგორიცაა მეგობრობა, ღირსება, პატიოსნება და ასე შემდეგ (121, გვ. 147-151).

„ძნელადაღსაზრდელია პედაგოგიურად მოწესრიგებული გარემოსადმი ისეთნაირი დამოკიდებულების მქონე მოზარდი, რომელიც შეგნებულად და

სისტემატიურად არღვევს ქცევის ლეგალურ ნორმებს და თითქმის არ ემორჩილება ჩვეულებრივ პედაგოგიურ - აღმზრდელობით ზემოქმედებას“ (128, გვ. 24).

ძნელადაღსაზრდელთა ცნების საინტერესო განმარტებას გვთავაზობს ნატო ტივაძე: „ასეთი ბავშვებისთვის დამახასიათებელია აღზრდისადმი აქტიური წინააღმდეგობა. ძნელ მოზარდებს გარშემომყოფთა მიმართ აქვთ ცუდი დამოკიდებულება, ხშირად არღვევენ დისციპლინას, არ უჯერებენ მასწავლებლებს, არ ასრულებენ ქცევის ელემენტარულ ნორმებს, ხშირად მოსდით კონფლიქტები მშობლებთან, მასწავლებლებთან, თანატოლებთან. ძნელადაღსაზრდელი მოსწავლეები სწავლა - აღზრდის პროცესში უამრავ პრობლემას ქმნიან” (105).

“მოზარდთა ქცევაში, რომლებსაც „ძნელ მოზარდებად“ თვლიან, ხშირად აღინიშნება თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვა მასზე სუსტი თანატოლების ან თუნდაც მოზრდილების ხარჯზე, მათი დაშინების, ძალადობის, იარაღის გამოყენების გზით. ზოგიერთი მოზარდის შემთხვევაში გარემომცველთა დაშინება, შევიწროვება, დატერორება ჩვეულებრივ კონკრეტული, ხშირად ღრმად ეგოისტური მიზნების მიღწევასთან არის დაკავშირებული“ (52).

„რთული მოზარდი“ – ეს არის არასრულწლოვანი, რომლის მშობლებმაც აღზრდის პროცესში უამრავი სტრატეგიული და ტაქტიკური შეცდომა დაუშვეს” (58).

ირმა ქურდაძე ნაშრომში „საკითხავი მასალა სალექციო კურსისთვის ბავშვთა უფლებები განათლებაში და განათლებისათვის“, წერს, რომ „ძნელი ბავშვები ყველა ასაკობრივ საფეხურზე გვხვდება. ესაა ოჯახში არასწორად აღზრდილი ბავშვები, რომლებზეც პედაგოგებიც აღარ ზრუნავენ, მაგრამ ძნელი ბავშვების ტიპობრივი თავისებურებები განსაკუთრებით მძაფრად მოზარდობის პერიოდში ვლინდება. ძნელი ანუ ძნელად აღსაზრდელი მოსწავლეები სწავლა - აღზრდის პროცესში უამრავ პრობლემას ქმნიან. ყველა ძნელი ბავშვისათვის დამახასიათებელია აღზრდის მიმართ აქტიური წინააღმდეგობა და აღიარებული პედაგოგიური საშუალებების მიუღებლობა, (117, გვ. 100-101). აქვე იძლევა ძნელადაღსაზრდელი მოზარდების ტიპების საინტერესო კლასიფიკაციას:

„1) პრობლემური ურთიერთობის მქონე მოზარდები ამ ჯგუფში ერთიანდებიან ის მოზარდები, რომლებსაც ოჯახსა ან სკოლაში განსაკუთრებული მდგომარეობის გამო (დედისერთა, გარიყული) დარღვეული აქვთ ნორმალური ადამიანური

ურთიერთობები. ასეთი მოზარდების წარმოდგენები ცხოვრებაზე პესიმისტური, კრიტიკული ან ძალიან რომანტიკულია. მათ შორის ბევრია უპრინციპო, ქცევის წესების უარმყოფელი, რომელიც არანაირ ვალდებულებებს არ ცნობს. ბევრი მათგანი კარგად სწავლობს, მაგრამ თანაკლასელთა სიმპათიით არ სარგებლობს, მათთან ურთიერთობას ერიდებიან.

2) მძაფრი ან დაქვეითებული ემოციური რეაქციების მოზარდები ამ ჯგუფში შედიან ისეთი მოზარდები, რომლებმაც ნერვული სტრესები, ფსიქოლოგიური ტრავმები გადაიტანეს. მათთვის დამახასიათებელია აგზნებადობა, მკვეთრი, მწვავე რეაქციები ან პასიურობა, გულგრილობა და ინდიფერენტულობა ამაღელვებელი მოვლენების მიმართაც კი. მათი უმრავლესობა აფექტურია. დაქვეითებული აგზნებადობის ძნელი მოზარდების დიდი ნაწილი (70%) გოგონებია. მათთვის დამახასიათებელია სუსტი ზოგადი განვითარება და პრიმიტიული მორალური თვითცნობიერება, შენელებული რეაქციები, სოციალური კავშირების სისუსტე, სოციალური ინტერესების უქონლობა, გულგრილობა.

3) ცალმხრივი გონებრივი განვითარების მოზარდები. ამ ჯგუფში ისეთი მოზარდები შედიან, რომელთა ზოგადი გონებრივი განვითარება შეფერხებული იყო და ამ ფონზე მოზარდების რომელიმე კონკრეტულ ნიჭს გადაჭარბებულად აფასებდნენ ან სრულებით არ აფასებდნენ. მათთვის დამახასიათებელია შემეცნებითი ინტერესების უქონლობა ან მისი ცალმხრივი განვითარება, სასწავლო პროცესისა და მასწავლებლის მიმართ სიძულვილი, ცალმხრივი განათლება.

4) სუსტი ნებელობის მოზარდები. ამ ჯგუფს უნებისყოფო და ჯიუტი მოზარდები განეკუთვნებიან. მათი უმრავლესობა თავნება, ჭირვეული, უდისციპლინო და არაორგანიზებულია, არ ემორჩილება ქცევის ნორმებსა და წესებს. ისინი უბრალო, მარტივი საქმეების გამო ბევრ ენერგიას ხარჯავენ. მათი ნებელობა უფრო მეტად რეგულირდება თვითშთაგონებით, თავმოყვარეობით, ემოციური განცდებით.

ძნელი მოზარდების ქცევის თავისებურებებია:

– უკიდურესი წინააღმდეგობრივი თვისებების თანაარსებობა. განვითარებული გონება და თითქმის განუვითარებელი გრძნობები (ან პირიქით), სუსტი შრომისმოყვარეობა და ძალზე განვითარებული მოთხოვნილებები, შეზღუდული თვალსაწიერი და ყოველდღიური უარყოფითი გამოცდილების სიჭარბე. ეს ყოველივე

შინაგან დაძაბულობას ქმნის, რაც მოზარდის წინააღმდეგობრივ ქცევებში გამოიხატება.

– გარშემომყოფებთან ხანგრძლივი კონფლიქტური დამოკიდებულება. უფროსების მხრიდან შენიშვნებს, დასჯას, კრიტიკას მოზარდი მტრობად, საკუთარი დამოუკიდებლობის ხელყოფად, პირად შეურაცხყოფად აღიქვამს. ხშირია კონფლიქტები არა მარტო მშობლებთან და მასწავლებლებთან, არამედ თანატოლებთანაც.

– ყველაფრის სარგებლიანობის პრინციპით შეფასება. მოზარდი ყველაფერს ეგოისტური ცხოვრებისეული პოზიციიდან უდგება. მომგებიანია თუ წამგებიანი მისთვის ესა თუ ის ქცევა, რას მიიღებს, თუ მშობლის ან მასწავლებლის მოთხოვნას შეასრულებს ესაა მისი მოქმედების ძირითადი მოტივი.

– ინტერესებისა და მისწრაფებების ხშირი ცვლა. გატაცებების ხშირი ცვლა საერთოდ დამახასიათებელია მოზარდთათვის, მაგრამ ძნელ მოზარდებთან ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით მიმდინარეობს.

– აღმზრდელობითი ღონისძიებებისადმი წინააღმდეგობის გაწევა. ძნელი მოზარდი ხშირად ეწინააღმდეგება იმ მასწავლებელს, რომელიც არ უყვარს ან რომლის საგანიც არ მოსწონს, აგრეთვე ის მასწავლებელი, რომელმაც მას, თუნდაც უნებურად, რაიმე წყენა მიაყენა. ცხადია, რომ ასეთი მასწავლებლების პედაგოგიურ ღონისძიებებზე ძნელი მოზარდები უარყოფითად პასუხობენ“ (117, გვ. 100-101).

„2005 წელს თბილისში მიუსაფარი ბავშვებისა და მოზარდებისთვის თავშესაფარი გაიხსნა – „ბავშვთა და მოზარდთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი“, რომელიც 2010 წლის ჩათვლით ფუნქციონირებდა. ცენტრი ქუჩაში უმეთვალყურეოდ დარჩენილი ბავშვებისა და მოზარდების პრობლემათა შესწავლა - მოგვარებას ისახავდა მიზნად. ის მომსახურებას უწევდა სხვადასხვა ასაკის მზრუნველობამოკლებულ, მიუსაფარ, ოჯახური კონფლიქტის, ოჯახური ძალადობის, მშობლებისგან უგულვებელყოფილ მსხვერპლ, ქუჩაში უმეთვალყურეოდ დარჩენილ, კანონთან კონფლიქტში მყოფ და სხვა კრიზისულ სიტუაციებში აღმოჩენილ ბავშვებსა და მოზარდებს, ზოგჯერ კი – მთელ ოჯახებსაც. ცხადია, ცენტრის ბენეფიციარი ბავშვები და მოზარდები, „რთული ბავშვებისთვის“ დამახასიათებელი თავისებურებებით გამოირჩეოდნენ. ცენტრის ფსქოლოგის მიერ შედგენილი ფსიქოდიაგნოსტიკური სურათი ასეთი გახლდათ:

- მოზარდებს დარღვეული ჰქონდათ სოციალური ურთიერთობების უნარ-ჩვევები;
- გონებრივი განვითარების სხვადასხვა ხარისხის შეფერხება;
- უკიდრესად მძაფრი ან დაქვეითებული ემოციური რეაქციები;
- მოუსვენარი ძილი;
- დაღლილობის მუდმივი შეგრძნება;
- ინტერესთა სფეროს გაღარიბება;
- გუნება - განწყობის სწრაფი და უეცარი ცვალებადობა (განსაკუთრებით – ტოქსიკომან ბავშვებთან);
- ყველაფერს აფასებდნენ სარგებლიანობის პრინციპით;
- უჭირდათ სხვის (თუნდაც მეგობრის) მიმართ თანაგრძნობის გამოხატვა, თანამშრომლობა (ფეხბურთის თამაშის დროსაც ერჩივნათ, ბურთი ბოლომდე თავად ეტარებინათ, ვიდრე თუნდაც მომგებიან პოზიციაში მყოფი თანაგუნდელისთვის გადაეწოდებინათ);
- მრავალჯერ გადატანილი ფრუსტრაციის გამო ადამიანების მიმართ ეჭვსა და უნდობლობას გამოხატავდნენ;
- უჭირდათ ემოციების მართვა და კონტროლი, ამის გამო ერთმანეთსა და გარშემო მყოფებთან ხშირად მოსდიოდათ კონფლიქტი.

ეს სწორედ ის შემთხვევა იყო, როდესაც საქმე ეხებოდა ერთგვარ თავდაცვით რეაქციას როგორც კრიზისთან გამკლავების მათეულ ფორმას. თავდაცვის ნებისმიერი ხერხის გამოყენება მათთვის ქცევის ნორმას წარმოადგენდა, რომელიც მათ საფრთხის შემცველ გარემოში გადარჩენასა და თვითდამკვიდრებაში ეხმარებოდა; აღმზრდელობითი სახის ღონისძიებების მიმართ გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული წინააღმდეგობის გაწევის სურვილით“ (58).

აღსანიშნავია, რომ უცხოურ, კერძოდ კი გერმანულ პედაგოგიურ და ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში, „ძნელი ბავშვის“ ცზების აღსანიშნავად გამოიყენებენ ტერმინს “Verhaltensstörung” - ქცევის დარღვევა. ინგლისურად „Verhalten” ტერმინისათვის გამოიყენება „behavior”. დღეს დღეობით ჩვენს ქვეყანაში, პედაგოგიკაში საკმაოდ გავრცელებულია ბიჰევიორისტული თეორია. “ბიჰევიორიზმი, ანუ მოძღვრება ადამიანის ქცევის შესახებ არის მიმართულება ფსიქოლოგიაში, რომელიც ჩამოყალიბდა XX ს. დასაწყისში. ბიჰევიორისტები

ეთანხმებიან პრინციპს: მეცნიერებამ უნდა შეისწავლოს მხოლოდ უშუალო დაკვირვებისთვის მისაწვდომი მოვლენები. ცნობიერების შესწავლა კვლევის მეცნიერული მეთოდებით შეუძლებელია - მისი დაფარულობისა და სუბიექტურობის გამო. ამიტომ, ისინი თვლიან, რომ მეცნიერული ფსიქოლოგიის შესწავლის საგანი უნდა იყოს ადამიანის ქცევა და არა მისი შინაგანი სამყარო (აზროვნება, გრძნობები და სხვა), რადგანაც მხოლოდ ქცევის უშუალო დაკვირვებაა შესამლებელი და გააჩნია ისეთი პარამეტრები, რომელთა გაზომვა და რომელზე ზემოქმედებაც ხერხდება. მხოლოდ ამ შემთხვევაში ჩაითვლება ფსიქოლოგია ნამდვილ მეცნიერებად. ბიჰევიორისტული თეორია, ასევე, ეთანხმება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ადამიანს დაბადებისას არ აქვს არავითარი თანდაყოლილი იდეები და მისი ქცევა, აზრები და გრძნობები ფორმირდება გარემოს გავლენის შედეგად. თუმცა ჩვენი კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ბიჰევიორიზმის საკითხზე ვერ შევჩერდებით.

შტეფან შიქი თავის ნაშრომში „ძნელ ბავშვებთან ურთიერთობის შესახებ“ ძნელ ბავშვებს უწოდებს ისეთ „ბავშვებს, რომლებიც თავიანთი გამორჩეული, ხშირად არასასურველი, არაადეკვატური ქცევით, ჩვენს ყურადღებას იქცევენ“, „ძნელ ბავშვებს აქვთ პრობლემები, ძნელი ბავშვები ქმნიან პრობლემებს“ (174). ავტორი აღნიშნავს, რომ რთული ქცევის ბავშვები ხშირად ხდებიან კრიტიკის ობიექტი, რის გამოც მათ უყალიბდებათ თავიანთი თავისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, რაც ბავშვში მჟღავნდება შემდეგი რეაქციის სახით: შიში, საკუთარი თავისადმი რწმენის დაკარგვა, თავდაცვის ინსტიქტი, აგრესია. მას აკლია გამბედაობა შეცვალოს თავისი ქცევა.

ხრისტიან შრაპპერი მიიჩნევს, რომ რთული ქცევა არის მოზარდის თვითგადარჩენის სტრატეგია. ქცევაში ავტორი გულისხმობს სწავლისა და განათლების შედეგს და მიაჩნია, რომ მოზარდის ქცევა სწორ ხელმძღვანელობას საჭიროებს.

ნაშრომში „რა სირთულეა რთულ ბავშვებში“, ჰანას პეტერ ლანგფელდტი ქცევითი დარღვევის მქონე ბავშვების საინტერესო პორტრეტს გვთავაზობს. მან ნორდჰაინ - ვესტფალენის ერთ - ერთ სკოლაში ჩაატარა კვლევა, რათა გამოევლინა რთული ქცევის ბავშვებისათვის დამახასიათბელი თვისებები. გამოვლინდა შემდეგი ნიშნები:

- აგრესია ადამიანების წინააღმდეგ
- მოტორული მოუსვენრობა
- კონცენტრაციასთან დაკავშირებული სირთულეები
- სოციალური კონტაქტის პრობლემები
- წესების დაცვის პრობლემა
- ჰიპერაქტიურობა.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ზემოთ დასახელებული პირველი სამი ნიშანი ახასიათებდა ყოველ მეორე, ხოლო ბოლო სამი კი ყოველ მესამე მოსწავლეს.

„ძნელ ბავშვებად“ მოიხსენიებს ასევე ულფ პრეუს - ლაუსიტცი ისეთ ბავშვებს, რომლებიც „...მაგიდებსა და მერხებზე დახტიან, საგაკვეთლო პროცესს ხელს უშლიან, არ აქვთ კონცენტრაციის უნარი, ყველასთან ჩხუბობენ და არავითარ მითითებას არ ღებულობენ“ (171, გვ. 7).

დღეს, მედიცინასა და ფსიქოლოგიაში, ძნელადაღსაზრდელებთან მიმართებაში, ხშირად ვხვდებით ტერმინს **დევიაცია**. დევიაცია ლათინური სიტყვაა (ლათ. deviation - გადახრა) და გამოიყენებენ ისეთი ქცევის აღსანიშნავად, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს. ტერმინი შემოიღო ავსტრიელმა ენათმეცნიერმა და ეთნოგრაფმა, ფრიდრიხ მიულერმა 1864 წელს. მოგვიანებით, ფსიქოლოგი რობერტ მერტონი იკვლევდა დევიაციური ქმედებების სიხშირეს ამერიკული საზოგადოების იერარქიაში. მას მიაჩნდა, რომ „ყველა დევიანტური ქმედების წესი მოდის ცალკე მდგომი ინდივიდისაგან, ძირითადად ღარიბებისაგან. გამომდინარე იქედან, რომ ანომია დევიანტის საფუძველია, მერტონმა გამოიმუშავა ანომიის ცნება, რადგან აეხსნა, როგორ და რატომ არის იგი ამ ფენაში უფრო ხშირი. მერტონის მიხედვით, ეს არ არის უბრალოდ ნორმების შესუსტება, არამედ წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს საზოგადოებაში მიღებულ მიზნებსა და დაშვებულ საშუალებებს შორის. მაგალითად, ამერიკულ საზოგადოებაში მატერიალური წარმატება, სიმდიდრე და კარიერა საყოველთაოდ მიღებული მიზანია. ამ მიზნების მისაღწევი ნებადართული საშუალებებია სწავლა, მუშაობა და ეკონომია. ხშირად ღარიბი ფენის წარმომადგენელს არ შეუძლია მიაღწიოს მიზანს დაშვებული საშუალებებით. ამიტომ ანომია ამ ფენაში უფრო ხშირია“ (53, გვ. 32)

რობერტ მერტონის აზრით, დევიანტური მოქმედება წარმოიქმნება მაშინ, როდესაც საზოგადოებაში (კულტურაში) აქცენტირებული მიზნების მიღწევა ხდება

სოციალურად დაუშვებელი (არანორმალური, არაინსტიტუციური), თუმცა, შესაძლოა, ტექნიკურად ეფექტური საშუალებების გამოყენებით. დევიაცია სოციალურად კონსტრუირებული მოქმედებაა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არ არსებობს ქმედება, რომელიც თავისთავად, სოციალური კონტექსტისაგან განყენებულად, არანორმალურია (ნორმიდან გადახრილია), ანუ დასაგმობია ნებისმიერი საზოგადოების მიერ ნებისმიერ დროს. პირიქით, დევიაცია სიტუაციური და კონტექსტუალურია. მაგალითად, ადამიანის მოკვლა დევიანტურია ჩვეულებრივ (მშვიდობიან) სიტუაციაში, მაგრამ ნორმალურია, მეტიც – მოითხოვება ომის კონტექსტში. ამდენად, ყველა სოციალური ქმედება იმართება და რეგულირდება წესების საფუძველზე, მაგრამ, ჯერ ერთი, თავად წესებია სხვადასხვა განსხვავებული კონტექსტისათვის და მეორეც, ისინი ცვალებადია და მუდმივად ვარირებს სოციალურ დროსა და სივრცეში. აქ ჩნდება კიდევ ერთი პრობლემა: შესაძლოა, ინდივიდის ესა თუ ის ქმედება ფორმალურად განიხილებოდეს როგორც დევიანტური, მაგრამ მას მაინც არ „მიეკეროს" დევიანტის იარლიყი, რამდენადაც, გარემოების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრი არ აღიარებს ნორმის დარღვევად" (98).

პროფესორ მარინა ბალიაშვილის განმარტებით დევიაცია „ეს არის ქცევა, რომელიც სცილდება საზოგადოებრივად დაკანონებულ ღირებულებებსა და ნორმებს. ამ თვალსაზრისს საფუძვლად უდევს აზრი, რომ საზოგადოების ღირებულებები და ნორმები თითქმის ყოველთვის კარგია და სწორი. ამ ნორმების მიმართ უპატივცემულობა და მათგან გადახვევა იქნება დევიაცია. ამრიგად, იგულისხმება, რომ დევიაცია საზოგადოების კანონიერ ინტერესთა საწინააღმდეგოდ არის მიმართული" (10, გვ. 165).

დევიაციის შესახებ საინტერესო განმარტებებს გვთავაზობს ირმა ქურდაძე. ავტორი მიიჩნევს რომ: „მოზარდთა დევიაციური ქცევა საზოგადოების მიერ მიღებული სამართლებრივი, მორალური და კულტურული ნორმებიდან გადახრილი ქცევაა" და გვაძლევს მსგავსი ქცევის გამოვლენის შემდეგ ფორმებს:

- სამართლის ნორმების დარღვევა (დელიკვენტური ქცევა);
- სახლიდან ხშირი გაქცევა და მაწანწალობა;
- სექსუალური აღვირახსნილობა;
- ნაადრევი ალკოჰოლიზმი და ნარკომანია;

- სუიციდური ტენდენციები;
- შარიანობა და აგრესიულობა.

ირმა ქურდაძე დევიაციური ქცევის 2 სახეს გამოჰყოფს:

1. **ასოციალური ქცევა** - ირღვევა სამართლებრივი, მორალური, სოციალური და კულტურული ნორმები. ასეთი ქცევა არაა გამოწვეული ნერვულ - ფსიქიკური ფაქტორებით, არ ეხება ფსიქიატრიის სფეროს;

2. **პათოლოგიური ქცევა** გადახრილია ფსიქიკური ჯანმრთელობის ნორმებიდან და გულისხმობს აშკარა ან ფარული ფორმის ფსიქოპათოლოგიის არსებობას.

მოზარდთა სოციალურ - ფსიქოლოგიური დევიაციების გავრცელებული ფორმებია: (ჰობი - რეაქციები; ბავშვური ქცევების რეაქციები; ოპოზიციის რეაქციები - ჯიბრიანი, დემონსტრაციული და გამომწვევი ქცევები; სექსუალური რეაქციები; იმიტაციის რეაქციები – როცა მოზარდი მისაბაძ ობიექტად ასოციალური ქცევის პირებს ირჩევს; კომპენსაციის რეაქციები – როცა მოზარდი შიშის შესანიღბად უაზრო და გაუმართლებელ რისკს ირჩევს; ემანსიპაციის რეაქცია).

ირმა ქურდაძის მიერ მოცემული მოზარდთა სოციალურ - ფსიქოლოგიური დევიაციების ფორმებიდან ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ემანსიპაციის რეაქციიაა, ავტორის თქმით, იგი ვლინდება მოზარდის მიერ უფროსის მზრუნველობისგან, გავლენისგან, ზედამხედველობის და მფარველობისგან თავის დაღწევაში. ესაა ერთგვარი ჯანყი საერთოდ უფროსი თაობის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა, პიროვნული თვითდამკვიდრების მცდელობა. ამ რეაქციის გამოვლენის შედარებით გავრცელებული ფორმაა სახლიდან გაქცევა და მაწანწალობა. მოზარდები დიდი ხალისით ერთიანდებიან თანატოლთა ჯგუფებში. ცნობილია, რომ მოზარდთა სამართალდარღვევის შემთხვევები, ძირითადად, ამგვარ ჯგუფებში გვხვდება.

„ყველა ჩამოთვლილი რეაქცია მოზარდობის ასაკში შეიძლება გამოვლინდეს, როგორც ნორმის, ასევე დევიაციის ფორმით. ნორმალური ქცევა იმით განსხვავდება პათოლოგიურისაგან, რომ ეს უკანასნელი არაადეკვატურ სიტუაციებში აღმოცენდება. პათოლოგიური ქცევისას მოზარდი სხვადასხვა მიზეზზე ერთითა და იმავე რეაქციით პასუხობს; იმ თავისებურებას ამჟღავნებს, რომელიც არაა დამახასიათებელი იმ ჯგუფის წევრებისათვის, რომელშიც მოზარდია გაერთიანებული"(117, გვ. 101-103).

როგორც ვხედავთ, პედაგოგიურ ლიტერატურაში, „ძნელადაღსაზრდელის“ ცნების მრავალი სხვადასხვაგვარი გაგება არსებობს და ამ კატეგორიის მოზარდთა ტიპების კლასიფიკაციის არაერთ ცდას ვხვდებით.

ჩვენ შევეცადეთ ჩვენს ხელთ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და რეალური ვითარების ანალიზზე დაყრდნობით, დაგვედგინა დღეს, ჩვენს საზოგადოებაში არსებული „ძნელადაღსაზრდელის“ ტიპები და ჩავატარეთ კველევა. კველევაში მონაწილეობდნენ ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგები - დამრიგებლები.

**კვლევის მიზანი:** მოზარდის ძნელადაღსაზრდელობის მიზეზების, ძნელადაღსაზრდელთა ტიპების და მათთან მუშაობის პრაქტიკაში არსებული საშუალებების დადგენა.

**კვლევის მეთოდი:** კვლევა მოიცავდა ორ ეტაპს. პირველ ეტაპზე განხორციელდა თვისობრივი კვლვა, გამოყენებულ იქნა ჯგუფური დისკუსიის ტექნიკა, მონაწილეობდა მასწავლებლებისაგან (დამრიგებლები) შემდგარი სამი ფოკუს - ჯგუფი (სულ 15 რესპოდენტი). თვისობრივი კვლევის შედეგები გამოვიყენეთ კველვის მეორე ეტაპისათვის (რაოდენობრივი კვლევა) კითხვარის სტრუქტურის აგებისას (იხ. დანართი №6). რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობდა 200 პედაგოგი (დამრიგებელი).

**კვლევის არეალი:** ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგები - დამრიგებლები (№5, №11, №19, №24, №26, №28, №30, №31, №32, საჯარო სკოლები).

**კვლევის ჩატარების დრო:** 2016 წლის იანვარი.

ამჯერად ვაჩვენებთ კვლევის მხოლოდ ნაწილის შედეგს, რომლითაც გამოიკვეთა, თუ რა თავისებურებებით გამოირჩვიან დღეს „ძნელადაღსაზრდელები“ სკოლაში. კვლევაში მონაწილე პედაგოგთა 92% მიუთითებს, რომ მის სადამრიგებლო კლასში სწავლობს ერთი (რამდენიმე შემთხვევაში მითითებულია ორი) ძნელადაღსაზრდელი მოსწავლე. თავისებურებათა ჩამონათვალი, რომელსაც ისინი კითხვარში გვაძლევენ, საკმაოდ მრავალფეროვანია: აგრესიული, კონფლიქტური, დაუმორჩილებელი, უხეში, დაუდევარი, იმპულსური, ეგოისტი, ემოციური ამპარტავანი, უხასიათო, გულჩათხრობილი, არაკომუნიკაბელური, თავნება, მატყუარა, უპასუხისმგებლო, უყურადღებო, უინტერესო, გაუაზრებლად ამაყი,

ხშირად ბილწსიტყვაობს, ცდილობს დააშინოს და შეავიწროვოს მასზე სუსტი, არ ითვალისწინებს შენიშვნას და სხვის აზრს, მუდმივად უკმაყოფილოა, მუდმივად რაღაცას აპროტესტებს, ვერ აკონტროლებს საკუთარ ქცევას, არ უყვარს სწავლა, ვერ ისვენებს და ცდილობს ხელი შეუშალოს საგაკვეთილო პროცესს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ასევე ის, რომ ზემოთ ჩამოთვლილი თავისებურებები, სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის მოსწავლისათვის განსხვავებულია.

„ძნელადაღსაზრდელების“ შესახებ პედაგოგების მიერ დაფიქსირებულ რამდენიმე მოსაზრებას მოვიყვანთ, მაგალითად, მოზარდს უჭირს კონტაქტში შემოსვლა, კონცენტრაცია, აქვს მოტორული პრობლემები, აღენიშნება ფსიქოლოგიური ტიკები; მისი ქცევა არ თავსდება ნორმალური ქცევის ფარგლებში, ჩაკეტილია, ამჟღავნებს აგრესიას, სცემს სხვა ბავშვებს, მუდმივად უწესრიგოდ ყრის თავის ნივთებს, აგვიანებს გაკვეთილზე, მოუსვენარია და ყოველთვის ცდილობს ხელი შეუშლოს გაკვეთილის მსვლელობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძნელადაღსაზრდლობის შესახებ არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენთვის სკოლამდელი დაწესებულების - საბავშვო ბაღის აღმზრდელების მოსაზრებები. ჩვენს შეკითხვაზე, თუ როგორ ესმით მათ ძნელადაღსაზრდელის ცნება, განსხვავებული პასუხები მივიღეთ. აღმოჩნდა, რომ საბავშვო ბაღის იმ აღსაზრდელთა უმეტესობას, რომლებსაც აღმზრდელები ძნელადაღსაზრდლს უწოდებენ, უჭირთ კონტაქტში შემოსვლა, ჩაკეტილია, არ აქვთ კონცენტრაციის უნარი, აქვთ მოტორული და ენობრივი პრობლემები (არ გააჩნია ასაკის შესაბამისი სიტყვათა მარაგი) და ფსიქოლოგიური ტიკები, არის აგრესიული, სცემს სხვა ბავშვებს, უყვირის, კბენს, ესვრის სათამაშოებს, ცდილობს გატეხოს ან გააფუჭოს ნებისმიერი ნივთი, არ ჭამს საჭმელს, არ უნდა რომ დაიძინოს, არ ემორჩილება მასწავლებლისა და აღმზრდელის მითითებებს. ამ პუნქტების გათვალისწინებით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ძირითადი პრობლემები, რომლებსაც სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელები ძნელადაღსაზრდელებთან მუშაობისას ხვდებიან:

ძალადობა;

აგრესია;

ანგარიშწორება;

კონცენტრაციის ნაკლებობა;

კონტაქტის ნაკლებობა;

ენობრივი სირთულეები;

მოტორული სირთულეები;

კონფლიქტის გადაჭრის უუნარობა;

მეტი ყურადღების მოთხოვნილება.

ამდენად, სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზისა და რეალური ვითარების შესწავლის საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ ძნელადაღსაზრდელები არიან ისეთი მოზარდები, რომლებიც გამოირჩევიან: სოციალური, ემოციური, კოგნიტური ან მოტორული ქცევის პრობლემებით, ან მათი ერთობლიობით. შესაბამისად ჩვენ შეიძლება ძნელადაღსაზრდელთა რამდენიმე ტიპი წარმოვადგინოთ:

- **სოციალური ქცევის** პრობლემის მქონე მოზარდები - არაკომუნიკაბელური, ჩაკეტილი, რთულად შედის კონტაქტში თანატოლებთან და უფროსებთან.
- **ემოციური ქცევის** პრობლემის მქონე მოზარდები - მკვეთრი და მწვავე რეაქციების მქონე, აფექტური, იმპულსური, აგრესიული, ჯიუტი, ზარმაცი, გულგრილი, ინდიფერენტული, პასიური.
- **კოგნიტური ქცევის** პრობლემის მქონე მოზარდები - გონებრივი განვითარების პრობლემები, შემეცნებთი უნარების ნაკლებობა,.
- **მოტორული ქცევის** პრობლემის მქონე მოზარდები - მოუსვენობა, ჰიპერაქტიურობა.

## §2. „ძნელადაღსაზრდელობა“ მისი მიზეზები

ისე როგორც ნებისმიერ მოვლენას, მოზარდის რთულ ქცევასაც, თავისი არაერთი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს.

მეცნიერთა ნაწილს ძნელადაღსაზრდელობის მიზეზად მოზარდის აღზრდისათვის არახელსაყრელი გარემო მიჩნია, სხვები ფიქრობენ, რომ მთავარი აქ სუბიექტის ისეთი შინაგანი ფაქტორებია, როგორიცაა ემოციების სიჭარბე ან სისუსტე, თანდაყოლილი ზნე და სხვადასხვა დაავადებები. თუმცა მათი უმეტესობა მიიჩნევს, რომ ძნელადაღსაზრდელობისათვის ნიადაგი მაშინ მზადდება, როცა სოციალური გარემო და შინაგანი ფაქტორები ერთმანეთს ერწყმის.

აზა ბუაძე და გიორგი ალავერდაშვილი თავიანთ წიგნში "ძნელადაღსაზრდელები" მიუთითებენ ძნელადაღსაზრდელის წარმოქმნის მიზეზის სიმრავლეზე, „სრულიად სხვადასხვა გარემოება, სიტუაცია, კონკრეტული პირობები უბიძგებს მას ცხოვრების სწორი გზიდან გადახვევის, გაუხეშებისაკენ, სამართალდარღვევისაკენ, დანაშაულისაკენ, მაგრამ როგორც ცნობილია, უმთავრესი მიზეზი მაინც მომდინარეობს ოჯახიდან, სკოლიდან, საზოგადოებრივი, სოციალური და კულტურული გარემოდან. რაღა თქმა უნდა ამ შემთხვევაში ანგარიშგასაწევი ფაქტორია გენებიც, მშობლებისაგან, წინაპართაგან ბავშვისათვის მემკვიდრეობით გადმოცემული ნიშან - თვისებებიც, მაგრამ მიზეზთა - მიზეზები ძირითადად მაინც აღზრდის, სწავლების სტილში, მეთოდებსა და გარემოში უნდა ვეძიოთ" (23, გვ. 3 - 4). „...შეიძლება კატეგორიულად ვამტკიცოთ - თანშობილი ნასესხები უდავოდ არსებობენ. მათ, რასაკვირველია, შეაქვთ თავისი წვლილი ბავშვის ძნელადაღსაზრდელობაში, მაგრამ ისინი არსებობენ როგორც პოტენციური შესაძლებლობები, როგორც ფარული ტენდენციები, რომელთა ამოქმედება ისევ და ისევ გარემოზე, არახელსაყრელ სოციალურ ზემოქმედებაზეა დამოკიდებული. გარდა ამისა ძნელად აღსაზრდელ ბავშვთა უდიდეს ნაწილს ასეთი ნასახები არც გააჩნია, ხოლო ბავშვის ხასიათის უარყოფითი თვისებები კი ცუდი აღზრდის შედეგია. ამგვარად, საბოლოო ჯამში, ბავშვის ძნელად აღსაზრდელობა არსებითად ცუდი სოციალური ზემოქმედების, ცუდი აღზრდის შედეგია" (121, გვ. 101).

„ძნელად აღსაზრდელი ბავშები არ იბადებიან, მათი ძნელადაღსაზრდელობა ოჯახური ცხოვრების უწესრიგობისა და არასწორი აღზრდის შედეგია. ესენი არიან სრულიად ნორმალური, მაგრამ პედაგოგიურად უყურადღებოდ მიტოვებული ბავშვები. უხეირო აღზდის გამო კი ისინი დამნაშვეობამდეც მიდიან" (102, გვ. 3).

„ბავშვთა აღზრდის სიძნელის საფუძველი შეიძლება იყოს პედაგოგიური ან სოციალური მიშვებულობა, ფსიქიკური დარღვევა ან, უფრო მეტად, მათი რთული ერთობლიობა" (87, გვ.8).

„ის მშობლები, რომლებიც ყველაფერს ბავშვის „ბუნებასა" და მის ეგრეთწოდებულ „ძნელად აღსაზრდელობას" მიაწერენ, ვერ ხვდებიან, რომ მოზარდის „ძნელად აღსაზრდელობა" უმეტეს შემთხვევაში შედეგია ცუდი საოჯახო ზეგავლენისა" (84, გვ. 17).

ა. ფ. გოცირიძე ძნელ ბავშვებს უკავშირებს ასაკობრივი განვითარების პერიოდიზაციის საკითხს და მიიჩნევს, რომ ასაკობრივი განვითარების „კრიზისებში გვაქვს მოცემული ძნელი ბავშვობის მოვლენების საფუძვლები. ამ საფუძვლებზე არის აგებული ძნელი ბავშვობის უდიდესი შენობა. კრიზისები ბავშვის განვითარების ნორმალური მოვლენაა. მაგრამ ზოგ შემთხვევაში იგი აჭარბებს ნორმებს. მაშინ ჩვენ საქმე გვექნება ძნელი ბავშვობის გამოხატულებასთან“ (39, გვ. 11-12). ასაკობრივ განვითარებაში ნამდვილად არსებობს კრიზისული პერიოდი, მაგრამ ჩვენ მოსაზრების საწინააღმდეგოდ, რომ ძნელი ბავშვობა ასაკობრივი განვითარების კრიზისთან არის დაკავშირებული, უნდა დავეთანხმოთ მ. ყოლბაიას, რომელიც გაუმართლებლად მიიჩნევს გარდამავალი ასაკის მოსწავლეების ძნელ ბავშვთა კატეგორიაში შეყვანას. „ცნობილია, რომ სწორედ გარდამავალ ასაკში ავლენენ მოსწავლეები ხასიათის ნეგატიურ თვისებას. მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას, ყველა მოზადი ძნელად აღსაზრდელად გამოვაცხადოთ. ჯერ ერთი ის ნეგატიური ხასიათის ცვლილებები, რომლებიც მოზარდებთან შეიმჩნევა, ასაკობრივი თავისებურებებია, ამ ასაკის დადგომისას იჩენს თავს და მისი დამთავრების შემდეგ გაივლის კიდეც. მეორე მხრივ, ბევრ მოზარდს თუმცა ეტყობა გარდამავალი ასაკისათვის დამახასიათებელი ცვლილებები, მაინც ვერ ჩავთვლით ძნელ ბავშვად. ისინი კარგად სწავლობენ და წესრიგს არ არღვევენ“ ( 121, გვ. 17).

გარდატეხის ასაკში მოზარდების „რთულ ქცევას“ ხშირად თავდაცვითი მექანიზმი უდევს საფუძვლად. მაგალითად, ბავშვები გამომწვევი ქცევით უპირისპირდებიან მასწავლებლის მიერ მათ მიმართ საჯაროდ გამოთქმულ შენიშვნას და წყენას, რომელსაც განიცდიან, როდესაც პედაგოგები ყურადღებას არ აქცევენ მათ „მიღწევებს“; სამაგიეროდ, უხვად არიგებენ შენიშვნებს, საყვედურებს, გაფრთხილებებს” (59).

მიგვაჩნია, რომ ძნელადაღსაზრდელობა  გარდამავალ ასაკში ხშირად ვლინდება. სწორედ ამ ასაკში იჩენს თავს პიროვნების სოციალიზაციის პროცესი დიდი ინტენსივობით. ამ ასაკობრივ პერიოდში იმატებს მათში ისეთი სოციოგენური მოთხოვნები, როგორიც არის საკუთარ ფსიქო - ფიზიკურ ძალებზე გაზვიადებული წარმოდგენა, რაც თავის მხრივ იწვევს მოზარდების სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ. თუ ამ დროს უფროსები ანგარიშს არ უწევენ მოზარდებში მიმდინარე ამ ფსიქო - ფიზიკურ პროცესებს, თუ თავად არ ცვლიან მათდამი თავიანთ

ქცევას (თუ უფროსები ისე ექცევიან, როგორც ბავშვობის ასაკში) იცვლება მოზარდის ქცევა. საკუთარ ზრდასრულობასა და დამოუკიდებლობაში დარწმუნებული მოზარდები, შეურაცხყოფად ღებულობენ უფროსების შენიშვნებს, განსაკუთრებით კი დაუმსახურერბელ შენიშვნებს და პასუხად უხეშობას, სიჯიუტესა და აგრესიას ავლენენ. უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ თუ ადრეულ ასაკში ბავშვები უფროსების კრიტიკას უსიტყვოდ იღებდნენ, გარდამავალ ასაკში ეს უკვე მათი ავტორიტეტის საკითხია. ამ ასაკში მათ უკვე აქვთ პრესტიჟის მოთხოვნილება და მოითხოვენ აღიარებას, და თუ მათ ეს აღიარება ვერ მოიპოვეს ორგანიზებულ სოციალურ გარემოში, აუცილებლად შეეცდებიან მოძებნონ ისეთი გარემო, სადაც ავტორიტეტსაც აღიდგენენ და თავსაც უკეთესად იგრძნობენ. სწორედ ასეთი კონფლიქტი იქცევა ხშირად მოზარდისათვის საბედისწეროდ.

რუსი ფსიქოლოგი ევგენია დუნაევა გვთავაზობს მიზეზებს, თუ რატომ ყალიბდებიან მოზარდები ძნელადაღსაზრდელებად:

- მშობლების მოთხოვნები არ შეესაბამება შვილების ასაკს.
- მშობლები ბევრის უფლებას აძლევენ შვილებს და ცოტას სთხოვენ.
- მშობლები ცოტა თავისუფლებას აძლევენ შვილებს და ბევრს ითხოვენ მათგან.
- მშობლების დამოკიდებულება ბავშვების მიმართ არ შეესაბამება მათ ასაკს:
  მიაჩნიათ, რომ მათი შვილი ჯერ კიდევ პატარაა და შესაბამისად ექცევიან.
  მიაჩნიათ, რომ მათი შვილი უკვე დიდია და მას, ფაქტობრივად, ბავშვობიდანვე ექცევიან როგორც ზრდასრულს, რომელსაც უკვე საკმაო ცხოვრებისეული გამოცდილება აქვს დაგროვებული.
- მშობლები ხშრად ეუბნებიან შვილს, რომ ყველაფერი, რასაც წარმოადგენენ და რაც აქვთ (და, რაღა თქმა უნდა, თავად შვილიც), მათი საკუთრებაა. ამით მშობლები შვილს ართმევენ უფლებას, იცხოვროს საკუთარი ცხოვრებთ, იყოს დამოუკიდებელი პიროვნება, ჰქონდეს გრძნობები და, რაც მთავარია, ცხოვრებაში საუკუთარ, თუნდაც მცირე წარმატებას მიაღწიოს.
- მშობლები მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, მაქსიმალურად დააკმაყოფილონ შვილის მატერიალური მოთხოვნილებები და ყურადღების მიღმა რჩებათ მოზარდთან სულიერი, თბილი, მეგობრული ურთიერთობის დამყარების აუცილებლობა.

▪ მშობლები ცდილობენ, შვილი გაიზარდონ მათ „იდეალურ მედ“, გახდეს ისეთი, როგორადაც თავად ვერ მოახერხეს გახდომა. რაც ყველაზე უარესია, მშობლებს ხშირად სწორედ ის, მათ მიერვე შექმნილი „იდეალური შვილი“ უყვართ, რასაც ბავშვები ქვეცნობიერად გრძნობენ და მძიმედ განიცდიან.

▪ მშობლების აღზრდის სტილი არათანამიმდევრულია.

▪ ოჯახში არ არსებობს მკაფიო წესები. მაგალითად, გაუგებარია, რისთვის შეიძლება დასაჯონ შვილი და რისთვის შეაქონ. ხშირად ეს მშობლის ერთგვარ ხუშტურზეა დამოკიდებული.

▪ ოჯახში აღზრდის, მინიმუმ, ორი წესი მოქმედებს: ერთი – მამის, მეორე – დედის, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება.

▪ ოჯახში არის გარკვეული წესები, მაგრამ ისინი სპონტანური და არათანმიმდევრულია: დასჯიან შვილს, მერე კი ბოდიშებს უხდიან, ეფერებიან და საჩუქრებსაც კი სჩუქნიან.

როგორც აღმოჩნდა, „ძნელადაღსაზრდელობას“ ჰქონია არა მხოლოდ მიზეზი, არამედ მიზანიც. ევგენია დუნაევა აღნიშნავს, რომ მოზარდები „რთულები“ ხდებიან, რათა:

▪ მიიღონ ყურადღება. არ აქვს მნიშვნელობა, დადებითი იქნება ეს ყურადღება თუ უარყოფითი.

▪ დაიცვან საკუთარი უფლება, იყვნენ მშობლებისგან დამოუკიდებელი პიროვნებები, მოიპოვონ საკუთარი თავის პატივისცემა და მოახერხონ თვითდამკვიდრება (57).

„ვატო ცხრაბავშვიან ოჯახში მეექვსე ბავშვია. მას ბევრი რამ უყვარს; მაგალითად, როკ - მუსიკა, ფეხბურთის თამაში და მარწყვის ნაყინი. მაგრამ ყველაზე მეტად ვატოს ყურადღება უყვარს. ვატომ კარგად იცის, როგორ მიიპყროს სხვა ადამიანების ყურადღება. იგი მასწავლებლის ყურადღების მისაპყრობად პასუხებს ხმამაღლა, ხელის აწევის გარეშე წამოიძახებს ხოლმე, მასწავლებლის მიმართულებით ქაღალდებს და საშლელებს ისვრის და უარს ამბობს დავალების შესრულებაზე. იმისათვის, რომ თანაკლასელების ყურადღება მიიქციოს, ვატო მათ აჯავრებს, ხელს კრავს და საპირფარეშოს კედლებზე უწმაწურ სიტყვებს წერს. ვატო ყურადღების ცენტრში ექცევა: მასწავლებლები მას მასხრობისთვის და სხვა ცუდი საქციელისთვის ხშირად დირექტორის კაბინეტში აგზავნიან. მართალია ყურადღება, რომელსაც ვატო

იღებს, ხშირად მასწავლებლის დატუქსვაში, თანაკლასელების გაბრაზებაში, დირექტორის დარიგებასა და გაფრთხილებაში გამოიხატება, მაგრამ ვატოსთვის ასეთი ყურადღებაც მნიშვნელოვანია“ (140, გვ. 53).

მოზარდების ძნელადაღსაზრდლად ფორმირების პროცესი საინტერესოდ აქვს წარმოდგენილი ქეთევან კობალაძეს:

▪ „იწყება იმედგაცრუება, რომელიც წყენასა და გაუცხოებაში გადაიზრდება ხოლმე. რეალობა ის არის, რომ ბავშვის ცხოვრებაში ყოველთვის ხდება ისეთი რამ, რაც მას უფროსების მიმართ უპირობო ნდობასა და პატივისცემას აკარგვინებს.

▪ მე - ს ჩამოყალიბების ამ ერთ – ერთ ყველაზე რთულ პერიოდში ბავშვი მუდამ ეძებს დამნაშავეებს და ისინი ყოველთვის მის გარშემო მყოფი უფროსები არიან, რომელთაც აუცილებლად შეეშლებათ რაღაც და „ჩასაფრებულ“ მოზარდს უჩნდება განცდა, რომ ის მოატყუეს, ამიტომ სამყაროს უსამართლობასა და არასრულყოფილებაზე იწყებს ფიქრს.

▪ მოზარდს ეჩვენება, რომ მარტო დარჩა მშობლების, მასწავლებლების და სხვა უფროსების ჭკუისდამრიგებლური, „არაფრის მომცემი“ რიტორიკის პირისპირ.

▪ ბავშვი იწყებს ფიქრს, როგორ გაართვას თავი ამ პრობლემებს. ასეთ ფიქრებთან მარტო დარჩენილ მოზარდს ეშინია, რადგან ქვეცნობიერად მაინც აეჭვებს საკუთარი შესაძლებლობები.

ამ დროს არასრულწლოვნები ყველასა და ყველაფერს კრიტიკის თვალით უყურებენ. შესაძლოა, სასოწარკვეთილებაც კი დაეუფლოთ. ამ პერიოდში ხომ მოზარდებს ყველაზე მეტად სხვებზე „დომინირება“ სურთ, უნდათ, მათი „ძლიერება“ ყველამ დაინახოს და სათანადოთ დააფასოს” (57).

„აგრესიული საქციელი არის ქმედება, რომელიც მიზნად ისახავს სხვა ადამიანისადმი ფიზიკური (მაგალითად დარტყმით, ხელის კვრით ან ცემით) ან ფსიქოლოგიური (მაგალითად, შერცხვენით, შეურაცხყოფის მიყენებით, ხელის კვრით ან ცემით) ტკივილის მიყენებას. ფიზიკური აგრესია, გულისხმობს ქმედებას, რომელმაც შეიძლება სხეულის დაზიანება გამოიწვიოს; იგი უფრო ხშირია ბიჭებში. ურთიერთობებში გამოხატული აგრესია კი მოიცავს ყველა ქმედებას, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს მეგობრობაზე და სხვა ურთიერთობებზე (მაგალითად, თანატოლის ჯგუფიდან განდევნა, ბოროტი ჭორები) და უფრო ხშირია გოგონებში. ფსიქოლოგები აგრესიულ მოსწავლების ორ ჯგუფს განასხვავებენ: მოსწავლეები,

რომლებიც განზრახ ჩადიან აგრესიულ საქციელს, რათა სასურველ მიზნებს მიაღწიონ და მოსწავლეები, რომლებიც აგრესიულ ქმედებას ძირითადად გაბრაზების საპასუხოდ მიმართავენ. მოსწავლეებს, რომლებიც განზრახ აგრესიულნი არიან, უფრო უჭირთ მეგობრული ურთიერთობების დამყარება და შენარჩუნება. ასეთ მოსწავლეთა ნაწილი რეგულარულად ჩაგრავს თანატოლებს. ზოგიერთ ბავშვს და მოზარდს აგრესიისადმი გენეტიკური მიდრეკილება აქვს. ზოგი მათგანი კი ნევროლოგიური დაზიანების/ტრამვის შედეგად არის აგრესიული. ბავშვებში და მოზარდებში აგრესიას გარემოში არსებული ფაქტორებიც უწყობს ხელს. ბევრი აგრესიული მოსწავლე არასტაბილურ პირობებში ცხოვრობს. შეიძლება ოჯახში შეეჩვიოს კონფლიქტს, სიბრაზის გამოხატვას, მკაცრ სასჯელს და ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად ცუდად მოპყრობას. ბავშვებსა და მოზარდებში აგრესიული ქმედება ხშრდება, როცა ისინი რეგულარულად ისმენენ ან ხედავენ ძალადობის მაგალითებს საზოგადოებასა თუ მედიაში; რეგულარულად უყურებენ ფილმებს და თამაშობენ ვიდეო - თამაშებს, რომლებიც ძალადობის თემაზეა აგებული.

რწმენა იმისა, რომ აგრესია მისაღები და ეფექტურია ბევრი აგრესიული მოსწავლე თვლის, რომ ძლადობა და აგრესიის სხვა ფორმები კონფლიქტების მოგვარების და სამაგიეროს გადახდის მისაღები გზებია. მოსწავლეებს, რომლებიც განზრახ მიმართავენ აგრესიას, სჯერათ, რომ აგრესიული ქმედება დადებით შედეგს გამოიღებს, მაგალითად, სოციალური სტატუსის შენარჩუნებაში დაეხმარება. მოსწავლეებს, რომლებიც აგრესიის ინიციატორნი და მსხვერლნი არიან, ხშირად პრობლემები ექმნებათ მომავალში. თუ მოზრდილებმა აქტიური ზომები არ მიიღეს, აგრესიული მოსწავლეები ხშრად მოზრდილ ასაკშიც აგრძელებენ აგრესიის და ძლადობის გამოვლინებას“ (140, გვ. 45-47).

ჩვენ მიერ 2016 წლის იანვარში ჩატარებული კვლევის (იხ. დანართი №6) შედეგების ანალიზის საფუძველზე, გვინდა ვაჩვენოთ ძნელადაღსაზრდელობის ის მიზეზები, რომლებიც პედაგოგებმა ჩვენ მიერ მიწოდებულ კითხვარებში მოგვცეს. რა თქმა უნდა ანონიმურობის დაცვისა და მოზარდთა ინტერესებიდან გამომდინარე ვერ დავასახელებთ კონკრეტულ მონაცემებს, მაგრამ მოვიყვანთ იმ რამდენიმე მაგალითს, რომლებიც პედაგოგებმა ჩვენ მიერ მიწოდებულ კითხვარში მოგვცეს:

- „ჩემს კლასში ერთი ძნელადაღსაზრდელი მოსწავლე სწავლობს. განსაკუთრებული აგრესიით არ გამოირჩევა, ალბად იმიტომ რომ გოგონაა, თუმცა

ჩაკეტილია, არ მეგობრობს არც - ერთ კლასელთან, გაკვეთილებიდან პირდაპირ სახლში მიდის, ვერ ვიტყვი, რომ სამეცადინოდ ეჩქარება, იმიტომ რომ არც თუ ისე კარგი აკადემიური მოსწრება აქვს. არ დადის ჩვენ მიერ ორგანიზებულ არც ერთ ღონისძიებაზე (თეატრში, ექსკურსიებზე, დაბადების დღეებზე). მინდა შევისწავლო მისი პიროვნება და მისი ამგვარი ჩაკეტილობის მიზეზს ჩავწვდე, მაგრამ უკვე მეორე წელია არაფერი გამოდის (მე-6 კლასშია). მშობელთან ვკონტაქტობ ძირითადად, მაგრამ ისიც იშვიათად მოდის, ბოლოს რომ ვესაუბრე მიპასუხა, მერიდება სკოლაში მოსვლა, ჩემს შვილს რცხვენია ჩემი გამოჩენა, ლამაზად არ გაცვიაო. სკოლის ადმინისტრაცის დახმარებით, გავარკვიეთ, რომ ჩემი მოსწავლის ოჯახი სოცილურად დაუცველია, მამა ინვალიდია, ავტოკატასტროფაში მოყვა და ხერხემლის დაზიანება აქვს, ამის გამო ფიზიკურ სამუშაოს ვერ ასრულებს, სხვა სამუშაოსთვის კი შესაბამისი განათლება არ აქვს. დედაც უმუშვარია. ბავშვი განიცდის ოჯახის ასეთ მდგომარეობას, იმას რომ ყველა ბავშვური სურვილი აუსრულებელი რჩება. იკეტება და ცდილობს არავის ეკონტაქტოს.

- ჩემი მოსწავლე ფაქტობრივად უკონტროლოა, არაფერი ესმის, არავის ხათრი არ აქვს, საერთოდ არ სწავლობს და თითქოს ჯიბრით აკეთებს ამ ყველაფერს. მიზეზი ოჯახშია, დედა საზღვარგარეთ მუშაობდა 9 წელი არ ჰყავდა ნანახი, როგორც იქნა ერთი წლის წინ დაბრუნდა, ბავშვი მოუთმენლად ელოდა მასთან შეხვედრას, მაგრამ მამამ მას შვილის ნახვის უფლება არ მისცა, როგორც სჩანს მშობლებს პირადი კონფლიქტი ჰქონდათ და მამა მას ჯიბრით ყველაფერში პრობლემას უქმნიდა. სასამართლოს ძალით მოხერხდა დედა - შვილის შეხვედრა, მერე იგი ისევ საზღვარგარეთ წავიდა. ამის შემდეგ ბავშვი უკონტროლო გახდა.

- მისი დედა გარდაცვლილია, მამა პატიმარია, მარტო ცხოვრობს თავის უფროს დასთან და მოხუც ბაბუასთან ერთად. პატიმარ მამასთან კონტაქტს გაურბის, ერთადერთი ვისი ხათრიც აქვს, თავისი დაა, ხშირად ამბობს, რომ დედას გავს და დედა ძალიან ენატრება. თუმცა ხშირად თავს ვერ აკონტროლებს და დასაც უხეშად ექცევა. საერთოდ არ სწავლობს, იშვიათ გამონაკლისს თუ არ ჩავთვლით.

თავიანთი აღსაზრდელების ძნელადაღსაზრდელობის მიზეზებზე საუბრობენ ასევე სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელები:

- „ჩემი აღსაზრდელი 4 წლის და 5 თვისაა. ჩვენ მას ძნელადაღზარდელთა კატეგორიაში განვიხილავთ, რადგან არის აგრესიული და აქვს ქცევასთან

დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემები, მაგალითად დაჟინებით მოითხოვს აჩემებული სურვილის შესრულებას, ართმევს ბავშვებს სათამაშოებს და სხვა. მისი ოჯახური მდგომარეობა კი ასეთია: დედა ძალიან ავად ჰყავს, ცოტა ხნის წინ ოჯახში მეორე შვილიც გაჩნდა, რის გამოც ის ბევრ დროს დედის მეგობართან ატარებს. აღმოჩნდა, რომ იგი მას ანებივრებს, ყველა სურვილს უსრულებს. ვფიქრობთ, რომ ეს არის მისი ქცევის უმთავრესი მიზეზი;

- ჩემი ძნელადაღსაზრდელი (5 წლის) ძალიან ჩაკეტილია, თითქმის არ თამაშობს, არ სურს მეცადინეობა, რთულად რეაგირებს ფიზიკურ აქტივობებზე. მშობლებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ მამა მთელი დღე მუშაობს, დედას კი კიდევ 2 მცირეწლოვანი (1 წლის ტყუპები) შვილი ჰყავს და მისთვის დრო თითქმის არ რჩება, რის გამოც ბავშვი მთელს დროს კომპიუტერთან და ტელევიზორთან, მულტფილმების ყურებაში ატარებს.

- როცა ნ. კ. ჩვენთან საბავშვო ბაღში მოვიდა, ის იყო 5 წლის. ამჟღავნებდა აგრესიას ჯგუფელებთან თამაშის დროს. ვერ ახერხებდა თამაშში ჩართვას, რის გამოც ღიზიანდებოდა და სხვებსაც უშლიდა ხელს. ცდილობდა მათთვის დაენგრია აშენებული კუბიკები, ან დაეხია ნახატი და ა. შ. მშობლებთან გასაუბრებამდეც ნათელი იყო, რომ ბავშვის საბავშვო ბაღში მოყვანა ძალიან დაგვიანებული იყო. განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ოჯახში ერთადერთი ბავშვი იყო და თანატოლებთან ურთიერთბის გამოცდილება ფაქტობრივად არ ჰქონდა.

- ჩემი აღსაზრდელი მ. ს. 3 წლის და 8 თვისაა. ის ჰიპერაქტიურია, სულ დარბის, არ ჩერდება სადილთან და საჭმელს ღვრის. არ ისმენს მეცადინეობისას, ხმამაღლა ლაპარაკობს და თითქმის არასდროს არის ჩუმად. როგორც აღმოჩნდა, ოჯახში კიდევ 1 მცირეწლოვანი ბავშვია (სულ რამდენიმე თვის), რის გამოც მას არ აძლევენ სირბილის და ხმაურის საშუალებას. ვფიქრობთ იგი ამ ფიზიკური აქტივობის დაკმაყოფილებას საბავშვო ბაღში ცდილობს და უჭირს ზღვარის დაცვა.

მ. ბ. (5 წლის და 7 თვის) დედისერთაა, მხოლოდ უფროსების გარემოცვაში იზრდება. ძალიან განათლებული მშობლები ჰყავს. ისინი უნივერსიტეტის პროფესორები არიან და მათთან საუბრისას იგრძნობა მათი მეტყველების დახვეწილობა მრავალფეროვანი სიტყვათა მარაგი. მ. ბ. - ს სიტყვათა მარაგშიც ბევრი ისეთი სიტყვაა, რომლის გაგებაც მის თანატოლებს უჭირთ, რის გამოც იგი ღიზიანდება და აგრესიული ხდება.

ქცევათა უმეტესობას აქვს გარკვეული მიზანი. იგი ემსახურება კონკრეტული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. სწორედ ამიტომ, ნებისმიერ ქცევას გააჩნია წინაპირობა და შედეგი და ნებისმიერი ქცევა შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა ფაქტორთა ზემოქმედებით. თუ ჩვენ შევძლებთ პრობლემური ქცევის ანალიზს, შესაძლებელი იქნება ქცევაზე ზემოქმედება. ამისათვის, კი აუცილებელია დაკვირვება:

- როდის, სად და ვისთან/რასთან მიმართებაში ვლინდება ქცევა;
- რამდენად ხშირი, ძლიერი და ხანგრძლივია ქცევა;
- როგორია წინმსწრები მოვლენები;
- რა არის ქცევის სავარაუდო მიზნი
- რა შეიძლება იყოს ალტერნატიული ქცევა.

ამდენად, წარმოდგენილი მასალის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისე, როგორც ნებისმიერ მოვლენას, მოზარდის რთულ ქცევასაც, თავისი არაერთი მიზეზი აქვს. მეცნიერთა ნაწილს ძნელადაღსაზრდელობის მიზეზად მოზარდის აღზრდისათვის არახელსაყრელი გარემო მიაჩნია, სხვები ფიქრობენ, რომ მთავარი აქ სუბიექტის ისეთი შინაგანი ფაქტორებია, როგორიცაა ემოციების სიჭარბე ან სისუსტე, თანდაყოლილი ზნე და სხვადასხვა დაავადებები. თუმცა მათი უმეტესობის აზრით ძნელადაღსაზრდელობისათვის ნიადაგი მაშინ მზადდება, როცა სოციალური გარემო და შინაგანი ფაქტორები ერთმანეთს ერწყმის. სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლა და რეალური ვითარების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მოზარდის ძნელადაღსაზრდელად ფორმირებაზე უმთავრეს გავლენას ახდენს ოჯახი. მშობლების ცხოვრების სტილი, შვილების აღზრდაში მათი ჩართულობა მოზარდის პიროვნების ფორმირების ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორებია.

### §3. „ძნელადაღსაზრდელები" სკოლაში და თანამედროვეობა

ჩვენ წინა ქვეთავებში ვისაუბრეთ, რომ „ძნელადაღსაზრდელები" წარმოადგენენ დანაშაულის ჩამდენ და წესრიგის დამრღვევ მოზარდთა ძირითად რიკ - ჯგუფს. ისინი საფრთხეს უქმნიან თავიანთ თავს და გარშემომყოფებს. საინტერესოა რა გაკეთდა და რა კეთდება სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოებისათვის.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2008 წლის მარტში გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით დაიწყო „უსაფრთხო სკოლის პროგრამის“ განხორციელება. პროგრამის უმთავრესი მიზანი იყო თითოეული მოსწავლისათვის უსაფრთხო სასწავლო - აღმზრდელობითი გარემოს შექმნის უზრუნველყოფა. პროგრამის ამოცანებია: საჯარო სკოლებში მოსწავლეთა დისციპლინის განმტკიცება; დისციპლინური გადაცდომებისა და ძალადობის ფაქტების დროული გამოვლენა და რეაგირება; მშობლის ინფორმირება და ჩართულობის ზრდა; მოსწავლეების კანონმორჩილ მოქალაქეებად ჩამოყალიბება; ყალბი ფასეულობების („ქუჩის რომანტიზმი“, ”ძველბიჭობა”, ”ქუჩის აკადემია”) გავლენის შემცირება.

დაიგეგმა 11 მიმართულება და 10 ქვეპროგრამა.

მიმართულებები:

1. მოსწავლეთა ქცევის კოდექსი;

2. მასწავლებლის ეთიკის კოდექსი;

3. საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტი;

4. საჯარო სკოლის სააპელაციო კომიტეტი;

5. მოსწავლეთა პირადი საქმეები;

6. სკოლის შიდა აუდიტი;

7. კლასგარეშე დროის გამოყენებისათვის კლუბებისა და წრეების მუშაობის ორგანიზება;

8. სკოლის და პოლიციის თანამშრომლობა; ტრენინგ - მოდულის შექმნა პოლიციის თანამშრომლებისათვის;

9. გაცდენა - დაგვიანებების აღრიცხვა და კონტროლი;

10. კვლევა;

11. ბროშურები.

ქვეპროგრამები:

1. ინტერაქტიული თეატრი;

2. სასჯელაღსრულებით დაწესებულებებთან თანამშრომლობა;

3. ცნობილ სახეებთან ერთად ანტიდანაშაულებრივი კამპანიის წამოწყება;

4. სკოლის ფსიქოლოგთა/მედიატორთა გადამზადება;

5. ბავშვთა ტოლერანტობა;

6. სკოლის მოსწავლეების წაყვანა წარმატებულ ორგანიზაციებში;

7. მშობელთა პედაგოგიზაცია;

8. საგზაო უსაფრთხოება მოზარდებისთვის;

9. სკოლის მასწავლებელთა ტრენინგი;

10. საბოლოო შედეგების კვლევა.

2010 წლიდან მოყოლებული უსაფრთხო სკოლის პროგრამის მასშტაბები გაიზარდა და ახალი სახე შეიძინა. 2010 წლის ივლისში, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლითაც შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური. საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აგვისტოს N74/ნ ბრძანების მიხედვით სამსახურის ამოცანაა:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მიმდებარე ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, აგრეთვე ნარკოტიკული დანაშაულის აღკვეთა;
- მოზარდ მოსწავლეთა შორის ურთიერთდაპირისპირების აღმოფხვრა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ტერიტორიაზე მოსწავლეთა/სტუდენტთა მიერ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ტარების, ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების აღმოფხვრა.

ზემოაღნიშნული მიზნების მისაღწევად სამსახური უზრუნველყოფს:

- საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრების კონტროლს;
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარ და გამოვლენილ სამართალდარღვევებზე რეაგირებას, მის აღკვეთას და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირებას (ცივი იარაღის ტარება, ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვა-მოხმარება, ჯანმრთელობის დაზიანება, თამბაქოს რეალიზაციის წესის დარღვევა, წვრილმანი ხულიგნობა და სხვა ისეთი ქმედებები, რომელიც ხელყოფს საზოგადოებრივ წესრიგს და ხელს უშლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას);

- საგანმანათლებლო დაწესებულების სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დირექციის, მასწავლებლის, რექტორის და აკადემიური პერსონალის თხოვნით, სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან/სტუდენტებთან ურთიერთობას, მათთან ინდივიდუალურ გასაუბრებას, მათ ქცევაზე დაკვირვებას და მათ კონტროლს ;
- მოსწავლეებისთვის/სტუდენტებისათვის სამოქალაქო თავდაცვასთან, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან და სისხლისსამართლებრივ დანაშაულებთან და მათ შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდებას ;
- მოსწავლეთა/სტუდენტთა მშობლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების დირექციის ინფორმირებას სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა/სტუდენტთა ქცევის შესახებ;
- საგანგებო სიტუაციებში (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) მოსწავლეთა /სტუდენტთა, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე და იქ მყოფი სხვა პირების დაცვას და მათი ევაკუაციისათვის ხელის შეწყობას;
- დაპირისპირებულ მოსწავლეებს/სტუდენტებს შორის მედიატორის როლის შესრულებას, კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენას და კონფლიქტის მოგვარებას;
- აწარმოებს სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა/სტუდენტთა მშობლებთან შეხვედრებს;
- ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევების შესახებ სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შედგენას და საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირისათვის და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსისათვის წარდგენას;
- ქმნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევების შესახებ ელექტრონულ საინფორმაციო ბაზას;

- დისციპლინური გადაცდომის იარაღის, იმ საგნის, რომელსაც დისციპლინური გადაცდომის კვალი ატყვია, დისციპლინური გადაცდომით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის, რომლებიც საჭიროა დისციპლინური გადაცდომის გარემოებათა გასარკვევად, აღმოჩენისა და ამოღების მიზნით უფლებამოსილია ჩაატაროს პირადი გასინჯვა;

რეფორმას საზოგადოება არაერთგვაროვნად შეხვდა. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას პედაგოგები გამოხატავდნენ. მათ მიაჩნდათ, რომ სკოლაზე კონტროლის ასეთი გაძლიერება დააკნინებდა მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის უნარს, შეცვალოს მისი და მის ირგვლივ არსებული საგანმანათლებლო პროცესი. იმ პერიოდის სტატიებსა და ინტერვიუებში ხშირად ვხვდებოდით ჩანაწერებს „სკოლაში პოლიცია შემოგვიყვანეს", „რატომ უნდა მაკონტროლოს მანდატურმა", „კარზე ყური აქვთ მოდებული", „დავიძაბეთ ყველა, მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც". თუმცა მანდატურის სამსახურს გაცილებით მნიშვნელოვანი მისია ჰქონდა შესასრულებელი: სწავლის პერიოდში მშობლებს შვილების უსაფრთხოების სრული გარანტია ჰქონოდათ.

2010 წლის 15 აპრილიდან, მანდატურები თბილისის შვიდ (1 ექსპერიმენტული, მე-11, 23-ე, 24-ე, 51-ე, 52-ე, 117-ე) საპილოტე საჯარო სკოლაში შევიდნენ. მანდატურთა სამკაციანი ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც ერთი ქალბატონი იყო, უსაფრთხო სკოლის პროგრამის ფარგლებში გადამზადდნენ და სრულად ფლობდნენ იმ უნარ - ჩვევებს, რაც დაეხმარებოდათ სკოლაში კონფლიქტების მოგვარებაში, დანაშაულის პრევენციასა და ბავშვებისთვის ყველა სახის დახმარების გაწევაში. მათ სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელება ეკრძალებოდათ და ვალდებულნი იყვნენ მოსწავლეთა უსაფრთხოებაზე ეზრუნათ. სკოლის მანდატურები საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილ, საგანგებოდ მათთვის გამოყოფილ ოთახებში განთავსდნენ, აქვთ სპეციალური ფორმა და თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებები. მანდატურების მისვლამ საჯარო სკოლებში ძალადობის და დისციპლინარული დარღვევით ფაქტები მნიშვნელოვნად შეამცირა.

მანდატურის სამსახურმა დღის წესრიგში დააყენა სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან დამკვიდრებული მავნე კულტურაზე რეაგირება. პრობლემა იყო ის, რომ ხშირ შემთხვევაში თავად სკოლის ადმინისტრაციის ინტერესებში არ შედიოდა

მსგავს საკითხზე ყურადღების გამახვილება, რადგან ეს პირდაპირ მოქმედებდა სკოლის იმიჯზე.

რეფორმის შედეგად, უსაფრთხოების თვალსაზრისით, სკოლებში მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა. მანდატურის სამსახურის როლი ახალი სასკოლო კულტურის დამკვიდრებაში ნამდვილად შესამჩნევი გახდა, მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ სკოლის შენობაში და სკოლის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარება, ცივი იარაღის ტარება სკოლაში, საპირფარეშოებსა თუ სკოლის "ბნელ" კუთხეებში ე.წ. საქმის გარჩევების ხანა დასრულდა. დასრულდა მოსწავლეთა დაგვიანებით შესვლა გაკვეთილზე, უცხო, საეჭვო პირების თავისუფალი გადაადგილება სკოლის შენობაში, გაკვეთილიდან გამოძევებული მოსწავლის უმეთვალყურეოდ დატოვება და ასე შემდეგ. თითქმის აღმოიფხვრა ისეთი მანკიერი პრაქტიკა, როგორიცაა ბავშვებს შორის ფულის გამოძალვა. განათლების სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სტატისიკა კი ასეთია: 95% - ით შემცირდა ძალადობა, 80% - ით – მოსწავლეების დაგვიანების ფაქტები, 75% - ით შემცირდა მოსწავლეების სკოლიდან გაპარვის შემთხვევები (ე.წ შატალო). 95% - ითაა შემცირებული ფულის გამოძალვის, 80% - ით მოსწავლეებს შორის დაპირისპირების ფაქტები. 90% - ით აღმოიფხვრა ვანდალიზმი, პრაქტიკულად მოისპო სკოლებში თამბაქოს მოხმარების ფაქტები. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მოსწავლეთა ქცევა ყოველთვის ნორმებშია, ისინი ხშირად არღვევენ საზოგადოებრივ წესებს. ჩვენ (პირველ თავში გვქონდა სტატისტიკა რა სახის დანაშაულს ჩადიან მოზარდები) დავინტერესდით, რა სახის დარღვევებს ვხვდებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და ჩავატარეთ კვლევა. თუმცა ვიდრე კველევის შედეგებს მოგახსენებთ, უნდა ვისაუბროთ ზოგადი განათლების სფეროში კანონმდებლობით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომებისა და დისციპლინური სახდელების შესახებ. ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 38 - ე მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტის მიხედვით, სამეურვეო საბჭო „სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც ამომწურავად განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების ნუსხას და მათთვის გათვალისწინებულ დისციპლინურ სახდელებს, სკოლიდან გადაყვანის პირობებს“; ამავე კანონის მე-2 მუხლის გ) პუნქტის თანახმად დისციპლინური გადაცდომა არის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული წესების დარღვევა“; ამ კუთხით ჩვენთვის

საინტერესოა „მოსწავლეთა ქცევის კოდექსი“, სადაც ასახულია კონკრეტული დისციპლინური სახდელები ქცევიდან გადახვევის შემთხვევაში.

კოდექსის მიხედვით დისციპლინურ გადაცდომებად მიჩნეულია შემდეგი ხასიათის ქმედებები:

- სკოლის არასაპატიო გაცდენა;
- დაგვიანება;
- გაკვეთილის ჩაშლა;
- გაკვეთილის თვითნებურად მიტოვება;
- მასწავლებლის/მოსწავლის ან სკოლის სხვა თანამშრომლის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა;
- პლაგიატიზმი;
- ვანდალიზმი - სკოლის ქონების შეგნებული დაზიანება/გაფუჭება;
- სკოლის ტერიტორიაზე ძალადობა;
- ქურდობა;
- იარაღისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების ქონა;
- ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარება/ვაჭრობა.

დისციპლინური გადაცდომადაა ასევე მიჩნეული

- ცივი (სხვა სახის ბასრი) და ცეცხლსასროლი იარაღი;
- ასაფეთქებელი ნივთიერებები;
- ნარკოტიკული საშუალებები;
- თამბაქოს ნაწარმი;
- აღმგზნები საშუალებები;
- ალკოჰოლის შემცველი სასმელები;
- მობილური ტელეფონი და სხვა ტექნიკური საშუალებები რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესს.

ისეთი სამოსის ტარება:

- რომელზეც წერია შეურაცხმყოფელი სიტყვები ან გამოსახულია ვულგარული სურათი/კარიკატურა;
- რომელიც რეკლამირებას უკეთებს არაკანონიერი ნივთიერებების გამოყენებას. იგულისხმება: თამბაქო, ალკოჰოლი, ნარკოტიკი და სხვა; სამოსზე არ უნდა იყოს გამოსახული მათი ლოგოები და საფირმო მარკები;

- ქუდის, კეპის, ბენდენის, შარფის და ნებისმიერი სახის თავსახვევის ტარება;
- ჯაჭვები, ან ნებიმიერი სახის ბასრი ნივთები, რომლებიც შესაძლოა რომ გამოყენებულ იქნეს, როგორც იარაღი;

მოსწავლეს ეკრძალება ასევე სკოლაში წამლების მოტანა, თუ მას არა აქვს ექიმის მიერ გამოწერილი ცნობა.

დისციპლინური სახდელები მოსწავლეთა ქცევის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში:

- სიტყვიერი შენიშვნა;
- საყვედური (წერილობითი ფორმით);
- სკოლისათვის სასარგებლო იძულებითი სამუშაოს შესრულება (ეზოს, საკლასო ოთახის, ბიბლიოთეკის ან შენობის სხვა ნაწილის მოვლა - პატრონობაში მონაწილეობა არასაგაკვეთილო პერიოდში - გაკვეთილების დაწყებამდე ან გაკვეთილების შემდგომ);
- საგაკვეთილო პროცესიდან დათხოვნა 1 - იდან 5 დღემდე ვადით;
- საგაკვეთილო პროცესიდან დათხოვნა 5 - დან 10 დღემდე ვადით;
- გაკვეთილიდან გაძევება;
- ზარალის ანაზღაურების დაკისრება;
- სასკოლო კლუბებში, წრეებში, სკოლის მიერ გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობის პრივილეგიის ჩამორთმევა;
- ალტერნატიულ სკოლაში გადაყვანა.

ზოგადი განათლების სფეროში მოქმედი კანონმდელობა ფაქტობრივად სრულიად უარყოფს დისციპლინური გადაცდომის გამო მოსწავლეთა ფიზიკურ დასჯას. ზოგადი განათლების შესახებ კანონის მე - 20 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით „დაუშვებელია სკოლაში ძალადობა მოსწავლის ან ნებისმიერი სხვა პირის მიმართ. ფიზიკური ან/და სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევაში სკოლა ვალდებულია, დაუყოვნებლივ მოახდინოს სათანადო რეაგირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“ დღეს არსებული პრაქტიკის მიხედვით, მასწავლებლის მიერ მოწავლის ფიზიკური შეურაცხყოფის (მათ შორის ცემის), როგორც სასჯელის გამოყენების ფაქტის არსებობა, მასწავლებლის უპირობო გათავისუფლების მიზეზია.

**ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის მიზანი იყო:** ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა სხვადასხვაგვარი დისციპლინური გადაცდომის

შემთხვევების სიხშირის დადგენა და გარკვევა, თუ რა სახის ღონისძიებებს ატარებს სკოლა მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში.

**კვლევის მონაწილეები**: ქუთაისის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დირექტორები/მოადგილეები (სულ 38 მონაწილე ქუთაისის ყველა საჯარო სკოლიდან).

**კვლევის მეთოდი:** რაოდენობრივი კვლევა, კვლევის შედეგების ანალიზი.

**კვლევის ჩატარების დრო:** 2016 წლის თებერვალი.

**კვლევის პროცედურა:** ანკეტა (იხ. დანართი №7) შევიმუშვეთ სკოლის შინაგანაწესისა დამოსწავლის ქცევის კოდექსის მიხედვით. გავაცანით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა ადმინისტრაციას და მათი შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე შევადგინეთ საბოლოო ვარიანტი.

კვლევის მონაწილეებს მივაწოდეთ კითხვარები. ანალიზმა მოგვცა შემდეგი სურათი:

ცხრილი №8

| N | დარღვევები | ხშირად | იშვიათად | არასდროს | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სკოლის არასაპატიო მიზეზით გაცდენა; | 29 | 9 | | |
| 2 | დაგვიანება; | 31 | 7 | | |
| 3 | გაკვეთილის ჩაშლა ან ჩაშლის მცდელობა | 3 | 14 | 21 | |
| 4 | გაკვეთილის თვითნებურად მიტოვება | | 10 | 28 | |
| 5 | მასწავლებლის, მოსწავლის ან სხვა სკოლის თანამშრომლის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა | | 9 | 29 | |
| 6 | სკოლის ქონების, შენობის შეგნებული დაზიანება | | 24 | 14 | |
| 7 | მობილური ტელეფონით სარგებლობა, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესს | 8 | 30 | | |
| 8 | თამბაქოს ნაწარმის ტარება | | 25 | 13 | |
| 9 | ყველანაირი სახის იარაღის ან ბასრი ნივთების ტარება, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას იარაღად | | | 38 | |
| 10 | სანთებელა ან ასანთის  ტარება | | 27 | 11 | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 11 | ალკოჰოლური საშუალებების ტარება | | 7 | 31 | |
| 12 | ტექნიკური საშუალებების ტარება, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს სასწავლო პროცესს | | 15 | 23 | |
| 13 | ძვირადღირებული ნივთების, დიდი ოდენობით ფულის ტარება | | 16 | 22 | |
| 14 | აზარტული თამაშის საშუალებების ტარება | | 11 | 27 | |
| 15 | უხამსობის ამსახველი ნივთების ტარება | 3 | 4 | 31 | |
| 16 | ნარკოტიკული საშუალებების ტარება | | | 38 | |
| 17 | ასაფეთქებელი და მომწამვლავი ნივთიერებების ტარება | | | 38 | |
| 18 | ქურდობა (კლასში სხვისი ფულის ან ნივთის მითვისება) | | 2 | 36 | |
| 19 | სხვა | | | | |

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა სახის დარღვევები ფიქსირდება თქვენს დაქვემდებარებაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში? საკმაოდ არაერთგვაროვანი სურათი მივიღეთ. შედეგები თითქოს იმედისმომცემია, რადგან სკოლები ერთხმად უარყოფენ მოსწავლეთა მიერ სკოლაში რაიმე სახის იარაღის, ბასრი ნივთების, ასაფეთქებელი, მომწამლავი და ნარკოტიკული საშუალებების ტარებას. მხოლოდ ორი სკოლა მიუთითებს მოსწავლეთა მიერ სხვისი ნივთის მითვისების იშვიათი ფაქტის არსებობას. სრულიად არ, ან იშვიათად ფიქსირდება ალკოჰოლის, უხამსობის ამსახველი ნივთების ტარების ფაქტები, ასევე მოსწავლეთა მიერ მასწავლებლის, მოსწავლის ან სხვა სკოლის თანამშრომლის სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა. ყველაზე ხშირი კი სკოლის არასაპატიო მიზეზით გაცდენა, დაგვიანება, მობილური ტელეფონით სარგებლობა და გაკვეთილის ჩაშლის მცდელობაა.

გრაფიკული გამოსახულება №16




რა სახის ღონისძიებებს ატარებს სკოლა მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში?

ცხრილი №9

| N | გატარებული ღონისძიებები | ხშირად | იშვიათად | არასდროს | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | სიტყვიერი შენიშვნა | 35 | 3 | | |
| 2 | წერილობითი გაფრთხილება | 29 | 9 | | |
| 3 | საყვედური | | 35 | | |
| 4 | გაკვეთილიდან გაძევება | | 25 | 13 | |
| 5 | სკოლიდან დროებით დათხოვნა | | 7 | 31 | |
| 6 | სკოლისათვის სასარგებლო საქმიანობის დაკისრება | 4 | 6 | 28 | |
| 7 | საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ სკოლაში მოსწავლის დატოვება და დამატებითი დავალების მიცემა, მშობლის წინასწარი გაფრთხილებით | | 6 | 36 | |
| 8 | მოსწავლის სკოლიდან გარიცხვა | | | 38 | |
| 9 | სხვა | | | | |

გრაფიკული გამოსახულება №17




გარდა ზემოთმოყვანილი პრობლემებისა, არც თუ ისე იშვიათია სკოლაში მოსწავლესა და მასწავლებელს, მოსწავლესა და ადმინისტრაციას შორის ურთიერთობის ფონზე წარმოქმნილი კონფლიქტები, რომლებსაც ხშირად დანაშაულამდე მივყავართ.

2010 წლის 14 ივლისს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №57/ნ ბრძანებით დამტკიცდა მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი, რომლის მიზანი მასწავლებლის სავალდებულო პროფესიული ქცევის ერთიანი წესების დამკვიდრებაა. სწორედ ეს კოდექსი ავალდებულებს მასწავლებელს კონფლიქტური სიტუაციის დროს შეინარჩუნოს სიმშვიდე, მოისმინოს მოსწავლის აზრი და მიიღოს ობიექტური და სამართლიანი გადაწყვეტილება. მით უფრო, არ მიაყენოს მოსწავლეს სიტყვიერი ან ფიზიკური შეურაცხყოფა და არ მოახდინოს მასზე ემოციურ - ფსიქოლოგიური ზეწოლა. უფრო მეტიც, მან უნდა იზრუნოს მოსწავლის ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და საკუთრების დაცვაზე და მაგალითი მისცეს ჯანსაღი ცხოვრების წესისათვის აუცილებელი ღირებულებებისა და უნარ - ჩვევების ჩამოყალიბებაში.

2010 წლის 30 აგვისტოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №80/ნ ბრძანებით დამტკიცდა სკოლის დირექტორის ეთიკის კოდექსი, რომლის მიზანი სკოლის დირექტორის სავალდებულო ქცევების ეთიანი წესების დამკვიდრებაა. კოდექსის მიხედვით, დირექტორის ერთ - ერთი უმთავრესი მოვალეობა, უსაფრთხო, ეფექტური, ორგანიზებული და კეთილგანწყობილი სასწავლო (სამწუხაროდ არაფერია ნათქვამი სააღმზრდელო გარემოზე) და სამუშაო გარემოს შექმნა, სასკოლო დისციპლინის დაცვა, მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის და სკოლაში დასაქმებული სხვა პირების თავისუფლებისა და ღირსების პატივისცემაა. მასვე ევალება კონფლიქტების თავიდან აცილება ან აღმოფხვრა. იგია სკოლაში სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, ადამიანის უფლებათა დაცვის, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და გარემოს დაცვის მაგალითი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით 2012 წლის დეკემბერში, ცვლილება შევიდა ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 20 აგვისტოს №74/ნ ბრძანებაში და მანდატურს შეეზღუდა სკოლის შინაგანაწესის კონტროლის უფლება.

2014 წელს კიდევ ერთხელ მოხდა მანდატურის სამსახურის ფუნქციების გადახედვა და 28 ივლისს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N92/ნ ბრძანებით განისაზღვრა მანდატურის სამსახურის ამოცანები:

- საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;
- კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში – საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელშეკრულებების საფუძველზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;
- სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში ხელშეკრულებების საფუძველზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა.

2013 წლიდან შეიქმნა საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის სრუქტურული ერთეული - ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი.

ცენტრი, დაკომპლექტებულია ფსიქოლოგების, ბავშვთა ფსიქიატრებისა და სოციალური მუშაკებისაგან და კვალიფიციურ ფსიქო - სოციალურ მომსახურებას უწევს ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე 6 - დან 18 წლამდე სკოლის მოსწავლეებსა და მათი ოჯახის წევრებს, კერძოდ, ეხმარება:

- იმპულსური ქცევის მართვასა და საკუთარი თავის კონტროლის უნარის გამომუშავებაში;
- აგრესიული ქცევის შემცირებაში;
- ემოციების რეგულაციაში;
- თანატოლებთან პრობლემური ურთიერთობის მოგვარებაში;
- კომუნიკაციის და კონფლიქტების მართვის უნარ - ჩვევების გამომუშავებაში;
- მშობელსა და შვილს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებაში;
- ინტერპერსონალური ურთიერთობების დარეგულირებაში.

ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრი ითვალისწინებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ თერაპიას, ასევე თემატური ტრენინგ - პროგრამების შემუშავებას და ჩატარებას. ცენტრი თავის საქმიანობას ახოციელებს სკოლის მასწავლებლებთან, ადმინისტრაციასთან და მანდატურებთან.

2011 წლის დეკემბერში, საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ შევიდა ცვლილება და დაემატა X$^{2}$ თავი სახელწოდებით „არასრულწლოვანის გადამისამართება (რეფერალი). „გადამისამართება (რეფერალი) (შემდგომ – გადამისამართება) (არასრულწლოვნის სხვადასხვა კულტურულ - საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართვა ან მის მიმართ სხვა ღონისძიებების გამოყენება, მისი სხვა სკოლაში გადაყვანა ან სკოლა - პანსიონში გაგზავნა) ხორციელდება განსაზღვრული ვადით, არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, ანტისოციალური ქცევის მქონე იმ არასრულწლოვნის მიმართ, რომელსაც შეუსრულდა 12 წელი და ექსპერტთა საბჭოსათვის მიმართვიდან 6 თვის განმავლობაში არ შეუსრულდება 18 წელი.” (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ მუხლი 48$^{7}$, პუნქტი 1). აქვეა (პუნქტი 2) განსაზღვრული, რომ „ანტისოციალური ქცევა არის ქცევა, რომელიც აშკარა საფრთხეს უქმნის არასრულწლოვნის ფსიქოსოციალურ განვითარებას, მის ან სხვა ადამიანების უსაფრთხოებას, კეთილდღეობას ან მართლწესრიგს და სისტემატურად ვლინდება არანაკლებ 6 თვის განმავლობაში, გარდა არასრულწლოვნის მიერ მძიმე ან

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევისა.” აქვე განვმარტავთ, რომ სკოლა - პანსიონი – სასწავლო - სააღმზრდელო სპეციალიზებული დაწესებულებაა, სადაც სასწავლო - სააღმზრდელო პროცესი წესრიგდება მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით. ამ ცვლილების ჯერ კიდევ კანონპროექტს საზოგადოებაში ვნებათაღელვა, განსაკუთრებით კი მშობლების შეშფოთება მოჰყვა. ჩვენ გავეცანით სხვადასხვა ელექტრონულ სტატიებს, სტატიებზე გამოხმაურებას, და შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ საკითხზე დადებითი აზრი თითქმის არ დაფიქსირებულა. განსაკუთრებული სიმწვავით განიხილავს საზოგადოება გადასამისამართებელი აღსაზრდელის ასაკს - 12 წელი, რომ აღარაფერი ვთქვათ ამავე კნონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევზე, სადაც საუბარია რომ „განსაკუთრებულ შემთხვევაში გადამისამართების მიზეზი შეიძლება გახდეს 10 წლის ასაკს მიღწეული არასრულწლოვნის ისეთი ქმედება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით და რომლის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის განსაზღვრულ ასაკს მიღწეული პირის მიერ ჩადენის შემთხვევაში დადგებოდა ამ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.“ (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ მუხლი $48^7$, პუნქტი 3). საზოგადოების უმრვლესობა მიიჩნევს, რომ 10 წლის მოზარდის ოჯახისაგან მოწყვეტა და სკოლა - პანსიონში გადამისამართება, მიუღებელია, რომ სკოლას თავად უნდა შეეძლოს ამ ასაკის მოსწავლეს მიხედოს და არ მოახდინოს მისი იზოლირება. ისინი ეჭვქვეშ აყენებენ საკითხს, რომ შეიძლება არსებობდეს ამ ასაკის მოზარდის ქცევაში ისეთი სირთულე, რომელიც აუცილებლად საჭიროებს სპეციალურ სკოლას და ოჯახისა და საზოგადოებისაგან მოწყვეტას. მიაჩნიათ, რომ ეს გამოიწვევს სკოლების დეჰუმანიზაციას. აღნიშნულ საკითხზე საზოგადოების დადებითი აზრიც არსებობს, კერძოდ, ზოგიერთი მშობელი ფიქრობს, რომ სკოლაში არ უნდა სწავლობდეს ისეთი მოსწავლე, რომელიც თავისი ქცევით საფრთხეს შეუქმნის თანატოლთა ნორმალურ განვითარებას, და რომ მსგავსი ქცევის მოსწავლეთათვის უმჯობესი და აუცილებელია გადამისამართდეს მისთვის უფრო სასარგებლო სკოლაში. საინტერესოა ვინ იღებს გადაწყვეტილებას მოზარდის გადამისამართების საკითხთან დაკავშირებით და რა ღონისძიებები ტარდება მანამ, ვიდრე მოზარდი სპეციალურ სკოლა - პანსიონში მოხვდება. კანონმდებლობა (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული

ექსპერტთა ჯგუფის დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 ივნისის №122/ნ ბრძანება) მიუთითებს, რომ არასრულწლოვანის გადამისამართების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული სოციალური მუშაკების (მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილი პირი), იურისტების, პედაგოგებისა და ფსიქოლოგებისაგან შემდგარი ექსპერტთა ჯგუფი (სულ 7 წევრი). ჯგუფი გადაწყვეტილებას იღებს სკოლის, მანდატურის, არასრულწლოვნის მშობელის/კანონიერი წარმომადგენლის, პროკურორის, უბნის ინსპექტორის ან სოციალური მუშაკის მიმართვის საფუძველზე. მიმართვაში აღწერილი უნდა იყოს არასრულწლოვანის ანტისოციალური ქცევა, ქცევის გამოვლენის დრო, ადგილი და სიხშირე, გამოვლენილი ქცევის ობიექტი, ზიანი, რომელიც გამოწვეულია ქცევის შედეგად. ექსპერტთა ჯგუფი, გადამისამართების საკითხის განიხილვამდე, ითხოვს არასრულწლოვანის ბიოფსიქოსოციალურ („მოიცავს სრულფასოვანი და დეტალური ინფორმაციის მოძიებას არასრულწლოვანის საჭიროებების, რისკების და უნარების შესახებ შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: არასრულწლოვანის ფიზიკური მდგომარეობა, ფსიქიკური ჯანმრთელობა, ფსიქოემოციური და ქცევითი განვითარება, სოციალურ - მორალური განვითარების დონე, სოციალური უნარ - ჩვევები და ინტერესები, შემეცნებითი უნარები, აკადემიური უნარები, განათლებისა და არასრულწლოვანის მიმართ განხორციელებული ღონისძიებების ისტორია, ურთიერთობის პატერნები ოჯახის წევრებთან, მეგობრებთან, პედაგოგებთან, ოჯახისა და სოციალური გარემოს რესურსებისა და რისკების შეფასება“ ეექსპერტთა ჯგუფის დებულება) შეფასებას, რომელესაც საჭიროებიდან გამომდინარე აკეთებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო, სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენლები ან/და შესაბამისი სპეციალისტები. ამის შემდეგ ჯგუფი იღებს ერთ - ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

- არასრულწლოვანის გადამისამართების მიზანშეუწონლობის შესახებ;
- არასრულწლოვანის გადამისამართების შესახებ;
- არასრულწლოვნის სკოლა - პანსიონში გაგზავნის შესახებ სასამართლოსადმი შუამდგომლობა (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვნის

მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი არ ეთანხმება მის სკოლა - პანსიონში გაგზავნას).

ექსპერტთა ჯგუფი სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე არასრულწლოვანის სკოლა - პანსიონში გაგზავნის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს, თუ არსებობს არასრულწლოვანის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა, ან არასრულწლოვანმა ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული.

არასრულწლოვანის გადამისამართების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ექსპერტთა ჯგუფი გადაწყვეტილებაში მიუთითებს, თუ გადამისამართების რომელი ღონისძიება (მათ შორის, სკოლა - პანსიონში გაგზავნა) უნდა იქნეს გამოყენებული. მოზარდის სკოლა - პანსიონში გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილებას ჯგუფი იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ გადამისამართების სხვა ღონისძიების (კულტურულ - საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვა ან ისეთი ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობს არასრულწლოვნის განათლების ამაღლებას, კულტურულ/სპორტულ აქტივობებში ჩართვას, სხვადასხვა უნარ - ჩვევების გამომუშავებას) გამოყენება არ იქნება საკმარისი არასრულწლოვნის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და რესოციალიზაციის უზრუნველსაყოფად. სკოლა - პანსიონში არასრულწლოვანი იგზავნება მომდევნო სასწავლო სემესტრის დასრულებამდე.

დღესდღეობით საქართველოში, ქალაქ სამტრედიაში, (1966 წლიდან) ფუნქციონირებს მხოლოდ ერთი სკოლა - პანსიონი. სკოლის სპეციფიკიდან გამომდინაე (ეს არის ნახევრად ღია ტიპის სასწავლო - სააღმზრდელო სპეციალიზებული დაწესებულება), არ მოგვეცა საშუალება მიგვეღო მისი მუშაობის დეტალური აღწერა, მაგრამ ჩვენთვის ცნობილიამისი მისია - ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლეებს შეუქმნას ისეთი სტრუქტურირებული და სასწავლო - სააღმზრდელო გარემო, სადაც თითოეულ მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა მიაღწიოს აკადემიურ წარმატებას, პიროვნულ ზრდას და სკოლაში მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე შეძლოს სწავლის გაგრძელება, შრომით საქმიანობაში ჩაბმა, საზოგადოებასთან ადაპტაცია და მის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად, პედაგოგები, აღმზრდელები და ფსიქოლოგები იყენებენ ისეთ აღმზრდელობით მეთოდებს, როგორიცაა, დარწმუნება, საუბრები, თანადგომა, წახალისება, დასჯა (გამორიცხულია ცემა), განსაკუთრებულ

მნიშვნელობას ანიჭებენ მოზარდის პიროვნების პატივისცემას და მათ ჩაბმას შრომით საქმიანობაში.

სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარეობს მოწესრიგებულ, პოზიტიურ კეთილგანწყობილ გარემოში. მოსწავლე უზრუნველყოფილია საცხოვრებელი პირობებით და ოცდაოთხ საათიანი მეთვალყურეობით, კერძოდ:

• სადღეღამისო მომსახუება ოთხჯერადი კვებით;

• პირველადი დახმარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

• საჭიროების შემთხვევაში ამბულატორიული და სტაციონალური სამედიცინო მომსახურებს ორგანიზება;

• მოსწავლეთა უზრუნველყოფა კომუნალური მომსახურებით;

• მოსწავლეთა უზრუნველყოფა შესაბამისი სეზონური ტანსაცმლით და პირველადი მოხმარების ნივთებით;

• მოსწავლეთა უზრუნველყოფა სასწავლო - აღმზრდელობითი, კულტურული, სპორტ - გამაჯანსაღებელი ღონისძიებებით, როგორც დაწესებულებაში, ისე მის გარეთ (სკოლაში ფუნქციონირებს დრამის, ცეკვის, კითხვისა და კულინარიის კლუბები);

• სახელობო უნარების განვითარება მოსწავლეთა უნარების გათვალისწინებით (მათი უმეტესობა ჩართულია ხელგარჯილობის საქმეში).

• სასწავლო პოცესი მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად;

• სკოლა აღჭურვილია ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიისა და კომპიუტერიული ლაბორატორიით.

• მაქსიმალურადაა დაცული აღსაზრდელთა უფლებები და მათი კეთილდღეობა.

• მოზარდთა სწავლა - აღზრდას ემსახურებიან პედაგოგები, ფსიქოლოგები, აღმზრდელები და სხვა ტექნიკური პერსონალი. შექმნილია პირობები მათი სწორ გზაზე დაყენების, მოტივაციის შექმნისა და რესოციალიზაციისათვის. სკოლის მესამე სართულზე განთავსებულია აღმზრდელობითი ბლოკი, რომელიც მოიცავს: ტელევიზორის საყურებელ დარბაზს, სამზარეულოს, სველ წერტილს, საძინებელს, ხელგარჯილობისა და კომპიუტერულ ოთახებს. მაგრამ თუ, არასრულწლოვნის მიერ პოზიტიური შედეგების მიღწევის მიუხედავად, სრულად ვერ განხორციელდა მისი ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია, ასეთ შემთხვევაში გრძელდება

გადამისამართების ღონისძიების ვადა. ხოლო თუ გადამისამართების არსებული ღონისძიება ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას ან აღარ არის აუცილებელი ამ მიზნის მისაღწევად, ხდება გადამისამართების ღონისძიების შეცვლა.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ძნელადაღსაზრდელებთან მიმართებაში განხორციელებული ღონისძიება, რომელმაც ვფიქრობთ მნიშვნელოვნად შეამცირა ძნელადაღსაზრდელ მოზარედთა გადამისამართების საჭიროება. სამინისტროს მითითებით თითოეულ უბნის ინსპექტორს საკუთარ სამოქმედო ტერიტორიაზე ურთიერთობა უნდა დაემყარებინა მინიმუმ ერთ რთულად აღსაზრდელ არასრულწლოვანთან.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფების ცნობების ანალიზით ირკვევა, გასული წლის მარტიდან ივნისამდე საქართველოს ყველა რეგიონში 1238 შსს თანამშრომელის მიერ 1448 არასრულწლოვანთან ინტენსიურად ჩატარებული მიზნობრივი აღმზრდელობითი სამუშაოების შედეგად სრულად გამოსწორდა და აღარ საჭიროებს მუშაობას 185 ძნელად აღსაზრდელი, გამოსწორების გზას დაადგა 1126, მათ უმრავლესობასთან მუშაობა კვლავ გრძელდება. შედეგი არ მოიტანა 94 არასრულწლოვანთან მუშაობამ (გრძელდება მუშაობა - 62). ხოლო 33 ბავშვის მშობლებმა უარი განაცხადეს აღნიშნულ სამუშაოებზე.

ცხრილი №10

| რეგიონი | ინსპექტორი | არასრულ წლოვანი | აღარ საჭიროებს მუშაობას | გამოსწორები ს გზაზე | უშედეგოდ | ოჯახის უარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| იმერეთი | 165 | 226 | 32 | 167 | 7 | 13 |
| სამეგრელო | 70 | 83 | 6 | 67 | 3 | 6 |
| კახეთი | 203 | 240 | 56 | 171 | 9 | 4 |
| მცხეთა - მთიანეთი | 6 | 8 | 0 | 7 | 0 | 1 |
| ქვემო ქართლი | 271 | 323 | 37 | 276 | 9 | 1 |
| შიდა ქართლი | 159 | 169 | 15 | 137 | 15 | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამცხე - ჯავახეთი | 105 | 137 | 18 | 111 | 7 | 0 |
| გურია | 59 | 60 | 3 | 37 | 20 | 0 |
| აჭარა | 200 | 202 | 18 | 153 | 24 | 7 |
| **სულ** | **1238** | **1448** | **185** | **1126** | **94** | **33** |

აღსანიშნავია, რომ მშობლების დიდი ნაწილი აღნიშნულ პროექტს გაგებით და მოწონებით შეხვდნენ, მხოლოდ 33 - მა განაცხადა უარი მათი შვილის მიმართ ჩასატარებელ სამუშაოებზე, 570 მშობელმა კი მადლობა გადაუხადა თანამშრომლებს და გამოთქვა იმედი, რომ სამუშაოები გაგრძელდება.

გაწეული მუშაობის შედეგად მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ძნელადაღსაზრდელთა უმრავლესობა გამოსწორების გზაზე დადგა, გააუმჯობესეს სკოლაში გაკვეთილებზე დასწრება, თავს არიდებენ კრიმინალური მიდრეკილების მქონე პირებთან ურთიერთობას, დაინტერესდნენ და დაიწყეს მომზადება სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

პოლიციის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მივიღეთ ზემოთ მოყვანილ არასრულწლოვანთა მიმართ გატარებული კონკრეტული აღმზდელობითი ღონისძიებების ჩამონათვალი, გარდა ამისა, როგორც განგვიმარტეს, თითოეული აღსაზრდელი ინდივიდუალურ მუშაობს საჭიროებდა და ერთიანი სტანდარტი მათ მიმართ არ გამოუყენებიათ. როგორც აღმოჩნდა, ინსპექტორები სისტემატიური საუბრებით, დარწმუნებით, ახსნა - განმარტებებით, რჩევა - დარიგებებით, დახმარების აღმოჩენით და მათ შორის გაკიცხვით, ახერხებდნენ არასრულწლოვან ძნელადაღსაზრდელებთან მიეღწიათ მეტ - ნაკლები შედეგი. მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, შსს თანამშრომლები საუბრებისა და დარწმუნების მეთოდებით აწვდიდნენ მოზარდებს ინფორმაციას სხვადასხვა მავნე ჩვევების მიერ გამოწვეულ უარყოფით შედეგებზე. გარდა ამისა მათ მოვალეობაში შედიოდა მათი მეთვალყურეობა არა მხოლოდ „ქუჩაში", არამედ სკოლაში. ისინი მუდმივად აკონტროლებდნენ მათი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი მოზარდების დასწრებას გაკვეთილებზე და ყოფაქცევას სკოლაში.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფომ მოზარდებში დანაშაულის შემცირებისა და პრევენციის კუთხით არაერთი ღონისძიება გაატარა.

უსაფრთხო სკოლის ფარგლებში შექმნილი საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მუშაობის შედეგად, სკოლებში მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვალა. შესამჩნევად შემცირდა ძალადობის (95% - ით) გაკვეთილზე დაგვიანების (80% - ით), სკოლიდან გაპარვის (75% - ით) და სხვა მავნე ფაქტები, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ მოსწავლეთა ქცევა ყოველთვის ნორმაშია. დღევანდელი სკოლის რეალობა, ნათელს ხდის, რომ მოზარდთა მიერ მართლწესრიგის დარღვევის ცალკეული ფაქტები ისევ პრობლემად რჩება.

მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრის შექმნა. ცენტრის მუშაობა ცხადყოფს, რომ პრობლემური ქცევის მქონე მოზარდების რაოდენობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში არც თუ ისე მცირეა. ვფიქრობთ ამ კუთხით დაბალია პედაგოგებისა და მშობლების აქტიურობა. მათი თანამშრომლობა როგორც სჩანს ცენტრიშივე რჩება და მის შემდგომ აქტიურ გაგრძელებას ვერც სკოლაში და ვერც ოჯახში ვერ პოულობს. მიგვაჩნია, რომ აქ პდაგოგთა დაბალი მოტივაციისა და მშობელთა არასაკმარისი პედაგოგიური თვითშეგნების პრობლემაა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ქალაქ სამტრედიის სკოლა - პანსიონი. პანსიონი თავის მისიას (ქცევითი და ემოციური დარღვევის მქონე მოსწავლეებს შეუქმნას ისეთი სტუქტურირებული და სასწავლო - სააღმზრდელო გარემო, სადაც თითოეულ მოსწავლეს ექნება შესაძლებლობა მიაღწიოს აკადემიურ წარმატებას, პიროვნულ ზრდას და სკოლაში მიღებული ცოდნისა და უნარების საფუძველზე შეძლოს სწავლის გაგრძელება, შრომით საქმიანობაში ჩაბმა, საზოგადოებასთან ადაპტაცია და მის სრულუფლებიან წევრად ჩამოყალიბება) წარმატებით ართმევს თავს, მაგრამ ამ კუთხით უფრო მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი. ვფიქრობთ, სახელმწიოს მხირიდან ის მხარდაჭერა, რომელსაც ძნელადაღსაზრდელი სკოლა - პანსიონში ღებულობს, შესაძლებელია მიიღოს ჩვეულებრივ სკოლაშიც, თუ ამ კუთხით მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდება, კერძოდ, გაიზრდება სკოლის აღმზრდელობითი ფუნქცია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დღეს, სამწუხაროდ, ზოგადი განათლების სისტემის მარეგულირებელ დოკუმენტაციაშიც კი ვერ ვხვდებით აღზრდის ცნებას. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსით

განსაზღვრულია, რომ მასწავლებელი ითვსებს მოსწავლის მრჩევლის ფუნქციას სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასალახად, მაგრამ სამწუხაროდ ეს ჩანაწერი მიუთითებს მხოლოდ სასწავლო პროცესზე და არა აღზრდაზე. აქვეა მითითებული, რომ იგი ეხმარება მოსწავლეს პირადი კონფლიქტების მოგვარებაში, თუმცა ბუნდოვანია რა კონფლიქტებზეა საუბარი. ზოგადი განათლების შესახებ კანონში ვხვდებით ტერმინს „ზოგადსაგანმანათლებლო“ დაწესებულება. ჩვენ მიერ განხორციელებული არაერთი კვლევის შედეგებიც გვიჩვენებს, რომ სკოლაში აღმზრდელობით საქმიანობა საგრძნობლად შესუსტებულია და აქცენტი მხოლოდ სწავლებაზეა გაკეთებული.

მისაღები და აუცილებელია სახელმწიფოს სხვა სტრუქტურების მხრიდან ძნელადაღსაზრდლთა მიმართ განხორციელებული აღმზრდეობითი ღონისძიებები. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, მათ მიერ გაწეული მუშაობის შედეგად მეთვალყურეობის ქვეშ მყოფ ძნელადაღსაზრდელთა უმრავლესობა გამოსწორების გზაზე დადგა, თუმცა ვფიქრობთ, რომ მსგავსი ღონისძიებები არასაკმარისია. აუცილებელია სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურების შეთანხმებული მუშაობა დამნაშავეობის თავიდან ასაცილებლად.

მიუხედავად ამისა, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ როცა პიროვნების ფორმირების საქმეში პედაგოგიურად ორგანიზებული აღმზრდელობითი ღონისძიებებია ჩართული, შედეგი მეტ - ნაკლებად მიღწეულია.

## დასკვნები და რეკომენდაციები

ჩვენს ხელთ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის (პედაგოგიური, ფსიქოლოგიური, სამართლებრივი), ასევე რეალური ვითარების შესწავლის მიზნით, ჩატარებული კვლევების შედეგად, დავადგინეთ:

1. ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობენ პიროვნების დამნაშავედ ფორმირების პროცესს: ა) პიროვნების შინაგანი ფაქტორები - გენეტიკური, ფსიქიკური; ბ) არაჯანსაღი საზოგადოება - ალკოჰოლი, ნარკოტიკები, ძალადობა, აგრესია; გ) სახელმწიფოს სუსტი როლი - სახელმწიფო სტრუქტურების არასწორი მოწყობა, განათლების დაბალი დონე, სასკოლო აღზრდის ნაკლოვანებები; დ) ოჯახური პირობები - სიღარიბე, უმეთვალყურეობა, მუდმივი კონფლიქტები ოჯახში, არასრული ოჯახი, ოჯახური აღზრდის ნაკლოვანებები.

2. ძნელადაღსაზრდელები არიან ისეთი მოზარდები, რომლებიც გამოირჩევიან: სოციალური, ემოციური, კოგნიტური ან მოტორული ქცევის პრობლემებით ან მათი ერთობლიობით.

3. მოზარდის პიროვნებად ფორმირების საქმეში გადამწყვეტი როლი აღზრდას ეკისრება.

4. აღზრდის რთულ სისტემაში უმთავრესი ოჯახია. მასზეა დამოკიდებული, როგორ გარემოში ხვდება მოზარდი და როგორ წარმართავს ოჯახი აღმზრდელობით ღონისძიებებს.

5. პიროვნების დამნაშვედ ფორმირებას ძირითადად ხელს უწყობს აღზრდის დროს დაშვებული ისეთი შეცდომები, როგორებიცაა:

- მოზარდთა უმეთვალყურეობა;
- ზედმეტი მეურვეობა;
- უნდობლობა მოზარდისადმი;
- მუდმივად უარყოფითი კრიტიკა;
- მოზარდის პიროვნების უგულვებელყოფა;
- მოზარდთან არასწორი კომუნიკაცია;
- აღმზრდელობითი ზემოქმედების ღონისძიებების: წახალისების, დასჯის და პირადი მაგალითის არასწორი გამოყენება;
- მოზარდთა თავისუფალი დროის არაორგანიზებულობა;

- მოზარდის ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებების გაუთვალისწინებლობა;
- არათანმიმდევრულობა აღმზრდელობითი ღონისძიებების გამოყენების დროს;
- არასისტემატური აღმზრდელობითი ღონისძიებების გამოყენება;
- მოზარდის ქცევისადმი აღმზრდელთა არაერთგვაროვანი დამოკიდებულება;

6. მშობელთა მიერ განხორციელებული სააღმზრდელო ღონისძიებები არ არის პედაგოგიურად ორგანიზებული, რაც მშობელთა პედაგოგიური განათლების დაბალი დონის შედეგია.

7. საჭიროა მშობელთა პედაგოგიზაციის ხელშეწყობა და ამ კუთხით კონკრეტული ღონისძიებების გატარება (მშობელთა პედაგოგიზაციის ამაღლებისათვის სხვადასხვა ორგანიზაციების, საკონსულტაციო დაწესებულებების შექმნა, სკოლისა და ოჯახის აქტიური თანამშრომლობა).

8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში აღმზრდელობითი კუთხით მუშაობა შესუსტებულია. სკოლის ადმინისტრაციის, პედაგოგის, მანდატურის აღმზრდელობითი საქმიანობა არასაკმარისია და ვერ წარმოადგენს მოზარდის დამნაშავედ ფორმირების პრევენციას, რაც საჭიროს ხდის სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ღონისძიებების გატარებას.

9. აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში შეიქმნას პიროვნების არა მხოლოდ განათლებაზე, არამედ, პირველ რიგში, მის აღზრდაზე ორიენტირებული გარემო.

10. მშობელთა პედაგოგიური განათლების ამაღლება, სკოლის აღმზრდელობითი ფუნქციის გაძლიერება და სკოლისა და ოჯახის შეთანხმებული მუშაობა, ხელს შეუწყობს აღმზრდელობითი ღონისძიებების სწორად წარმართვას, ეს კი, თავის მხრივ, მოზარდის დამნაშვედ ფორმირების რისკებს შეამცირებს.

11. სკოლას უნდა დაუბრუნდეს აღმზრდელობითი ფუნქცია და დაისახოს გზები სკოლისა და ოჯახის ერთობლივი მუშაობისათვის.

12. აღმზრდელობითი ღონისძიებების ეფექტური წარმართვისათვის სკოლას უნდა ჰყავდეს სპეციალისტი აღმზრდელობითი მუშაობის კუთხით, რომელიც უხელმძღვანელებს აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობას და ორგანიზაციას გაუწევს აღმზრდელობით პროცესში თანამედროვე მოთხოვნებისა და ინოვაციების დანერგვას (ფსიქოლოგისა და პედაგოგების წინადადებებისა და მოსაზრებების

გათვალისწინებით აღმზრდელობითი პროცესის დაგეგმვა სასწავლო წლის მანძილზე, მონაცემთა ბაზის წარმოება თითოეული მოსწავლის აღმზდელობითი პროცესის მიმდინარეობის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი გეგმის შედგენა პრობლემის აღმოფხვრისათვის, სკოლის ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ეფექტური სისტემის შემუშავება, აღმზრდელობითი საუბრების ჩატარება და ორგანიზება, მოსწავლეებში სწორი ღირებულებების ჩამოყალიბება, სასკოლო სააღმზრდელო მიზნობრივი ექსკურსიების, სპორტული აქტივობების ორგანიზება და წარმართვა).

13. სწორად ორგანიზებული აღმზრდელობითი ღონისძიებები ნამდვილად წარმოადგენს პიროვნების დამნაშავედ ფორმირების რისკის შემცირების ერთ - ერთ უმთავრეს საშუალებას.

14. აღმზრდელობით საქმიანობაში ჩართულთა (მშობელი, პედაგოგი, სკოლის ადმინისტრაცია, ფსიქოლოგი, სპეციალისტი აღმზრდელობითი მუშაობის კუთხით, მანდატური) მიერ, მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

• აუცილებლად უნდა განვსაზღვროთ ბავშვის ქცევის წინაპირობა და ქცევის მოტივი;

• საჭიროა უფროსების რეაგირება მოზარდის კარგ ქცევაზე;

• მშობლებისა და მასწავლებლების დადებითი ქცევა, მოზარდის ქცევის მართვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა, რადგან განსაკუთრებული მნიშვნელობა პირად მაგალითს ენიჭება;

• სწორად შერჩეულ ეფექტურ კომუნიკაციას და აღმზრდელობით საუბარს პოზიტიური მნიშვნელობა აქვს მომავალი პრევენციის მიზნით;

• დასჯა აღმზრდელობითი ზემოქმედების ის საშუალებაა, რომელიც განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. ის არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი, ასაკისა და დანაშაულის ზომისათვის შეუსაბამო და ისე შერჩეული, რომ ბავშვი დარწმუნებული არ იყოს მის სამართლიანობაში;

• სასჯელი უნდა იყოს არა აღმზრდელის სიბრაზის მოხსნის საშუალება, არამედ მიზანმიმართული, გეგმაზომიერი ღონისძიება.

• შესაძლებელია სასჯელის ფორმებიდან სრულიად გამოვრიცხოთ ფიზიკური დასჯა, რადგან ეს არის აგრესიის მაგალითი, რომელსაც მოზარდები საკმაოდ წარმატებუ-

ლად ითვისებენ და სწავლობენ იმას, თუ როგორ უნდა გამოიყენონ იგი ცუდი გან-წყობის მოხსნის საშუალებად.

15. ძნელადაღსაზრდელებში დანაშაულის პრევენცია ვერ მოხდება მოზარდისათ-ვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებით, პირიქით, ამგვარი მიდგომა კიდევ უფრო ზრდის მათში დანაშაულებრივი ქცევის რისკს.

16. პატიმრობის, როგორც სასჯელის ფორმის, გამოყენება ძნელადაღსაზრდელებ-თან მიმართებაში მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს.

17. ძნელადაღსაზრდელებთან მნიშვნელოვანია პედაგოგების და ფსიქოლოგების მუშაობა, დანაშაულის გენეზისის, საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის გაცნო-ბიერების, მორალური ზრდის ხელშეწყობის, სოციალური უნარებით აღჭურვის მიზ-ნით.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. აბულაძე მ., ბავშვი და ოჯახური კონფლიქტები, ჟურნალი „საქართველოს ქალი“, № 1, 1990.
2. ადლერი ა., ბავშვთა აღზრდა, გამომცემლობა „გეო“, თბილისი, 2004.
3. ამონაშვილი შ., აღმზრდელობითი სწავლების საფუძვლები, ჟურნალი ,,სკოლა და ცხოვრება'' № 3, თბილისი, 1977.
4. არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სტრატეგია, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 235, 2012.
